

633
1964



ბედი ქართლისა

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien

BEDI KARTLISA (LE DESTIN DE LA GÉORGIE)

Directeur : K. SALIA,
8, rue Berlioz, Paris 16^e, Tél. : Passy 75-35

N° 47

PARIS 1964

ჩემი ძმის სსომნას

გრიგოლის საფლავთან

დიდი მწუხარებითაა აღსავსე ჩემი გული.

ვერ დავუხუშე უკანასკნელად თვალები საყვარელ ძმას; ვერ დავიტირე იგი ცხარე ცრემლით.

შორსაა ჩემგან გრიგოლის საფლავი და სხვა ქვეყნის ზეცა დაჰყურებს მის უკანასკნელ განსახვენებელს.

მუდამაჲმ წარმოვიდგენ მას — ბრგესა და ახოვანს, თავისი შესანიშნავი, მაცულისფერი და ყოვლის მძლეველი თვალებით, რომელნიც ცხადად თუ სიზმარში განუშორებლივ თან დამდევენ და არ მასვენებენ.

გაოგნებული დავდივარ და გრიგოლის წმინდა სახელს ვბუტბუტებ. ზოგჯერ კი იმ ობოლ ვარსკვლავს დავებებ ცაზე, მის სამარეს რომ დაჰკიანავობს ღამით.

რუსთველის საბედისწერო სიტყვებს ვიგონებ: „სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა“!

ერთი რამ მიმსუბუქებს არსებობას, მხოლოდ ჩემ განუზომელ წუთებში: გრიგოლის დიადი სული, რომელიც მშობლიური ქვეყნის სიყვარულით იწვოდა, მარად ინათებს მის ნაწერებში.

გრიგოლის სულს სიკვდილი არ უწერია.

აქედან ვებევი უძვირფასესი გრიგოლის საფლავს და ვაღლობ მას ჩემი ცრემლით.

გუბოვთ მიიტანათ გულდათუთქული დის ეს გლოვის სიტყვები ჩემი ძმის წმინდა სამარესთან.

ლიდა რობაქიძე

რედამტყინისბან: თანახმად გრიგოლ რობაქიძის დის და ახლო მეგობართა სურვილისა, განსვენებულის ნეშთი დარჩება უენვის სასაფლაოში, სადაც დაკრძალულია მისი მეუღლე. ძეგლის დადგმა იკისრა გერმანიაში მყოფ ქართველთა სათვისტომომ, რომელიც გამართავს ხელის მოწერას საქირო თანხის შესაგროვებლად.

გრიგოლ, ძვირფასო მეგობარო, ჩემო მესაიდუმლე, მოველ შენთან სევდით აღვსილი და ჩემი გულის ტკივილთან ერთად, მოვიტანე შენის გლოვის სიტყვები და მის მიერ შენთვის საქართველოში დაღვრილი მწაზე ცრემლები.

მძიმეა და ძნელი, გრიგოლ, შენისთანა ძმის და მეგობრის დაკარგვა და დატირება. „შენც ხომ ამბობდი: „სალტუნებს ველაპარაკებო“, და მართლაც, შენი ვაგება, შენი პიროვნების წარმოდგენა დიდ თავს და დიდ დროს მოითხოვს. მე კი, შენს პატარა მეგობარს, სად შემიძლია გადმოცემა ყველაფრისა, რაც 16 წლის მანძილზე მომისმენია დიდი შგოსნისაგან, ფილოსოფოსისაგან, ღრმა მისტიკოსისაგან, იშვიათ პატრიოტ ქართველისაგან, მაგრამ ცოტასი თქმა მაინც შემიძლია, ჩემო საყვარელო მეგობარო, შენი იმ შეუწყვეტელი ბოძოლის შესახებ, რომელსაც აწარმოებდი შეუტნობელის შესაცნობად, მიუღწეველის მისაღწევად, სულიერ სამყაროს საიდუმლოებათა ასახუნელად, იქვისა და სეკუტციკისმის დასაძლევად, რომელიც ხშირად გაწუხებდა. რამდენ განთიადს შევებდვრივართ ასეთი საუბრით გატაცებულნი.

ასაწერი მაქვს აგრეთვე, შენი პიროვნების და სახასიათებლად, შენ მიერ შეიდი წლის განმავლობაში განვლილი ჯოჯოხეთი, დამბლა და ცემულ, უენო მეუღლის გვერდით და მის მოვლაში. ახლაც საშინელების გრძნობა მიბყრობს, როცა მოვიგონებ და თვალ წინ წარმომიდგება იმ მძიმე ავადმყოფის გვერდით, რომლის წარმოუდგენელ და აუწერელ კაპიზებებს შენ უსიტყვოდ, ბავშვით ასრულებდი. ხშირი მოწამე ცყოფილვარ ამ შემზარავი სურათისა. მიკვირს, როგორ იტანდი და უძლებდი. მაგრამ დღეს, როდესაც ჩემ გულს სევდა-კაემანი დაუფლებია და გრძნობა ვერ შეპრიგებია შენს მოულოდნელ სიკვდილს, თავი ვერ დამიძლევია, დავდუმებულვარ და დარდისა და ნალველის მეტი ვერაფერი მოთქვამს.

აქა ვარ, შენთან, ხოლო შენ ქრჩაზე ვერ გავიარე, შენი სახლის ნახვა ვერ ვაგებდე, შენს აი-



ვან ვერ შევხედე, სადაც ხშირად ვადმომდგარი, ჩაფიქრებული ვაპყურებდი ირგვლივ გოჯაყებს და მთებს, მდინარე არვას, რომლის მღვლევარე და მშფოთვარე დენა რაღაც სხვას ვაგონებდა, და მის ტალღებს შენს ტანჯულ ფიქრებს, შორს წასაღებად აბარებდი და ავალბდი. შენც ბოჯაყე-დი, გრგვინავდი არვასავით და როგორ წარმოვიდგენდი, რომ ასე მოულოდნელად დაბერავდა შენსკენ სუნთქვა სიკვდილისა და გნახავდი სა-მუღამოდ დადუმებულს და გაჩუმებულს.

მაგრამ გრიგოლ, შენ სამარეში რა გინდა? ალბათ უკვე იქა ხარ, შენ საყვარელ საქართველო-ში, და შენი ამაყი აჩრდილი, წამოჭრილი ამ საფლავიდან, შეუერთდა ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა დიდ წინაპართა აჩრდილთ, და შენი „გრალის დეცვლებთან“ ერთად, დაჰქრი და თავს ევლები ქართველ ერს, რომელიც ასე გიყვარდა.

გრიგოლ, მოგიტანე აგრეთვე შენი დისშვილის ლილი ლომინაშვილის ლექსიც, რომელიც გულწრფელად და გულუბრყვილოდ გეპატივება სახლში. ამ ლექსმა სიცოცხლეში ვერ მოგისწრო და მისმა ავტორმა მთხოვა წავიკითხო იგი ...

აქ დავიტირებთ ბიძას და მგოსანს, როს ჩამოჭრავენ მწუხრის ზარები. შენს სახელს ლეთიურ მადლით შეემჩნევიან თუ ქართულ მიწას მიებარები.

ქართულ მიწას ვერ მიებარე, და განისვენებ უცხოეთში, უცხო ცის ქვეშ, მაგრამ მჯერა, რომ საქართველო და ქართველი ერი შენ აქ არ დგტოვებს. მანამდე კი. ხომ იცი, ჩვენო ძვირფასო გრიგოლ, რომ ობლად არ იქნები და როგორც სახლში, ისე აქაც ხშირად მოვალთ შენთან მე და კალე. არც ის მეეჭვება, ქართველი ჟენევის იყე არ გაივლის, რომ შენი წმინდა სავანე არ მოინახულოს და შენდობა არ გითხრას.

ბედნიერი ხარ, რომ ბედისაგან განკუთვნილი მისია ბრწყინვალედ შეასრულე და შეგიძლია გოეთეს სიტყვები თამამად ვაიმეორო: „მე ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალი რამ შემიქმნია და გამიკეთებია, რის გამოც უფლებმა მაქვს კიდევაც ვიამაყო და თავი მოვიწონო“.

ნინო ხალია

ქართულ კულტურის ნათელ ემბაზში
 კვლავ აზიარე სახელი შენი.
 ლონდა, მალშტრემი, გველის პერანგი,
 ხალხის ლამარა, გვირგვინი შენი.

ბრიზოლ რობაქიძე

(1 — 11 — 1884. 20 — 11 — 1962)

მკვდრეთით აღმდგარა შენი პაოლო,
 ტიციან მკერდზე მიხაკს ატარებს,
 ჯავახიშვილის ოძელაშვილი
 კვლავ ფაფარ აყრილ რაშს დაატარებს.

გაცოცხლებულან მათი გმირები,
 ჩვენი ცხოვრების გვერდით მიდიან,
 და შენ რათ არ გასურს, რომ ვარდ-ყვავილებს
 კვლავ ესაუბროს შენი მინდია?

ნეტუ არა გასურს შენი ლამარა
 კვლავ ავოგმანდეს ქართულ სცენაზე,
 და შენი შრომის ყველა ნაყოფი
 ლაპარაკობდეს მშობლის ენაზე?

შენი ცხოვრება მე ბერს მაგონებს,
 ბეთლემში მლოცავს ილიასეულს,
 და მიკვირს მაგ გულს რატომ აღონებ,
 გულს მარტო შთენილს, ჭულს მარტო ეულს.

მიმდინარე წელს სრულდება 80 წელიწადი გრიგოლ რობაქიძის დაბადებიდან. საგანგებო ნომრის გამოცემა ჟურნალისა ჩვენ ამ თარიღს შეუფარდეთ და გვსურს გულით და სიყვარულით მიუძღვნათ ეს რვეული მის ძვირფას ხსოვნას.

დიღმა მწერალმა ნიკოს კახანცაყისმა სთქვა: „რობაქიძე არის ეიზიონერი, რომლის თანამედროვენი ჯერ არ დაბადებულან“ო. ქეშმარიტად, გრიგოლ რობაქიძე არაჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, უწინამორბედო, ერთად ერთი და უთუოდ დიდხანს განუმეორებელი.

იგი იყო პირველი, რომელიც უკანასკნელ ფენამდე წვდა საქართველოს ფესვებს, შეიცნო მისი მითითური თაურმდგენი, მისი სწორუპოვარი ენა, მისი უნივერსალური მითოსი. იგი პირველი შეენო ქართულ სამყაროს და მის წყობას. პირველმა განფინა მგოსნული ხილვით საქართველოს გე-



ვისა, ეუბნება იგი კარდუს, ზიარა იქვე. მისი მისა: „გეთვისება“, „ეთვისები“ და რამდენად ღრმად წვედება იგი შენს ფესვებს ენაში, იმდენად ძირმაგარი ამოდის იქედან გადახალისებული, როგორც ქართული და მამულიშვილი“.

ქართული ენა, მითოსი, საქართველოს მსოფლსახე, ქართლის ცხოვრება — აი წყარო და სათავე გრიგოლის შემოქმედებისა. სიმბოლო, მითოსი, მარად-მყოფადი, საგნის ქცევა სიმბოლოდ, ამბავის ელენება მითოსად — გეზი მისი. „თუ მწერალმა შესძლო დასძლიოს ეს ორმაგი სიმწელე, — ამბობს იგი, — ესე იგი, საგანში ნახული და საგნისაგან გამოყვანილი სიმბოლო უკუაბრუნა საგნისაკენ და კვლავ საგნად აქცია, იგი მაშინ გამარჯვებული გამოდის, მხოლოდ მაშინ“. თითქმის ყველა ნაწარმოები გრიგოლ რობაქიძისა ამ კონცეპტით და გეზით არის შექმნილი და გამართული.

ავიღოთ მცველნი გრალისა. „თვალი ჩასულა მტევანში“ — რომანის ენგალი. იმ ეაზის ლერწებიდან, რომელთაც ეს მტევანი გამოუსხამთ, წმინდა ნინოს ჯვარი გამოუჭრია და იგი თავისი თმებით შეუხვევია. მითიური ნაწილი: ჟამთა უბედურობისა ეაზის ჯვარს მტევნები გამოუღლია. ამ მტევნებიდან ზედაში რაინდებს შეუღნახავთ თასით. ეს თასი „გრალი“-ა, საქართველოს გული. იგი მცველთა ხელშია, რომელნიც მას ინახავენ. წვეთი დიდდება ნელ-ნელა უჩინარად. დიდდება რწმუნაც და იმედიც საქართველოს უკეთესი მომავლისა.

უნდა აღენიშნოთ, რომ „გრალის მცველნი“-ს მომქმედნი პირნი არიან ნამდვილნი და არა გამოგონილნი. გრიგოლს სურდა მათი ვინაობის გახსნა ერთერთ ნომერში ჩვენი ყურნალისა სათანადო წერილის დართევით. მას ეს არ დასცალდა. ჩვენ ვასრულეთ მის სურვილს:

ოდილიანი — ბაოლო იაშვილი; ავალა — ტიციან ტაბიძე; მამია ოდიშელი — შალვა დადიანი; მზისავარ — აპოლონ წულაძე; დათა და კოსტა — ძმანი ჯაფარიძენი; ლადო და გრიშა (ტყუებები); ჰიდირ — მამედ ბეგ აბაშიძე; სალარა — მფრინავი სალარაძე; ს. ო. — სერგო ორჯონიკიძე; აიშა: აისორი გოგონა; შავდია — ლავრენტი ბერია; ლეგი — ლევან ლოლობერიძე; ბესია — შაქრო ფალავანდიშვილი; მარჯანი — კოტე მარჯანიშვილი; უშანგ — უშანგ ჩხეიძე; ხორავ — აკაკი ხორავა; ვასსა — აკაკი ვასაძე; ვა-

ნის საიდუმლოებანი, ვადამალა მისი მსოფლსახე მთელი მისი კიდევანით და დავგანახა, რომ საქართველოს მსოფლსახე არამც თუ არ ჩამოუვარდება სხვებისას, არამედ ხშირად კიდევ წინ უსწრობს მათ სიღრმით საიდუმლოთა გამოვლენებისა და საოცარი განფენილობით ხილულისა.

ქართული ენა გრიგოლ რობაქიძემ უგენილეს ქმნილებათ გამოაცხადა ენათა შორის. მისი აზრით, როგორც უძველეს ენაში, მასში მოცემულია პირველი ხილვა მოვლენათა და პირველი აღქმევა საგანთა; ქართული ენის წინაგანი განხილვით შეიძლება აღდგენილ იქმნას მთელი მითიური სამყარო. ენები ევროპისა, „რუსეთის“ ხანაში წარმოშობილი, უფრო ლოგიურ სამყაროს აცხადებენ. ლოგოსი, ცოცხალი თაური ციურისა და მიწიერისა, გრიგოლის აზრით, არც ერთ ენაში ისე ღრმად არ ცნაურდება, როგორც ქართულში. „თითქმის ყოველი თაურსაიდუმლო ხილულია აქ და მოსაკრეფად გამოხადებული, როგორც მწიფე ხილი. მათი მეტყველი ძალა ისე ზესრულად გამოისთქვამს ყოველს, გვეგონება: გა მოთქმულის მშველია თვითონ“, — სწერს იგი.

ამავე დროს ქართული ენა გრიგოლს თვითონ ქართველთა ყოფის ძირად და საფუძვლად მიანინია: „ეუზიარება ქართველი ენგადს შენი სიტყ-

ნო — იაკ. ნიკოლაძე (გამოყვანილია როგორც მხატვარი); სანდრო — ვანო ნანიშვილი (მწიკვი); ყარანგოზი — ყარანგოზიშვილი (მროკა) და მუშნი დადიანი.

ჩაკლული სველი — ღრმა ანალიზით გადაშლილია აქ ქვეყნილი შინაარსი ბოლშევისტური სისტემისა და თანვე უადრესად რთული წინააღმდეგობებით საცვე სული საბჭოთა ადამიანისა.

ავტორი უყანასწენელ ფესვამდე წვდა რევოლუციურ ტეხილს ისტორიისა.

„აზრი“ და „სიტყვა“, ერთიც და მეორეც ღვთიური ელემენტი ადამიანში და როგორც ასეთი — თავისუფალი თავის თავად; თითქოს შექმლოს ვისმე მიჩინოს აზრისა და სიტყვის თავისუფლება დანაშაულად“, — ამბობს ავტორი.

გველის პერანგი. შვილი, რომელსაც საქართველო სიზმრად ახსოვს, დაეძებს დაკარგულ მამას. მამის ძებნაში იძვრის თანდათან მეტი სიმძაფრით შორეული ფესვი: მამული. მამულის ნახვაში იელეებს ხანდისხან მამა უზუნაესი — თაუნი ყოვლისა. გმირის თავკადასავალი: „გარე გან — წინსვლა, შინაგან — უსაქცევა. განცდა — მარად მყოფადი“.

„აქ ყოველი სიტყვა, ყოველი სახე ისე მოსდევს ერთი მეორეს, როგორც ხის ზრდისას ცილი ცილსა“-ო, — სწერს ერთი გერმანელი მწერალი „გველის პერანგ“ზე.

ქალ-ღმერთის ძახილი. აქ წარმოდგენილია სეპენითი და ტყის დედოფალი დალი. დედოფალი ერთსა და იმავე ღროს მითითური ქალიცაა და რეალურიც. ეს ორმაგობა დაძლეულია ავტორის მიერ დიდი ოსტატობით. მითითური წამსვე რეალურში გადადის და რეალური მითითურში.

მეგი. სამეგრელო, საქართველოს ძველი კუთხე კოლხეთი. მედეა — მეგი. მედეას მითოსი ხორცს ისხამს მეგრელ ქალწულში. — „დამოუკიდებლად მისი სიუჟეტისა, რომანში მოთხრობილი ამბავი თვითონ ისხამს სხეულს, ხდება რეალურ ცოცხალ არსებად“, — სწერს აკადემიკოსი მარსელ ბრიონი „მეგის“ გამოუცემელ ფრანგულ თარგმანის შესავალში.

ლამარა. — ჯვარი და ხრმალი, ორი ნაკადი საქართველოს თავკადასავალისა. „ჯვარი სიწმინდე მისული, ხრმალი — შემართება რაინდული. დრამა ორმავე ეთარდება. ჯვარი და ხრმალი ერთი მეორეს ეთვლებიან და შეუღლებულთა გააქვთ ლელო“, — განმარტავს ავტორი. ვიციით,

რა გამაჩვევება ერგუნა „ლამარას“. იგი გადითქცა მთელ საქართველოს ტულსიცემად გარეგან რობაქიმე გულით განიცადა საქართველოს გული და როგორც ხელოვანმა ეს განცდა გულადვე აქცია. „ისინი, ვინცა არს ტვინით“, არამდე „სისხლით“ აღიჭრევენ ქართულ არსებას, ისინი ჩემს შემოქმედებაში განიცდიან თავიანთ გულისფეთქვას, თავიანთ მაჯისცემას. „ჯვანი მამიმატის“ აი რა რქვა ხევისურთა კრებულმა, როცა მან „ლამარა“ იხილა, — ამბობს ღრამის ავტორი.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას აქ, ევროპაში დიდი გამომხაური ერგუნა. მან უდავოდ დაიკავა საპატრიო ადგილი გერმანულ ლიტერატურაში. არსებობს უამრავი წერილები რეცენზიები ცნობილ მწერალთა და მოაზროვნეთა, აგრეთვე მთელი რიგი ნარკვევებისა გერმანულ ენაზე, რომელნიც უმაღლეს დაფასებას აძლევენ ქართული ხელოვანის შრომებს. ჟურნალის ფარგლებში ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია ფართოდ შევეხოთ ამ მასალას. მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან ამონაწერს:

ცნობილი გერმანული ჟურნალი „**ნებო დერ ცაიტ**“ (თებერვალი 1933 წ.) სათაურით: „**გრიგოლ რობაქიმე — ერთი ნამდვილი პოეტი**“, სწერს:

„წესი არაა გენიოსად გამოცხადებულ იქმნას მწერალი, რომლის შემოქმედება მხოლოდ ორნი ნაწარმოებით არის ცნობილი გერმანელი მკითხველისათვის. გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში ეს გამოჩინების დასაშვებია.

რამოდენიმე წლის წინად დიდერისის გამოცემლობამ დიდი დამსახურება მოიპოვა იმით, რომ მან გრიგოლ რობაქიძის პირველი წიგნი, გერმანულად გადათარგმნილი, გამოსცა. იმ წიგნს ერქვა „გველის პერანგი“. ახლა მას მისდევს მეორე: „მეგი“ — „ქართველი ასული“.

რობაქიძის სახელი დღეს სიმბოლოდ არის გადაქცეული; იგი არის სიმბოლო გამოდევნილებული აღმოსავლური მწერლობისა, რომელიც უკვე შემდგარია გზაზე, რომელმაც მას მსოფლიო ლიტერატურაში შესაფერი მდებარება კვლავ უნდა მოუპოვოს.

„გველის პერანგი“ და „მეგი“, — ორივეს აქვს ქვესათარად: რომანი. მაგრამ ისინი გაცილებით მეტი არიან. ისინი წარმოადგენენ გიგანტიურ ნახატს ხელახლად წამოხდია სურისა, რომელსაც უკან დიდი ტრადიციო აქვს.

რომანის ფორმა რობაქიძის მიერ გასაოცებელი დარტყმით გარღვეულია. ენობრივი მელო-

და, პოეტური სიღრმე და ხილვითი შემოქმედებითი ძალა ამ ქართველისა საშუალებას არ იძლევა იგი რომელიმე ლიტერატურულ ფორმაში მოათავსო. ამიტომ ზედმეტია მის წივნთა სახე-როთმოდღვარო აღნაგობაზე, გარღვნილ სახეობაზე იმსჯელო.

რაც რობაქიძის წიგნებს მათ შინაგან ღირსებას ანიჭებს, ეს არის მისტიური სიღრმე, რთაც იგი მოვლენებსა და ნაკვეთიანობას იპყრობს.

ემჩნევა, თუ პოეტი როგორ გააცოცხლებს ათასწლოვან ძველ თქმულებას და როგორ ძალუძს მას მისი სუვერენული ვაგრძელება. ხოლო ეს თქმულება, გადმოცემა არის უფრო ძველი, ვიდრე მთელი ქართული ლიტერატურა.

ბაბილონის ვაკეზე, იმ ჟამად, როდესაც ბიბლია ითხზებოდა, წარმოიშვა მითოსური ეპოსი,



რომელმაც აღმოსავლეთის ხალხთა ათასწლოვანი ყოფაქცევა განსაზღვრა. გილაგამის ლეგენდა, ძველ ბაბილონელთა მომჯადოებელი მისნური ფორმულები არიან მისი დასაბამი, ძირი.

რობაქიძე ოსტატია შემოქმედების უღრმესი საიდუმლოებისა: იგი არის მოგვი სიტყვისა.

სიტყვას, ბერას მასთან აქვს სიმძაფრე შემლოცველისა; იგი არის შემლოცველი გველისა (მსახერალი); მან უტბად გამოპკვეთა ლიტერატურულად თავისი ჯადო ფორმულები. მისი წიგნების შინაგანი ჯადო მკითხველს შებოძავს ისე, ვითარცა გრძნების შინაგანი ჯადო ძველი მოგვისა გველებს ვაშემუბნებს... გრივალ რობაქიძე აისის სუვერენი სჯლისა“...

„გრივალ რობაქიძე არის სულით არისტოკრატი,

სულიერი მეთაური თავისი ხალხისა, — სწერს გერმანელი მწერალი ფ. ჰოენტშ. იგი ქართველი ერის სახალხო პოეტია, ისევე როგორც იყენენ ექსილი, სოფოკლე, პინდარი და ჰომეროსი ჰელადისათვის; დოსტოევსკი და ლესკოვი რუსეთისათვის, გოეტე, ჰოელდერლინი და კლისტი გერმანიისათვის. გრივალ რობაქიძე მისი პოეტური შემოქმედებით ნამდვილი სახალხო მგოსანია“.

„ნამდვილი ეპიკის შესუნთქვას გრძნობს კაცი ქართველი მწერლის ყველა წიგნში, — სწერს ი. ფრენკლი. თითოული თავი გაქედლია ორიენტალური სავანძურით, რაც დიდად, ზრწყინვალედ ანათებს. მაგრამ რობაქიძე თავს არ ჰკარავას. მან დასავლეთში შეითვისა ფორმა და არ ივიწყებს, რომ იგი გოეთეს მოწაფეა. ყველა მისი წიგნი გვაწოდებს მართლაც კონკრეტულ სჯრათს, რომელსაც ჩვენ დასავლურ-აღმოსავლურ სინთეზს ვუწოდებთ და რომელშიც, გოეთეს შემდეგ, გერმანული სჯლის ბედია ჩამწყვედული“.

ცნობილი გერმანელი მწერალი ვილჰელმ შეფერი „დემონი და მითოსის“ წაკითხვის შემდეგ სწერდა: „განსაკუთრებით აღმაფრთოვანა რობაქიძის ნიჭმა გერმანულ ენაში. აქ იგრძნობა წყაროები, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია“—ო.

გერმანულ ჟურნალში „ლიტზე ცუჟუნფტ“, 1934 წ. ებერჰარდ კრემარი სწერს „ქალ-ღმერთის ძახილის“ შესახებ: „ეს წიგნი არის არა ლიტერატურა, არამედ ბუნება, კლდენი და ველი, ცეცხლი და თესლი. ეს არის იმ იშვიათი წიგნთაგანი, რომელიც ყოველთა აზს იღუმალობანდე და მეტიც, მისნობანდე მიიკვლევს, ფსიქოლოგიზირების გარეშე. რობაქიძე პყრობს ხელოვნებას, სულიერი განწყობანი ნაკვთობრივი შემთხვევებით გამოხატოს; არაოდეს იგი არ განმარტავს, არამედ ყოველთვის დასანახად ჰქმნის, ყოველთვის გამოხატულებას ანიჭებს. სხეულისა და სჯლის ერთიანობა არ არის აქ მხოლოდ ოცნება, არამედ სინამდვილე.“

ეს წიგნი არის დიდი და სადა, როგორც ყოველი, რასაც ნიდავად ღმრთის რწმენა და ბედის სიყვარული აქვთ; და როგორც უთამო ყოველი, რობაქიძის შემოქმედება იქნება მარად აწმყო და უკვდომელი...“

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, საფრანგეთის აკადემიის წევრმა მარსელ ბრიონმა დასწერა ვრცელი შესავალი რომანი „მეგის“ ფრანგული თარგმანისათვის, რომელიც ჯერ გამოცემული არ

ბრის ფრანგული ენის მკოდნეთ ჩვენ ვერჩევთ ბრიონის ეს წერილი წაიკითხონ „ბედი ქართლისა“ -ში, ნომერი 30-31. ფრანგი მწერალი განცვიფრებულია გრიგოლ რობაქიძის „ამ არა ჩვეულებრივი ხარისხის რომანისტის შემოქმედებით, რომლის დიდ ნიჭს შეუძლია მხოლოდ ასეთი დიდი მეტამორფოზები“, რომელიც ახასიათებს მის რომანსო. „მეგი“ დაყოფილია სხვა და სხვა თავებდა, განაგრძობს ბრიონი, რომელნიც შეგვიძლია ჩავთვალოთ ნამდვილ პოემებათ პროზაში. თითოეული თავი იმდენად სრულყოფილია და დამოუკიდებელი, რომ შეგვიძლია მივიღოთ იმდენივე ცალკე დასრულებული პოემა, მაგრამ მათ უკავიათ თავიანთი ადგილი თხრობით მსვლელობაში, სადაც გაფორჩქენა და აფეთქება ერთმანეთს ცვლის და მოქმედება არწყდება, რასაც არაფერი აქვს საერთო რომანის ჩვეულებრივ დაყოფასთან ნაწილებად. შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალი სუნთქვა აწესრიგებს აქ რითმს და განაგებს ტემპოს. ეს ფენომენი უაღრესად განსაკუთრებულია და მე არ ვფიქრობ, რომ იგი იყოს ავტორის მიერ ესთეტიკური მოსაზრების შექმნილი, არამედ პირიქით, ეს ფენომენი განსაზღვრულია თვით თხრობით, რომელიც ამოძრავებს მას და წინ მიჰყავს იგი თხრობის ვაშლასთან ერთად. და ეს ხდება იმიტომ, რომ დამოუკიდებლად მისი შინაარსისა, თხრობა თვითონ ისხამს სხეულს, იგი ხდება ცოცხალ არსებად, ერთგვარ მეორე რეალობად წიგნისა, — სწერს მაქსელ ბრიონი. იგი განაგრძობს —

„განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, ეს დაბადებული მთხრობელი გადაშლის ხან წარმტაც ფურცლებს მყდროებისა და სიმარტივისი, ხან სპონტანურად, ლიტერატურულახელოვნული დატვირთვის გარეშე, წარმოსახავს ანტიურ მითოსს, ყოველთვის ცოცხალს, თუ მზად გასაცოცხლებლად. ქართველი მწერლისათვის კოლხიდა არ წარმოადგენს წიგნებში ამოკითხულ მოგონებას, ლიტერატურულ გადმოცემას, არამედ რეალობას, რომელსაც უბრალო ტურისტები ვერ ამჩნევენ, ხოლო კულტურული კაცი აღმოაჩენს და იცნობს როგორც ძველ უცვლელ დიგილს, რომაქიძის არ სჭირდება კოლხიდის არც აღმოჩენა და არც მისი ცნობა. მას არასდროს არ შეუწყვეტია კოლხიდის განცდა მისი ახრის სიღრმეში, რათვან იგი შეადგენს ძირითად და მთავარ ელემენტს მისი პიროვნებისა“...

მეორე ფრანგი მწერალი რომენ როლლანი,

რომელიც ვაეცნო ელისაბედ ორბელიანის მერე თავგმნილ რობაქიძის მისტერიას „ლონდას“, სწერდა: „მუნე სიუღლის (ცნობილი ღრამ. მსახიობი. კ. ს.) მოაჯადოებება რობაქიძის „ლონდა“, მაგრამ მუნე-სიუღლი აღარ არის ცოცხალი. მე მიმაჩნია ეს ნაწარმოები, განსაკუთრებით მისი პირველი და უკანასკნელი ნაწილი, უფრო ახლო ჩვენ დიდ მუსიკოსებთან, ვიდრე პოეტებთან. მისმა მუსიკალურმა არქიტექტურამ გამაოცა“ -ო.

ფუკოლ ბერიძემაც სიმფონია უწოდა გრიგოლ რობაქიძის მისტერიებს საქართველოში, ხოლო აქ **მიხეილ წერეთელმა** ასეთი დახასიათება მისცა მის ხელოვნებას: „გრიგოლის ნაწერთა კითხვა იმ სიმფონიათა მოსმენაა, რომელნიც პირველი ხმის გამოცემითავე შეგაპყრობენ ბოლომდე და როდესაც გათავებებიან, იტყვი: ნეტარ ასე მალე არ გათავებულყვენო!“.

თავის მონუმენტალურ შრომაში „იუბერლიფერუნე“ (1949 წ.) გერმანელი ფილოსოფოსი **ლემპოლდ ცოგლერი** სწერს: „რობაქიძე ხომ შეიღია და შეიღისშვილი ქალდეურ ერთა ნანგრევებისა და სღვას შუა გულში მითიურ დროთა დენაში, როგორც მემკვიდრეობით გადმოცემული ცხოვრების არეში. მას არ სჭირდება ჩვენსავით ხელოვნურად შექმნილი მოგონებანი, არამედ მხოლოდ გადახედვა და დაკვირვება იმისა, რაც მას, როგორც შეუღახველ საშოს დედისას, მიმოიკავს“.

გერმანულ ლიტერატურულ ჟურნალის „მერკური“-ს გამომცემელმა **პეტეკემ** ღრმა გამოკვლევა უძღვნა გრიგოლ რობაქიძეს 1936 წელს, ჟურნალ „ეკვარტ“-ში, სათაურით „ოფენბარუნგ დერ ელემენტე“, რომელშიც საფუძვლიანად განხილულია ქართველი მწერლის შემოქმედება. „არსებობენ უთვალავი და სპონტანური საწყისები სამყაროს, — სწერს პეტეკე, — რომელნიც ვულკანური ძალით ამოხეთქილ მიწის დაჯახებისაგან მომდინარეობენ, რომ ერთ წამს, როგორც ამას მოითხოვს გაჩენის თვით აქტი, მიიღონ სხეულგბრივი ფორმა. იმპულსებს, რომელიც ასულდგმულებს რობაქიძის გმირებს, მიეყვებათ იმ შედარებამდე, რომ ისინი თითქოს სამყაროს ჩაწყენენ მისი გაჩენის დროს; ისინი არ არიან პიროვნები დასავლეთულთა გავებით, არამედ არსენ მგავცენი ბუნების ელემენტთა“.

ნიკოს კაზანაკის მოგვითხრობს რომანში „ტოდარაბა“ (გამომც. პლონი, პარიზი, 1962):

„ქართული წვეულება. მთელი ბატარეა ბოთლებისა, სასეკ ვასაოცარი ღვინით — წინანდალი, ნაფარეული, თელიანი და შემდეგ მწვადი და ახალი ბოთლები, რომლებიც ხელიდან ხელში გადადიან.

ტიცანი ტაბიძე, ლურჯთვალა პოეტი, გამოწვეული ტუჩებითა და ჰამლეტის ნაკვითი, არჩეული თამადად, წვეულთა ხელმძღვანელად.

იგი წარმოთქვამს სიტყვებს, სვამს სადღევრძელოს თვითთელი სტუმრისა და უბრძანებს ყველას დასცალონ სასმისი, იმღერონ და იცეკვონ. არავის არა აქვს უფლება მას არ დაემორჩილოს.

საქართველოს ყველა ლიტერატურული მიმდინარეობა წარმოდგენილია ამ წვეულებაზე — ყველა ყველი ბოროტისა: აქ არიან ცისფერყანწელები, არისტოკრატიულ-ესთეტიური სკოლა, ლენინიძე ტაბიძე და პაოლო იაშვილი, რომელიც მამაკაცური სილამაზის ენამჭევრი ვალოზბელია; აქ არის უღმობელი პროლეტარული ხელოვნება, რომელიც თავისი საუკეთესო პოეტით, გამხდარი, ბრაზიანი ლორთქიფანიძით არის წარმოდგენილი...

ამ დიონისიურ გარემოში პირველად ენახე გრიგოლ რობაქიძე. ახლა რობაქიძე წარმოდგენილი მყავს ვით უძლიერესი სულიერი პიროვნება საქართველოსი; იგი დაახლოებით ორმოცი წლისაა; ყოველთვის ღამაზად ჩაცმული; ყურადღებას იპყრობს თავისი ფიცხელი მოძრაობით და მის თვალთა ცივი მზერით. მხოლოდ ფართო, თავდაჭერილი სიცილი, რომლის დროს მისი მშვენიერი კბილები მოსჩანან, გვიმხელს მის ენებიანობას. გრძნობ, ხარ წინაშე იმ ადამიანისა, რომელიც თავის წმიდა გამტაცებელ ტემპერამენტს აშკარა მტკიცე ნებით იპყრობს.

ჩვენ დავსხვდით მარტო პატარა მერხზე, მაშინ როცა სხვა სტუმრები, ღვინით გამოწვეულ ძალთა ვადაჭარბებით, ცეკვის ნამდვილ სიგაფეში ჩაეარდნენ. მე მიხაროდა შეხედვა ჩემი მეზობლისა, რომელიც ამ გიჟური ყოფაქცევისას წყნარი და უმოძრაო დარჩა. უნებურად უნდა მეფიქრა ერთ ატტიკურ ვაზაზე, რომელზეც, ბრწყინვალე სიშავით წითელ ნიადავზე, დიონისიოსის სილუეტი მოსჩანს. უძრავად ვით სვეტი სდგას იგი შუაში; მას აქვს ნაღვლიანი თვალები და დამუწული ბაგენი, — სდგას იგი უძრავად, რომლისაგან როკვის სული, ღვინი და ხორციელი განცარბა წარმოიშვება. მის გარშემო ვადარული დედაკაცები, სილენები და მაინადები ღვინითა

და მხიარულობის გამო დაბარბაცებენ. ისინი ევლარ პოეულობენ შვების დასასრულს და ევლარ ძლებიან ღვინის სმით. მხოლოდ წყარო ამ ღვინობისა რჩება ფხიზელი.

მგონია, რიქარაჟმა მოგვისწრო ჩვენ ცარიელ ბოთლებისა და ვაკეცივლი საკმელთა წინ კიდევ რომ ვკამათობდით... ვრიგოლ რობაქიძის თვალები ნაპერწყვებს ისროდნენ ელექტრონის სინათლეზე. კიდევ როკავდა ხალხი ჩვენს გარშემო გიჟური გატაცებით და ისე, რომ სასტუმროს, „ორიენტ“-ს მთელი დარბაზი ძიგძიგებდა.

ჩემი თანმხლები დარჩა წყნარი, სევდიანი, ხოლო მისი თვალები იცქირებოდნენ ისე ხეშეშად და დამაბრბავებლად, თითქო ისინი უდაბნოს უმხერდნენ.

მე მიყვარდა ეს მარტოხელა, უძრავი კაცი და მესმოდა მისი სიჩუმე და მისი ცქერა. ცოტა ხნის შემდეგ მან განაგრძო —

ერთხელ ნიცემ სთქვა: ნაპოლეონი არისო სინთეზი პირუტყვისა და ზეკაცისა. დემონურ კაცში ქემშარტად არის ყოველთვის სინთეზი ველური პირუტყვისა და ღმრთისა. კაცში რომ მხოლოდ პირუტყვი იყოს, იგი იქნებოდა უხეში მინლება, რომელიც თავის გარშემო მარტოშიშს ავრცელებს. არიან ასეთი კაცები.

კაცში რომ მხოლოდ ღვთაებრივი ყოფილიყო, მაშინ იგი იქნებოდა წმიდანი, რომელიც წყალობითა და ღმობით აგვაესებდა. არიან ასეთი კაცები.

მაგრამ პირუტყვებსა და წმიდანებს არ შეუძლიათ შევებოჭონ გრძნებით და აღვაზნევენ; მხოლოდ „დემონური“ არის მომაჯადოებელი.

რობაქიძე გაჩუმდა; მან გაიღიმა და მისმა თერთმა კბილებმა ერთ წამს გამოაშუქეს. დილის ალიონი გამოჩნდა ფანჯარაში. მე ვლთხარი პოეტს —

რიქარაჟი აღებს „ვარდის თითებით“ აღმოსავლეთის კარს. თქვენ იყავით ამ ღამით პოეტთა ამ წვეულებისა და მწვადთა სოკრატე. მათმა „დემონმა“ ბოროტად და ავხორცად იგორავა თქვენის სიტყვების ბადეში.

რობაქიძემ მიპასუხა ღიმილით — დემონმა გვიან შეამჩნია მახე. ტლუ ბიქს მაინც ჰქონდა ყოველთვის ბადეში თავისი სიხარული. დავასრულეთ ჩვენი საუბარი ჩვეულებრივი ბოლოთი, რომლითაც ყველა სახალხო თხრობა სრულდება:

სამი ვაშლი ჩამოვარდა ციდან: ერთი — მო-

მთხრობელისათვის; მეორე — მსმენელისათვის; მესამე — ულამაზესი, წითელი — ჩავაზდა უფსკრულში!“

ასე ამთავრებს თავის თხრობას ბერძენი მწერალი ნიკოს კაზანცაკის.

გრივოლ რობაქიძის გერმანულ ენაზე დაწერილ, გამოუქვეყნებელ ნარკვევებიდან უნდა დადევასახელოთ „ატლანტური ზმანება ანუ ქართული მითოსი“, „იზისის წყაროსთან“, „ფრედრიხ ნიცშე“, „ტებნე და მითოსი“ აგრეთვე მისი ლირიული პოეზია: „მოკვდავი არწივი“, „ჰიმნი ზრფეოსისადმი“, „უანდარკი“, „მხილავი“, „ელენაქარაივი“ და სხვა. ამ ნარკვევებში გრივოლი შეზრდილია მითოსის მქმნელ ძალთა არეში რასებისა და ხალხებისა და ცდილობს ვახსნას პირველი საიდუმლოებანი, რომელნიც ათას წელთა მანძილზე საერთოდ ხელუხლებელი იყვნენ, ან მხოლოდ ზერელედ ხელნახლები და გამოაქვს დღის სინათლეზე დასაბამის სიბრძნე, რომელიც ადამოკცემულია ზეპიროვნული ნახსოვრობით. „ატლანტურ ზმანებაში“ იგი საქართველოს ათი ათას წლებში ვადასულ და დაკარგულ „ატლანტიდა“-ში ეძებს.

რაც შეეხება გამოუქვეყნებელ მის ლირიულ პოეზიას, აქაც შეუღარებელ ოსტატობას იჩენს ქართველი ხელოვანი. ცნობილი გერმანელი პოეტები, რომელნიც გაეცნენ გრივოლის ხელნაწერებს, აღფრთოვანებულნი და მოხიზლულნი დარჩნენ. **ფრანკ მარაუნ**, სწერდა გრივოლს (16. მ. 1944): „განცვიფრებული ვდგევარ გასაოცარი შეთვისების წინაშე, რომლითაც თქვენ გერმანული ენა და მისი პოეტური გამოთქმის შესაძლებლობანი ჯერ მიუღწევველ, არ ნახულ სხვა ენათა შორის დონეზე აიყვანეთ. ჩემი გულწრფელი ჩემნაა, რომ რილკეს შემდეგ ასე სრულიყოფილი არაფერი გამოსულა გერმანულ ენაზე“-ო.

მეორე ცნობილი გერმანელი პოეტი, მთარგმნელი ჰომეროსისა და ანტიუნი მსოფლიოს მკვლევარი **ტასილიო ფონ შეფერ** სწერდა გრივოლს მისი შიარების წაკითხვის შემდეგ: „ძვირფასო მანეტრო! რა შესანიშნავია თქვენი შიარის მოკვდავი არწივი“. როგორ შესძელით თქვენი უცხოელმა, ანაირად ჩვენი ძნელი გერმანული ენის ვაშლა და ამაღლება, როგორც ამას ვერ შეძლებდა თვით გერმანელი? შინაარსიდან რაც იკრძაქნი, ამას თქვენ მიხედვით, როგორც დიდი პოეტი, ხოლო ამ შინაარსის ასეთ გამოთქმებში ანდენა და ასახვა რომ შესძელით, ეს არის მე-

ტი, ვინმე მადლი. მე შემიშურვებოდა თქვენი გენიისა, რომ რაიმე მიდრეკილება მქონდეს შერინაობისა, მაგრამ რათგან ეს არა მაქვს, დამარჩნია მხოლოდ აღფრთოვანებული ვიყო თქვენით“.

ჩვენ მოვიყვანეთ დიდი ნაწილი იმ ნაწერებისა, რომელიც გვიქონდა გადმოცემული განსვენებულის მიერ. მის არქივში კიდევ ბევრი საინტერესო რეცენზია ინახება, რომელსაც ერთხელ უსათუოდ გამოვაქვეყნებთ.

ჩვენს წეზილს კი დავასრულებთ გრივოლის ანდერძით:

„ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა. იგი წმინდა საშოა ჩვენი მიწისა. იქ ეგულვებოდათ ჩვენს ძველებს საფლავი კარდუსი. მცხეთის მიდამოში აირჩიეს ძველად მოგვებმა ერთი ადგილი: იქ აღიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ ისინი მზესა და ცუცხლს. მცხეთის უბეში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული. აქ გამოსკრა ნინომ ჯვარი ვახის ნახსლევებისგან და მოახვია მას თავისი თმები. აქვე მტკიცდებოდა ხელმწიფება საქართველოსი. აი მცხეთა როგორც კამარამოვლებული „მთელი“. ერთი დაუწერელი პოემა ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთშიარებისა. „სვეტი ცხოველი“ ამ შიარების ქვეთ ნაშენი ტანია. შედიხარ ტაძარში და ამჩნევ კუთხეში მარჯვნივ პაწა სალოცვის ძველის ძველად აშენებულს. ტაძრის მშენებლებს იგი არ დაუნგრევიათ.

თუ შემოხსენებული ამბები ქართული გენიის მადლის ნაპერწყმებია, ეს სალოცავი ამ მადლის ვანხატებაა თვითონ. იგი თითქო აკვანია იმ პირველ ლოცვისა, რომელიც აქ აღმოხდათ ღვთის ძის მიმართ მღვივან გულებს. ჩვენს ძველებს ხელი არ უხლიათ მისთვის, რათა არ წაშლილიყო პირველ ლოცვის ნეტარ მაცხოველებელი კვალი. რა სინაზა აქ, რა სისათუეთ ნივთიერებისადმი, რომელშიაც ადამიანში შობილ ღვთიურ ნაკადს გაუკლია.

ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველწელს მცხეთას, მწიფობის: ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს“.

გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში

მიუნხენი

პატივცემულ რედაქციას

„ნაშენი“ „ბედი ქართლისა“-სი

პარიზი.

ქართული სათემისტო გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში გამოქვეყნდა თავის ღრმა მწუხარებას დიდი თანამემამულის გრიგოლ რომაქიძის გარდაცვალების გამო. დიდი ღვაწლი და დამსახურება განსვენებულისა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში, როგორც მწერლის, მთარგმნის, ლიტერატორის და ესტეტის.

განსვენებული იყო იშვიათი მფლობელი ქართული ენის განძისა და იშვიათი ხელოვანი ადამიანის გრძნობების დასახვის და ბუნების მრავალფეროვანების და სიდიადის აღწერის.

განსაკუთრებით მწვავეა ეს დანაკლისი უცხოეთში მყოფ ქართველობისათვის, რადგან განსვენებული ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო უცხოეთში, ქართული კულტურული ცხოვრების ელიტის.

ოდესმე ქართველი ხალხი უსათუოდ გადასვენებს მის ნაშთს სამშობლოში და მიაბარებს მშობელ მიწას. და ჩვენს მოვალეობაა მისი საფლავი ერს შეუნახოთ. დიდი ცოდვა იქნებოდა საფლავი ოხლად იყოს მიტოვებული.

უნდა დაუდგათ განსვენებულს ძეგლი, როგორც მას ეკუთვნის, როგორც დიდ ქართველს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყოველი ქართველი, სადაც არ უნდა იყოს ის, გაიღებს თავის წვლილს.

ამით ღირსეულად ვცემთ პატივს ჩვენს დიდ თანამემამულეს და მოვიხდით უკანასკნელ ვალს განსვენებულის მიმართ.

ჩვენს მოვალეობად ესთვლით, აქვე განსვენებულის სახელს და პატივის დასაცავად ერთი განმარტება თანდასრუთოთ.

მოსკოვის ერთ გაზეთში მოთავსებული იყო წერილი განსვენებულის წინააღმდეგ, საესე ცილისწამებით და ტყუილებით. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ქართველის სახელს ვერაფერს ავნებს, ხოლო ავტორის სრულ წახდენას და ზნეობრივ

გახრწნას ავტოციებს. სამწუხაროა, რომ ამ წერილის ავტორი ქართველია და უფრო სავალალო ის არის, რომ ეს წერილი მიმართულია ხოლ ლიტერატორის წინააღმდეგ, რომელმაც განსვენებულ გრ. რომაქიძეს შესანიშნავი წერილები უძღვნა და ის დიდ ევროპიელ მწერალთა წრეს მიაკუთვნა.

უფლისა და ერის წინაშე ვაცხადებთ და ვღირსებით, რომ გრ. რომაქიძეს არასდროს და არსად არავითარი ურთიერთობა ან კავშირი „მესამე რაიხის“ მესვეურებთან, ან და პარტიის ხელმძღვანელებთან არ ჰქონია და არც ერთ მთავანს პირადად არ ეცნობდა.

ისეთ ჰუმანიტისტ, ტოლერანტ, ფაქიზს, თვინიერ და მგრძობიარე ადამიანს, როგორც იყო განსვენებული, დასწამო თითქო ის დიკტატორის და ტერორის მომხრე იყო, ისეთი სიბოროტე და სიყვეა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ზნედაცემულ ადამიანის გულიდან და გახრწნილ ტვინიდან წარმოიშვას. თუ მან დასწერა დიკტატორების შესახებ, ესენი მას აინტერესებდა როგორც ისტორიული ტიპები და მოვლენა და არასდროს მათი ალტაცებული არ ყოფილა, და მათ, როგორც ბუნებით მგოსანი, მხატვრულად სახვედა. მწერალს იტაცებს დიდი მოვლენები, ის განიცდის მათ სულსხვაგვარად, ვინემ უბრალო ადამიანი, მისი შთაგონება სხვა აზრს და ის ინტუიციით წერს ხოლმე. იგი მოვლენათა გარეშე ვერ დარჩება. ვერ დადგება, თუ ის შემოქმედი და აზა ბელეტრისტი. მან წინად ლენინზედაც დაწერა, მაგრამ ის არასდროს მისი თაყვანის მცემელი არ ყოფილა. რაც შეეხება მის რომანს სტალინიზე, რომელიც უცხოეთში გამოიცა, ის თვით ისტორიამ გაამართლა. აბა, თუ ეყვაცია, გაზდოს თვით იმ წერილის ავტორმა სტალინის ქება! (სხვათა შორის, განსვენებული არასდროს არ სწავლობდა ჰაიდელბერგში, როგორც ამას იმ წერილის ავტორი აცხადებს, არამედ ლაიპციგში და იყო მოწაფე გამოჩენილ ჰუმანიტისტმცნიერთა — ვულტის, ლამპრეხტის, ბიუხერის, „კათედრის სოციოლისტი“ ვაგნერის და სხვათა).

გრიგოლ რომაქიძე არასდროს არ ეწოდება პოლიტიკურ საქმიანობაში; მან მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა, როდესაც ერთმა ქართველმა რუსულ ენაზე გამოცემულ ემიგრანტულ ჟურნალში დაწერა, რომ საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც ოსმალეთის ფარგლებშია, არის აზა პოლიტიკური პრობლემა, არამედ არქეოლოგიური

კვლევათა საგანიო. მაშინ კი გრ. რობაქიძე გან-
რისხდა და გამწარდა. რა დიდებული იყო მისი
მეტყველება, არგუმენტები და ისტორიული გან-
ხილვა! აქ იძახდა მგოსანი, ისტორიკოსი, ქართ-
ველი ბატრიოტი, აქ იყო გრძნობათა და გონების
გასაოცარი სინტეზი. შეპყრობილი ვუსმენდით
ქართველ ოქროპირს და ისეთი გრძნობა გვექონ-
და, თითქო ციებ-ცხელებამ შეგვიპყრო.

გრ. რობაქიძე ქართული კულტურის და რაო-
ბის საწყისების და ძიების მხილებელი იყო და
მათი ძლიერებით აღფრთოვანებული. მისთვის
ქართველი ადამიანი ზეკაცი იყო. და თუ ეს
ყოველივე მას ცოდვად ჩაეთვლება, დაე იყოს
ასე, მაგრამ ეს „ცოდვა“ მას შარავანდედით მოე-
ფინება და მისი სხივები შეილთა-შვილთ ვადა-
სწვდება.

ქართულ ეურნალგაზეთებში ზშირად იწერება
განსვენებულის შემოქმედების შესახებ, მაგრამ
არასდროს ავტორს არ ასახელებენ...

საქართველოში ვერ მოიხსნება იმ ქართველის
სახელი, რომელიც მეთაურია საქართველოს
მოდერნულ კულტურულ განვითარებისა, იმის
სახელი, ვინც დავიწყებული ქართული ფილო-
სოფიური ენა ისევ აამეტყველა და ქართული ლი-
ტერატურა ისევ ევროპისაკენ მიაბრუნა!

გრ. რობაქიძე ხომ „ფეოდალური“ წარმოშო-
ბის არ ყოფილა და არც მისი ნაშთებით დატ-
ვითული; წარმოიშვა ქართველი ხალხის წიაღი-
დან, ისე როგორც ჩვენი თანამედროვე სახელო-
ვანი მეცნიერები საქართველოში, და ამ ხალხის
სულის, სიბრძნის, მეტყველების და გრძნობათა
მსახველი და მეტყველი იყო.

გრ. რობაქიძე უკვდავია და მის სახელს ვერა-
ვინ ვერაფერს დააკლებს.

ნიკო ნაკაშიძე

თავმჯდომარე

დიდი ქართველის გარდაცვალებას

ვალოკობი

შეუძლებელია ყოველი შეგნებული ქართვე-
ლის გული მწუხარებით არ შეპყრობილიყო გრი-
გოლ რობაქიძის დაკარგვის გამო.

ჩვენი სახელოვანი მწერლის მრავალსახოვანი

შემოქმედების განხილვა და შეფასება უაღრესად
დიდ შრომას და უნარიანობას მოითხოვს.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის მო-
უდგომელი მკვლევარი უდავოდ მიიღებს გრი-
გოლ რობაქიძეს, როგორც ქართული სიტყვის
დიდ ისტატს, რომელმაც მის დაკარგულ ძირებს
მიიგნო და მრავალფეროვან შემოქმედებაში გა-
მოავლინა; უდავოდ მიიჩნევს მისი ლიტერატუ-
რული ენის თავისებურებას და მის როლს, რო-
გორც ღრმა მოაზროვნე მწერლისას ქართული
ეროვნული კულტურის განვითარებაში.

იგივე მკვლევარი აღნიშნავს, რომ გრიგოლ
რობაქიძე, მსგავსად ექვთიმე მთაწმიდელისა,
ათასი წლის შემდეგ — პირველი ქართველი მწე-
რალი იყო დასავლეთის ლიტერატურულ სამყა-
როში რომ შემოიჭრა და ქართულ ლიტერატუ-
რულ შემოქმედებას ღირსეული ადგილი დაუშ-
კვიდა.

ვგლოვობთ ჩვენი ეროვნული სიამაყის დაკარ-
გვას.

საფრანგეთში მყოფ ქართველ მწერალთა და
და ეურნალისტთა კავშირის გამგებია.

ბ-ნ კალე სალიას

ქართველი ერის მეოცე საუკუნის ჰუმანიტ-
ლიტერატურულ - ფილოსოფიურ შემოქმედებას
და გრიგოლ რობაქიძის პიროვნებას ბევრი რამ
აქვს საერთო.

გრიგოლ რობაქიძის მიერ შექმნილ ფართო
და ღრმა აზროვნებით დამუშავებულ ნაყოფმა
მსოფლიო განათლებულ ძალებს აშკარათ დაა-
ნახეა, რომ საქართველოს კიდევ შეუძლია გონი-
ერ და მაღალ ბუნებოვან პიროვნებათა შობა -
აღზრდა.

სატირალია და უზომოთ სამწუხარო, რომ ჩვე-
ნი ისტორიულ ბედ-უკუღმართობის გამო ქართ-
ველ ერს არ აქვს საშუალება, რომ თავისი ბუმ-
ბერაზი შეილი სათანადოთ დაიტაროს და ღირ-
სეულათ გამოეთხოვოს.

დიდ ბრიტანეთში მყოფ ქართველთა სათ-
ვისტომოს სახელით

თავმჯ-რე ალ. ყიფიანი.

22 იანვარი 1963 წ

ლონდონი



პარიზში

ბელგიაში მცხოვრები ქართველობა უღრმეს
უზარებას გიცხადებთ „ბედი ქართლისას“ გა-
მცემლობას, თანამშრომელთა და მკითხველთ,
ვისი საყვარელი და საამაყო მწერლის გრიგოლ
რობაქიძის გარდაცვალების გამო.

ჩვენ, ქართული სიტყვისა და სიტყვა-კაზმულ
წერლობის პატივმცემლები, მასში ეკარგათ თა-
სისებურ, ნიჭიერ და ცოდნით სავსე მჭერ-მეტყ-
ველს და კალმოსანს, რომელსაც დიდი ნაყო-
ბიერი მოღვაწეობის მანძილი აქვს გამოვლილი,
როგორც იქ საქართველოში, ისე აქ უცხოეთში.
მან გონებრივი შრომით, პირნათლად გაიკაფა
თელი გზა მისი ცხოვრებისა, ბეჯითად დაიცვა
ქართული აზრი და შექმნა ღირსეული თხზულებ-
ანი; მზგავსი ჩვენი დიდი მგოსნებისა და სასი-
აღლო ყოველ, თვითეული ჩვენთავანისათვის.

მისი ძვირფასი მოგონება სამუდამოდ წაუშ-
ვლილ დარჩება ჩვენ შორის.

ეპოქალური მნიშვნელობის „გველის პერანგი“
და „ლამარა“, გრიგოლ რობაქიძის მთელი ორი-
გინალური პროზა და პოეზია, ყოველივე მის
მიერ ზეპირად, თუ წერილობით გამოთქმული
შედეგები ჩვენი ეროვნული კულტურის საუნ-
ჯეს ამღიღრებენ და ამითვე ქართველთა ერო-
ვნულ შეგნებას აძლიერებენ და აღრმავებენ.

სამწუხაროა... მეტად სამწუხაროა... ნამდვი-
ლად გულის მომკვლეელი... სულის ამღვრევი
იმაზე ფიქრი, რომ მწარე ბედმა ამ დიდ ქართ-
ველს, სამშობლოს მოტრფიალეს, მის მესაიდუმ-
ლეს, სიკვდილი უცხოეთში არგუნა და მის ნეშტს
მშობლიური მიწის სითბო დააკლო.

მარადიული იქნება გრიგოლ რობაქიძის ხსე-
ნება!

დიდება მას! დიდება მის ნამოქმედარს!

სოზოს ქართველთა სათვისტომოს სახელით
და მისი გამგეობის დაეალებით

ა. შათირიშვილი

21 დეკემბერი, 1962 წ.

ღრმა პატივისცემით

ირაკლი ოთხმეზური

„ბედი ქართლისას“ რედაქციას.

„ბედი ქართლისას“ რედაქციას

ბატონო რედაქტორო,

სოზოს ქართველთა სათვისტომო უზომო
უზარებას გამოსთქვამს ქართველი პოეტის და
მწერლის გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების
გამო.

გთხოვთ თქვენი ჟურნალის უახლოეს ნომერ-
ში მოათავსოთ ჩვენი შემდეგი განცხადება:

დიდი იყო მისი ამაგი ქართული პოეზიის, ქა-
თული მწერლობის, ქართული თეატრის, ქარ-
თული გამოთქმითი ხელოვნების განახლებისა,
ამღიღრებისა და ამაღლებისათვის.

დიდის მწუხარებით გაევიეთ გამოჩენილი მწე-
რლის და დიდი მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის
გარდაცვალება.

გრიგოლ რობაქიძის პირველმა საჯაროთ წარ-
თქმულმა მომჯადოებელმა ლექციამ, მისმა
პირველად დაბეჭდილმა თავისებურმა ლექსმა,
ისმა პირველადვე დადგმულმა პიესამ იმ თა-
თვე ახალი სული შეიტანეს ჩვენს მწერლობაში
თეატრში; ახალი მიზნები დაუსახეს მათ, ახა-
ლი სტილით, ახალი თვალთახედვის საზომებით

უღრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ ქარ-
თულ საზოგადოებას შინ და გარეთ გამოაკლდა
ქართული კულტურის უდიდესი მოამაგე და ქარ-
თული სიტყვის დიდი ხელოვანი.

ოთარ ზალდასტანი

ამერიკის შეერთებულ შტატების ქართული
სათვისტომოს თავმჯდომარე.

ჩემო ძვირფასო გრიგოლ!

ჩემო საყვარელო მეგობარო! შენ წახვედი და მე დამტოვე. მაგრამ იმავ სიტყვებით მოგმართავ, რომელიც შენთვის, ცოცხალისათვის მითქვამს:

უშველად იცოდი, თუ რაოდენი „პროპაგანდა“ გავიწევია ჩვენი უცხოეთში ყოფნის დროს, რაოდენი წერილები დაგიწერია ვახეთებში, გრძელი წერილებიც პერიოდულ გამოცემებში, რაოდენი მოხსენება წავგიკითხავს, რომ „ჩვენი თავი გავვეცნო“ უცხოელთათვის, მათი „ინტერესი გავველვიებო“ საქართველოსადმი, რაოდენი „მემორანდუმი“ გადავიცია მთავრობათათვის და სხვ., რაოდენი ფულიც კი დახარჯულა ღარიბი ქართველობის ამ საქმისათვის! და შედეგი ყოველივე ამისა უმეტესად არარაობას უღრიდა. იყო „ინტერესი“ უცხოთა ჩვენადმი, — ასეთ პროპაგანდას თვითაც აწარმოებდნენ და ჩვენიც თითქმის ნაყოფიერი იყო. არ იყო ეს ინტერესი, — ვერავითარი მემორანდუმი, პრესა და მოხსენებები ვეღარ გვიფარავდნენ მათ მიერ საქართველოს დავიწყებისაგან და უმეტესებისაგან. მახსოვს, პირველი დიდი ომის დროს, ჩემ მოხსენებათა შემდეგ ბერლინში საზოგადოების წინაშე, რომელთაც ესწრებოდნენ საკმაოდ რჩეულნი, რა კითხვებითაც მოამართავდა ხოლმე ბევრი: სად არის საქართველო? — თქვენი ან-ბანი ხომ „კირილიცა“ და როდის შემოიღეთ? — თბილისში რამდენი მეჩეთია, საინტერესო უნდა იყოს ეს აღმოსავლური ქალაქი“ და სხვ. რაოდენიმე წუთის წინ კი დამთავრებული მქონდა დიდი მოხსენება საქართველოს მდებარეობაზედ, ისტორიაზედ, სარწმუნოებაზედ, ერთობ კულტურაზედ, და სხვ.! — ხოლო გამოცხადდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა და გაჩნდა საქართველოს აღმავალი ბერლინში, უცბად ათასობით იცოდა ხალხმა საქართველოს გეოგრაფიაც, კულტურაც, ეკონომიკაც და ყველაფერი, — გადაჩხრეკილი ჰქონდათ უკვე ლექსიკონები და წიგნები, ძველი და ახალი, და თხოულობდნენ ვიზებს იქ გასამგზავრებლად — „საქმეთათვის“. „ინტერესი“ იყო!.. მაგრამ როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაჰკარგა, კვლავ შთაინთქა იგი დავიწყების უფსკრულში უცხოეთის საზოგადოებათა უმეტესი ნაწილისათვის. „ინტერესი“ აღარ არის და ჩვენი „პროპაგანდა“ შედეგიც 1921 წლითგან ისევ არარაობას უღრის. მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს პროპაგან-

დაც საჭირო იყო. აუცილებელი. მაგრამ სულ სხვა საქმეა, როდესაც უცხო საზოგადოებას იმას ვაძლეუთ, რასაც თვით აქვს ღირებულება და ვაძიებულებთ იცნოს ეს ღირებულება, ქართველისაგან შექმნილი და საქართველოს მაჩვენებელი. ეს არ არის „პროპაგანდა“, მაგრამ საუკეთესო და დიად ძნელი საშუალება უცხოთა შორის დაუვიწყარობისა და პატივის მოპოვებისა. და შენ, ძვირფასო გრიგოლ, უდიდესი ღვაწლი მიგიძღვის ამ ხმრით შენი სამშობლოს წინაშე. შენი წიგნები, გეომანუალად დაწერილი: „გველის პერანგი“, „მოკლული სული“, „ქალღმერთის ძახილი“, „გრალის მცველები“ და სხვ. ძველი წესით დაწერილი „რომანები“ არაა. „ჩვენი ცხოვრებიდან“, არამედ შენი ორიგინალური შემოქმედება. გულწრფელად ვიტყვი, გადაქარბებადაც რომ ვინმემ ჩამითვალოს, რომ მე არ მეგულება არც ერთი სხვა მწერალი, რომელსაც პროზით მოთხრობა სიტყვათა მუსიკად, სიმფონიად გადაექციოს ისეთი საკვირველი ხელოვნებით, როგორც შენ შესძელი. ეს სიმფონია საქართველოს მიწაზედ აღესრულებს, და შენი გმირები ჩვეულებრივი, ე. ი. „ცხოვრებიდან“ ამოღებული გმირები კი არ არიან, არამედ ქართული არსების ხორც-შესხმულობანი. სადაც გიგანტი აზროვნობდნენ და ღვთის შვილნი მუსიკოსობდნენ, იქ რჩეულთ დაავასეს, გაიგეს შენი ხელოვნება, პატივი დასდევს ნას დიდი, და საქართველო და ქართველიც მათთვის მარად დაუვიწყარ და პატივით მოხსენებულ იქნებიან, რათგან შენი ხელოვნება ყოველთვის აღაფრთოვანებს მათ, ვინც რჩეულნი არიან იმ მაღალი ხელოვნების გავებისათვის და სიყვარულისათვის, რომელთაც შენი ქვეყანა და ერი ადიდებ.

შენი წიგნები მკითხველთა „მასისათვის“ ან არის დაწერილი, არც საშუალო „განათლებული“ მკითხველისათვის, — მათ უმეტეს ნაწილად კრიმინალური რომანები უფრო მოსწონს, ან ტლანქი „რეალიზმი“, — ანამედ „არისტოს“-ებისათვის სულითა და გულითა. ასე სჯობდა, ძვირფასო გრიგოლ: ამათ დავიწყება არ იციან იმისა, რაც კეთილია და კეთილშობილი, რათგან თვით არიან კეთილნი და კეთილშობილნი, და მათ არც შენ წიგნებში აღსახული საქართველო და ქართველი დავიწყებდათ. ხოლო „მასისამ“ მალე იცის დავიწყება: იგი „მოდის“ მიმდევარა...

აწ განისვენე მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო.

მიხეილ წერეთელი



მ. წერეთელი, ნინო სალია, გრ. რობაქიძე

**გრიგოლ რობაქიძის
სსკმვანს**

საქართველოს ემიგრაცია მრავალჯერ მგლოვიარედ ყოფილა და არა ერთი ღირსეული წარმომადგენელი გამოუტრია. მხოლოდ პოტენციალურად ასეთი დიდი ზარალი მას ჯერ დიდი ხანია აღარ განუცდია და ქეშმარიტად უნდა ითქვას, რომ გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალებით, ჩვენ ქართულ რიგებს უდიდესი დანაკლისი შეეშინევა, დაგვაკლდება შეუდარებელი მებძოლის სიძლიერე, რომელიც გუშაგად გვეყავა მრავალ ფეროვან დარკში ჩენი მოღვაწეობისა.

გრიგოლ რობაქიძე იყო საუკეთესო წარმომადგენელი საქართველოს სულისა; მისი კეთილშობილური ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველად საამაყო ქართველი ერისათვის.

მან ბავშვობიდან იგრძნო და შეიყვარა თავისი სამშობლო, ღირსეულად აღვითარდა ქაბუჯობის დროს, შესანიშნავად შეისწავლა და ეზიარა დასავლეთის კულტურას, განიხსენებდა იმ ფილოსოფოსთა სიბრძნით, რომელთა სინტეზი იყო

კლასიკური გენია ქრისტიანული ზნეობის მატარებელი.

გრიგოლ რობაქიძემ თავისი კულტურა შეავსო პლატონის, პლოტინის, გოეთეს და ბერგსონის შესწავლით; თვის გულში გაამაგრა სარწმუნოება და ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რომლის სრული და ერთგული მატარებელი იგი ბოლომდის დარჩა.

სწავლის დამთავრების შემდეგ, გრიგოლ რობაქიძე ბრუნდება საქართველოში და სრული შეგნებით შეუდგება ლიტერატურულ მოღვაწეობას. იწყებს პოეზიით, მაგრამ შიირობა, მისი თვალსაზრისით, არ იყო მხოლოდ ნიჭის ან გულის გრძნობის გამოხატულება, არამედ უმაღლესი ზნეობრივი აქტი და სამსახური სამშობლოსათვის. ამ გრძნობით დაწერა მან მისი უკუდავი დრამა-ტრაგედიები. მისი ახალი ლიტერატურული ფორმა საეესებით შეეფერებოდა მის ესტეტიურ ცდას ქართული ენის გალამაზებისა, რაც ასე უხდება ძველი ტრადიციების ფორმას, ოღონდ განახლებულს თავისუფალი რითმით, ისე როგორც ხმარობდენ ძველად რელიგიურ ელვაებში.

ამ ლიტერატურული კონცეპციის უმაღლესი ნიმუში არის გრ. რობაქიძის „ლონდა“, „ლამარა“ და „მალშტრემი“, რომლითაც თავდება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში. აქ, საზღვარგარეთ, გრ. რობაქიძე გვაძლევს თავის რომანებში დაჩაგრული, ქართული სულის დახასიათებას. შესანიშნავი მკოდნე გერმანული ენისა, იგი გადასწყვეტს ამ ენაზე გამოაქვეყნოს თავისი თხზულებები და გადაუშლოს მსოფლიოს საქართველოს ნამდვილი სახე მძლავრ მხატვრულ ფორმებში.

ამ მოკლე წერილით მინდა ვლი მოვიხადო ამ დიდი ქართველის წინაშე და მარტივი სიტყვით თაყვანი ვცე მის ბუმბერაზ პიროვნებას.

ირაკლი ბატონიშვილი

მიტოსის აღორძინება

(მაგური ძალა დიდი ქართველის
პოეტურ შემოქმედებაში).

რულოვ კარმანისა

1962 წლის ნოემბრის 19-ს სამუდამოდ გამოგვეთხოვა, მარტოდ შთენილი, თითქოს ყველას მიერ მიტოვებული, მყუდროებაში მყოფი, დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე.

ის განშორდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას... თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, გრიგოლ რობაქიძე იყო გონებით და სულით ძლიერი. გოლიათივით ამაღლებული... იგი იყო აღვსილი შემოქმედებით, ვით საკურთხეველზე ჩაუქრობელი ცეცხლი. გრიგოლ რობაქიძის პოეტურ მადლიან ზღაპრში თავმოყრილი იყო უმრეტეს გემებში უკადღეი შემოქმედებისა.

გრიგოლ რობაქიძე ფლობდა გოლიათურ ენერგიას. მაგრამ წლების განმავლობაში მას კლავი და და სულს უფერფლავდა ჯავრი, და ღვეთავდა ვარაში სამშობლოსი. სამშობლოს ვარაშს განიცდიდა იგი მთელი სიმწვავეით, და როგორც ჩაუქრობელი ცეცხლი სწვავდა მას, მაგრამ წვაში არ იფერფლებოდა... გარნა ცოცხლობდა...

სამშობლოს — საქართველოს სიყვარული, გრიგოლ რობაქიძისა, დაუცხრომელი სულის მარადიული ღლევა იყო. სამშობლო დასტოვა მან ბავშვივით ატირებულმა, და ამ ქვეყნიდან განვიდა მარადისობაში, საქართველოსთან განშორების ლამაზი სევდით.

მის გულს სტკენდა და უიმედობას უნერგავდა ადამიანების მერყეობა... ადამიანთა სულის ცვალებადობა... მას შიშს ჰკვირდა და ბოჰკავდა მსოფლიოში გაბატონებული უღმერთობის გარძნობა... გრიგოლ რობაქიძისათვის უკანასკნელი საყრდენი უზენაესი იყო: ღმერთი!

მუდმივ შემოქმედებაში მოუღერეველი მწერალი უკანასკნელად თითქოს მოიღვენთა სულით. სამშობლოს სევდით დასევდიანებული პოეტი წავიდა ამ ქვეყნიდან უსაზღვროებაში... შორს ყველასაგან... გულგატეხილი... და თან წაიღო უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსი, რომლის

ნახვას ბავშვივით შეპტროფოდა პოეტი. გრიგოლ რობაქიძე დაიბადა 1884 წლის ოქტომბრის 28-ს სოფელ სვირში, საქართველოს (ში)1. ის სწავლობდა გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში. მას შემდეგ ცხოვრობდა თბილისში, სადაც ის იღწვოდა ლიტერატურულსა და თეატრალურ დაზგში. აგრეთვე თავის ღონეს არ ზოგავდა ქართული ეროვნული კინო - ფილმის ასალორძინებლად.

1919 წელს გრიგოლ რობაქიძემ დაამთავრა თავისი პირველი ნაწარმოები: მისტერია „ლონდა“, რომელიც თავისი უბრალოებითა და საორქესტრო ფორმით, ემსაგესება ბენამულ ტრაგედიას. ის გამოწვეულია უმთავრესად მისი მაგური გამოვლენებით და შინაგანი მუსიკალური კომპოზიციით.

შეგვიძლია მოვიყვანოთ რომენ როლანის აღფრთოვანება, რომელმაც თქვა შემდეგ: „ჩემის აზრით, ეს ხელოვნება უახლოვდება ჩემი დიდი მუსიკოსების, ვიღრამ ჩემნი კომპოზიტორის ხელოვნებას!“2), ესე იგი მუსიკიდან მოდის მისი თხრობაო.

1926 წელს გამოვიდა მისი პირველი რომანი „გველის პერანგი“, რომანი ქართველი ხალხისა. ამ რომანით გრიგოლ რობაქიძემ დიდი სახელგაითქვა. ეს იყო მისი შემოქმედების ტრიუმფალური სელა. ეს თხზული შევიდა ქართულ ეროვნულ შეგნებაში, ვითარცა მითოსი ხალხის დგენისა.

ამ წიგნში, რომელიც პოეტმა დასწერა შინაგანი სამყაროს გაშლით, გახელებული გულით, იგი თვალისმჭრელი სურათებით ხსნის აღმოსავლურ საიდუმლოებას და გადაშლის ძველი ინდო-ევროპული და ირანის საიდუმლოებით მოსილ ეპოსს. ამავე დროს ის ხსნის რევოლუციურად აღზნებული რუსეთისა და კავკასიის

1). სვირი — დედუღია პოეტისა, ძველ ქართულში „სვირი“ — მცველს ნიშნავდა.

მთარგმნელის შენიშვნა: 2). 1925 წელს, გრიგოლ რობაქიძის თხოვნით, გიორგი ელიავამ (დაიღუპა 1937 წელს), ცნობილ ფრანგ მწერალს რომენ როლანს გაუგზავნა ელისაბედ ორბელიანის მიერ თარგმნილი „მალშტრემ“ და „ლონდა“.

ამ უკანასკნელით მეტად აღფრთოვანებული ყოფილა ფრანგი მწერალი.

ულტურის შეგმას. თხრობა აქ სულის სიღრმე-
დან მოედინება.

1929 წელს გამოვიდა რომანი „მეგი“ — ქარ-
თველი ქალი“ („მეგი — აინ გეორგიშეს მედ-
ენი“), რომელიც ცდა რეალურ ქალწულში კოლ-
ეული მითური ქალის — მედეას ვაცხოველები-
ა. მარსელ ბრიონი ამ წიგნს უწოდებდა „მსო-
ვლიო ლიტერატურის დოლის ცხენს“.

დრამა-მისტერიაში „ლამარაში“ მოცემულია
მითოსი მიუვალ მთებში შეხიზნული, ქართველი
ერის ერთ-ერთი ძველი ფენის, ხევსურების ყო-
ვა-ქცევა, სადაც ღვთისშვილები მუსიკოსობენ.
ამ დრამა-მისტერიას დიდი მიღწევა ჰქონდა სა-
ბჭოთა კავშირში. ეს დრამა - მისტერია ჩაისახა
თბილისში 1924 წელს. დაიდგა იგი 1926 წელს
თბილისში. მან მოაჯადოვა მყურებელი.

1930 წელს, მოსკოვში, თეატრალურ ოლიმპი-
ადაზე, ზაფხულში, „ლამარა“ დასდგა რუსთა-
ველის აკადემიურმა თეატრმა სანდრო ახმეტე-
ლის ხელმძღვანელობით. ის დაიდგა მოსკოვში
განუწყვეტლივ რვაჯერ. თვით სტალინი დასწრე-
ბია ამ თეატრალურ სანახაობას, სადაც ის მე-
ტად აღფრთოვანებული ყოფილა და ეთქვა:
„ლამარა“ მაგარი სილის კარტყმა მე-2 ინტერ-
ნაციონალის მესვეურებზე, რომლებმაც მთელს
ქვეყანას მოსდეს საქართველოს გათელვაზე საბ-
ჭოთა ხელისუფლების მიერ“.

გრიგოლ რობაქიძემ წესდლო 1931 წელს სა-
ბჭოეთი დაეტოვებია და საზღვარგარედ გასუ-
ლიყო. ამას პოეტი „ლამარას“ ცხოველყოფე-
ლობას უნდა უმადლოდეს. პოლიტიკურს გადა-
წყვეტილი ჰქონდა ოლიმპიდაზე გამარჯვებუ-
ლი ქართული თეატრის ევროპაში გამოგზავნა.
რომ მთელ მსოფლიოსათვის ეჩვენებია „თუ რა
კულტურული ცხოვრების გაშლის სარბიელი მო-
უტანა საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ხალ-
ხებსა“.

1931 წელს გრიგოლ რობაქიძე ბერლინშია.
ბერლინში გამოდის მისი რომანი „ჩაკლული სუ-
ლი“ გერმანულ ენაზე („დი გემორდეტე ზეე-
ლე“) სადაც ევროპიელი მკითხველისათვის ააშ-
კარავებს ბოლშევიზმის არსს, და ამ არსში სა-
ქართველოს შვილთა ცხოვრებას. ამ რომანში
მწერალმა გაშალა ბოლშევიზმი პოეტური პერს-
პექტივებიდან. და გადაუშალა იგი ევროპას, რო-
გორც რთული მოვლენა, ვიდრე ფიზიკურ-ხელ-
სახები. ამ რომანში პოეტმა შექმნა გასაოცარი
ხელოვნებით „მითური სახე“ თავისი თანამემა-

მულისა და ანტიპოდის: ჯულაშვილი სტალინისა.
რომანში „ქალ-ღმერთის ძახილი“ („დერ ლეფ-
დერ გოეტინ“) რომელიც გრიგოლ რობაქიძემ
1933 წელს შეთხზა, გაშლილია საქართველოს
თეატრალური მითიანი მხარის სვანეთის მითოსი.
ამ რომანში გასაოცარი სახით შერწყმულია ქრი-
სტიანული სარწმუნოება და უძველესი კერპო-
თაყვანისცემლობა. აქ გვევლინება ტყის ღმერთ-
ქალი „დალი“, რომელიც იღებს სხეულობრივ
ფორმას.

1937 წელს გამოდის „მცველი გრალისა“ („დი
ჰიუტერ დეს გრალს“). ამ რომანში პოეტი-მოაზ-
როვნე იძლევა საქართველოს მომავლის მტკიცე
იმედს. აქ გადაშლის მწერალი სიძნელეების გა-
დალახვის რწმენას. ეს მომავალი კი შეიძლება
მიღწეულ იქმნას გმირული გამძლეობითა და ერ-
ოვნული სულის შინაგანი გამოვლინებით. ამ რო-
მანის მთავარი გმირია ლევანი.

თავის დიდ ნათხზში, რომელსაც ჰქვია „დემო-
ნი და მითოსი“ („დემონ უნდ მითოს“), გრიგოლ
რობაქიძე იძლევა აღმოსავლეთსა და დასავლეთ-
ში ცხოვრების არსის აზრობრივ-მეტაფიზიკურ
განმარტებას. აქ ის ნათლად გვივლის თავის ეთი-
ურ ამოკანას. ის წარმოგვიდგენს გოეთეს, რო-
გორც უპირველესს, რომელიც მითითურად მზერს
ჩვენი დროის ევროპას. გარდა ამისა გრიგოლ რო-
ბაქიძე აკრიტიკებს ევროპულ-ამერიკული ცხოვ-
რების სულს, როგორც გაუღმერთებელი სამყა-
როს შედეგს.

1945 წლიდან გრიგოლ რობაქიძე ცხოვრობდა
ვენევაში. მთელი წლების განმავლობაში მის შე-
მოქმედებით ძალას დატყო ღრმა დაუძლეურე-
ბა, მაგრამ მისი სული კვლავ ცეცხლდებობდა, ანა-
თებდა როგორც ალი, იწვოდა, მაგრამ არ იფერ-
ფლებოდა, კვლავ ევლებოდა შემოქმედებაში.
პოეტმა შექმნა მთელი რიგი ფილოსოფიური
ესეებისა.

დაუეიწყარი, მხატვრული ენის ოსტატობის
ნიმუშია და აზროვნობის მწვერვალი გრიგოლ
რობაქიძის გამოუქვეყნებელი „ჰიშინი ორფოსს“.

აქ სახეობა სახეობაშია გადახრდილი. ჰიშინი,
ენა, ვალომა, აყვანილა ისეთ მწვერვალზე, რო-
გორც ის მოხუცულია მის სოველაში „იმამ შამი-
ლი“. ეს არის წმინდა პოეტური შემოქმედება მი-
უვალ სიმაღლეზე აყვანილი. ის ზმულია ხელ-
უქმნელი პოეტური ოსტატობით. ამ შემოქმედე-
ბაში იხდება და თვითდინდება თავისუფლები-



სათვის მებრძოლი დაღესტანელი ხალხის სული, რომელმაც „საღვთო ომი“ გამოაცხადა რუსების წინააღმდეგ. სიტყვები ამ ნოველაში, ელავენ როგორც ცეცხლი. ისინი ძირს ეშვებიან, ვით ტიტანური ძალის მქონე სიმძიძე, და ნაყოფიერდებიან ვითარცა თესლი მარადიული.

გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი შემოქმედების წინაგანი სასწაული, ხედება მკითხველს ვით ლოცვა-გარძნეული. მის აზრტევად ქართულს ხომ ალტაცებაში მოჰყავს მკითხველი. საერთოდ: გრიგოლ რობაქიძე საოცარი მზხმელია ქართული ნოველებისა.

გრიგოლ რობაქიძის ღვთისაგან მონიჭებული მშვენიერი შემოქმედება დამთავრდა. იგი გადაიქცა ვითარცა სიმბოლო ქართული ლიტერატურისა, რომელმაც სათანადო და ჯეროვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში.

რაბინდრანატ თაგორეს სახელი იყო პირველი სახელი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოჰუქდა. მას მოსდევდა გრიგოლ რობაქიძე, უფრო პირველქმნილი, უფრო დაკავშირებული ბუნებასთან, ვიდრე ნობელის პრემიის მატარებელი ინდოელი.

ჩვენ, დასავლეთ ევროპელებს, გრიგოლ რობაქიძემ გადავცია ქართული მიწა, მისი მადლი, მისი სისხლი, სუნთქვა ქართული მიწისა, მისი შორეთიდან მომდინარე ზღაპრული ფერები.

გრიგოლ რობაქიძის რომანები, ნოველებია თუ დრამები... არის კავკასიური სული... ამ ქვეყნის ზღაპრული სიმშვენიერის მქონე ბუნება... კავკასიის მივარდნილი, ვით მწვდომი მთები... მისი შიშის მომგვრელი ნაპრალები და ხეობები... მისი ბუნება არის გაშლა სუნთქვისა... თვითეული საგანი, თვითეული არსი, არის აქ მშვიდი და თავის თავნი ჩაძირვა. ყველაფერი ეს პოეტმა-მოაზროვნემ მოგვცა იმავე თხზულებაში „დემონი და მითოსი“.

გრიგოლ რობაქიძე იღებს თავის შემოქმედებითი ფანტაზიის მითოსიდან. მესოპოტამიის ვაკე... რომელიც პირველქმნილი სამშობლოა ქართველთა... ჰალაზა, ძველთა ძველი ხანა, სადაც ბიბლია წარმოიქმნა, სადაც მითითური ეპოსი წარმოიშვა. ეს არის მითოსი გილგამეშის გარშემო. მასში მოთხრობილია ადამიანის მისწრაფება უკვლავებისაკენ, მაგრამ მისი შეუძლებლობა. მასში მოცემულია ბრძოლა გილგამეშისა საშინელი

ჰუმბაზის წინააღმდეგ. მისი სიამაყით აღსავსე გულით უარის თქმა გახდეს შეცვარებული ღმერთქალის იზტარისა.

მაგიური სასწაულმოქმედი და ლეგენდები ძველი აღმოსავლეთისა არის პირველქმედი წყარო რობაქიძის შემოქმედებისა.

გრიგოლ რობაქიძე დგას ვით შემორჩენილი ძე და შვილიშვილი მითითური საუკუნის შუალედში, ვითარ ქალდეველ ხალხთა ნარჩენი. თითქოს ის მას მიელოს, როგორც მემკვიდრეობა ცხოვრების სივრცეში.

მას არ სჭირია, როგორც ჩვენ, ევროპელებს, დაოსტატობით მოხვეჭილი მოგონება მათზე.

გრიგოლ რობაქიძეს აქვს დიდი გონი, ჯერ კიდევ ცოცხლად წედეს სუმერულ თუ ქალდურ, პითიურ და პებრაულ წარსულს; სადაც ის მეტეისტორიის შორეულ სივრცეში თანდათანობით ბინდდება. (ლეოპოლდ ციგლერი გრიგოლ რობაქიძის შესახებ. იხ. „იუბერლიფერუნგ“ გვერ. 263).

სწორედ ეს ხედვა შორეული წარსლისა, განასხვავებს მას, როგორც კავკასიელს, კავკასიის მიუვალ მთების შვილს დღევანდელ დასავლეთურ პოეტებისა და მოაზროვნეებისაგან.

დასავლეთელთა შეგნებაში, ჰვლობს ინდივიდუალური მომენტი. აღმოსავლეთელთა შეგნებაში კი, პირიქით ფლობს ცნობიერება, გარძნობა, რომელთან ჩვენ მილიანად და განუყრელად დაკავშირებული ვართ.

დაბინდებითა და სულიერი გაღარიბებით დასავლეთი გამხდარა ინდივიდუალურ ერთეულად; იმ დროს, როცა აღმოსავლეთი მსოფლიოსთან განუყრელ კავშირში ცხოვრობს და საქმიანობს. არის სწორედ მიზეზი იმისა, რომ ხელოვნება აღმოსავლეთში იმყოფება, რაღაც უსასღვროებაში, ეს უსასღვროება დაუსრეტლოა ნივთიერებათა — საგანთა ზოგისა — იმ დროს, როცა დასავლური ხელოვნება ინდივიდუალურია და მტკიცედ მოხაზული. აღმოსავლურმა პოეტმა სულს უნდა მისცეს კოსმოსურ ოკეანიდან ამოსვლის საშუალება, რომელიც ამ სულში ბობოქრობს. დასავლეთურს კი პირიქით: მას სული თავისი ინდივიდუალობის ნაპირიდან დიდ ზღვაში უნდა შეჰყავდეს. აღმოსავლეთში, საიდანაც ის მოდის, ბატონობს „მამა“; დასავლეთში კი „შვილი“. პოეტის მისწრაფება უნდა იყოს — ყოველ ორგანიზმში, ყოველ მომხდარ ამავეში „მამა“ ჰპო-

ოს, და ის წარმოადგინოს, რაც შეიძლება ლირიკულ ფერებში. ძირითადი დანიშნულება, მარცხალი გრიგოლ რობაქიძის მთელი სიცოცხლისა და შემოქმედებისა არის შემეცნება. ყოველი სულიერი არსება, ადამიანი, სიკვდილის შეილია. მას იგი ვერ გაეცქევა ვერსად, მაგრამ უხილავ მარადიულ ღვთაებრიობას იგი თავის თავში ატარებს.

ხელოვნების მიზანია უხილავი სული ღვთაებრიობისა შესაგრძნობი ვახდეს. განასახიეროს იგი დიად სახეობაში. თუ შემოქმედმა ეს მარადიული ღვთაებრიობა არ შეიგნო, მაშინ ის ხელოვანი როდია. ზმული მისი ხელოვნება არ არის. ამ არსიდან გამომდინარეობს მომავლადი და უცვლადი, სავალბებელი ჰანგებისა, რომ მოყოლილი ამბავი თვითონ ისხამდეს სხეულს.

ეს არის საიდუმლოება — მაგი გრიგოლ რობაქიძის ხელოვნებისა. უცვლდება, რაც ჩვენში ცოცხლობს, რომელიც სიტყვით ეთვისება მას, არის მაგი, სიტყვა. სიტყვა ქართულად გარდა ამისა ნიშნავს კრებულს ანუ ერთობლივობას. ამ სიტყვამ საგანი უნდა გაიტაცოს, ის უნდა შეიცნოს.

მხოლოდ აღმოსავლეთმა იცის ჯერ კიდევ მაგი. მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს შინამყოფელი ძალა ამ სიტყვისა.

გილგამეშის მათფლსახეობა, ვითარცა დამადასტურებელი ძველი სამყაროსი, გრიგოლ რობაქიძემ ღრმად აღიქვა მისი საიდუმლოება. მან ღრმად შეიტყო მთელი საიდუმლოება ამ უცვლადი შემოქმედებისა. მაგი სიტყვისა უღერს მასში.

ეს მაგი ჰქმნიდა ხშირად ფშავურ-ხევსურულ კილოს, რომელიც არის ერთი უძველესი ძირი უძველესი ქართულისა, მაგრამ არა აქაულის, არამედ ცოცხალი.3).

ენა გრიგოლ რობაქიძისა არის ლაკონური. მისი სიტყვები ძირმაგარია. ლითონია ხმა ხევსურ-

მთარგმნელის შენიშვნა: 3). არ იქნებოდა ინტერესს მოკლებული, მოგვეყვანა ამის შესახებ თვით განსვენებული დიდი პოეტ-მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის ჩემთან მინაწერი წერილიდან ადგილები. აი რას მწერდა იგი: „როცა ვამბობ „არქაული“, ამით არ მინდა ვთქვა ის, რასაც ამ ცნებით ევროპაში ჰუელისხმობენ: „დრომოქმული“, „აღარ-ცოცხალი“.

„ხევსურულ - ფშავური შეყენებულია, ასე ვთქვათ, დროში, მარნა ცოცხალია“. 12. 5. 1953.

რისა. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ უძველეს ადამიანებს. გრიგოლ რობაქიძემ ამოხსნა კილო და თხრობა ხევსურისა, ქისტისა, მცხეთისა და სვანისა. აქ ჰპოვა გრიგოლ რობაქიძემ მარავი თავისი შემოქმედებისა. როგორც ქართულ-შახლი, როგორც უღერავი ლითონი მონავადობენ სიტყვები და ელავენ თვალწარმატო სურათები „ლაპარაში“; აქ სიტყვები მოლივლივებენ აგრეთვე ჯადოსნურად გაკეთებულ და საოცრად დაოსტატებულ ნოველაში „იმამ შამილი“. აქ ყველაფერი ცეცხლოვანია. სასწაულებრივია და გაუმეორებელი გრიგოლ რობაქიძის ენა. სიცოცხლის ამძაფრება ეკუთვნის მხოლოდ მას, გრიგოლ რობაქიძეს. მისი შორსმჭვრეტელი თვალის გასცემს პირველქმნილ ადამიანის აღტაცებას, რომელმაც ცეცხლი აღმოაჩინა. მისი შემოქმედების სახეზე არის მწიფე თესლი მითოსისა და ცეცხლისაგან ცეცხლის ნატეხი გილგამეშისა და ელიასი.

არ იქნებოდა ინტერესს მოკლებული გვეთქვა და გავერკვია ის კავშირი, რომელმაც წარმოშვა შინა-სახე = იდეა გრიგოლ რობაქიძეში „ლაპარას“ წარმოსახვისა. „ლაპარა“ ასე აღვივლად არ ზმულა. მის ზმას დასჭირდა წლები. მე-4 აქტი გრიგოლ რობაქიძის დრამატული სიმფონიისა ანუ სიმფონია-დრამისა „ლაპარასი“ წარმოიშვა შემდეგ ვითარებაში. იმ ხანებში გარდაიცვალა საქართველოს ორფეოსი, მეგობარი გრიგოლ რობაქიძისა სარაჯიშვილი. 4).

„მე არ ვიყავ ეს, რომელმაც ის დასწერა, არამედ ვილაც ჩემში. ის მიკარნახებდა ყველაფერს“ ამბობს გრიგოლ რობაქიძე.

ასე წარმოიშვა თვალწარმატო, ჯადოებისაგან მიმყვანი, გაუმეორებელი ქმნილება მე-4 აქტისა „ლაპარა“, ვითარ ნაყოფი ხალასი ინსპირა-

მთარგმნელის შენიშვნა: 4). აი რას ამბობს განსვენებული გრიგოლ რობაქიძე: „იმ დროს, როცა ვანო სასიკვდილოდ იყო დავარდნილი „ლაპარას“ ეწერდი... დავმარხეთ განსვენებული. შევუღდექი მეოთხე „კამარას“. მოვათვე იმ ღამესვე. მოვათვე ისე, რომ ერთი სიტყვაც რაა --- შესწორებაც არ დამჭირებია. გულისტკივილი თუ სინათლედ იქცა --- სხვანაირად ვერ ამიხსნია ეს საოცარი მოვლენა“.

იხ. ნინო სალია: ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების 25 წლის თავი. „ბედი ქართლისა“ № 6.

ციისა. ალბად სამუდამოდ დადუმებულმა ირ-
ფეოსმა თუ არგუნა პოეტს ეს დიდი პაღლი

„ლამარას“ და საერთოდ გრიგოლ რობაქიძის
ყოველ ზმულს ახასიათებს შინაგანი მუსიკალუ-
რი აღნაგობა. „ლამარა“ ხომ პირველ სტრიქონი-
დან უკანასკნელამდე ხსენებული პრინციპითაა
გამართული.

მაოფლიოს ციურსა და მიწიერის პირვანდელი
ძველისძველი ძალები: მზე, მთვარე, და დედა-
მიწაზე ყველა ის რაც იზრდება, ხარობს, რაც
ხდება, ქარი თუ წყლის ჩანჩქერის ჩქარაილი... ბუ-
ნების კისკისი... სივრცე თუ უდაბნო ქვისა, მცე-
ნარის ყვავილება, წვა --- ცეცხლი პირუტყვთა
თუ უტყვთა... ყველა ეს ცხოვრობს მეორე ცხო-
ვრებით, ადამიანის შინასამყაროში, და უერთ-
დებიან მაგიურ წესს, რომელიც საკრალური წე-
სით ეანონსირდება. (პანს პეშკე: „ოფენბარუნგ
დერ ელემენტე“, ეკკარტ, 1936, 2.).

„ქალ-ღმერთის ძახილში“ („დერ რუფ დერ
გოეტტინ“) მოცემულია ტყის ქალღმერთი დალი,
ქართული (სვანური) ვარიანტი ჰელინთა არტე-
მისის და რომაელთა დიანასი, თავისი ცეცხლო-
ვანი სუნთქვით.

„მეგზი“ ზმულია მითიური კოლხელი ქალი
მედია, როგორც მისი ხორცი და სისხლი: ბედი
მეგასი, არის ბედი მედეასი, მისი ჭირი და ლხი-
ნი, მედეას ჭირი და ლხინია.

„ჩაკლულ სულში“ („დი გემორედტე ზეე-
ლე“), ზმულია იშტარის მითოსი ჭეშმარიტებაში;
აქ მსხვერპლად ეწირება ნატა თამაზს; ვითარ ღმე-
რთი იშტარი თამუცის. იშტარის მწუხარება, სე-
ვდა და უბედობა: ნატას მწუხარება, სევდა და
უბედობაა. ამგვარი მსხვერპლის გაღებაა გადა-
შლილი „გველის პერანგში“, სადაც სიბრძნე გვე-
ლისა შუაგულეთში დგას. 5).

გველი მსხვერპლს იღებს თვითონ თავისი პე-
რანგით. ამით ის იგებს სიკოცხლეს (პეშკე). სი-
კოცხლე და სიკვდილი აქ არ არის წინააღმდე-
გობა... მთელი სიმძიმე დრამისა მითოსია. მაგრამ
თვით მითოსი არის კოსმოსური მოვლენა და არა
ისტორიული. უამითოდ მოკვდებოდა ეს დრამა.

მთარგმნელის შენიშვნა: 5). „გველის პერან-
გის“ შესახებ, ცნობილი ავსტრიელი მწერალი
სტეფან ცვაიგი ამბობს: „ეითარცა არაჩვეულებ-
რივი, ვერა რომელ კატეგორიაში მოსაქცევი
წიგნი“.

დრამა „ლამარათი“ გრიგოლ რობაქიძემ სო-
ფოკლეს ტრაგედია უკან ჩამოიტოვა.

აქ იზრდება სრული ძალით სუნთქვა მითოსისა.
ხევესურებშია იგი გავლენილი. ეს არის ერთიანი
ძველთაძველი ფენა ქართველისა, მიუვალ მთებ-
ში შეიზნული, გადარჩენილი, დღესაც ცოცხა-
ლი.

კიდევ ცოცხლობენ ადამიანები კავკასიაში ხე-
ვებსა და ველებში, პირველქმნილ ველურ ვითა-
რებაში) ანაყოფიერებულნი პირველ მიწისაგან..
მაგარი და ძალღმბარი, გამოუყენებელი ძალით...
სადაც ჯერ კიდევ განუყოფელია და ერთმანეთში
შეირწყმის ქრისტიანული რწმენა დედამიწისა ---
დიდი დედა („მაგნა მატერ“).

გრიგოლ რობაქიძის ადამიანები ცხოვრობენ
და მოქცეული არიან თავიანთ კანონში. ეს კანო-
ნია ბედი ხვედრილი, რაც მათ ბედმა არგუნა.
ისინი ბედს მორჩილებენ. ღრმად ეძლევიან თა-
ვიანთ ბედში. ამ ადამიანების მაჯის ცემა მოდის
ზეიმოდან ზეიმობამდე, თითქოს დაუღვევლ სა-
ზეიმო ფერხულში ჩაბმულანო. ზეიმობენ ოჯახ-
ში ჩაუქრობელ კერის გარშემო. ღრვობენ ხატო-
ბაში, სვანური ფილოსის ზეიმის თავბრუსხვევა-
ბაში, სვანური ფილოსის ზეიმის თავბრუსხვევა-
ში, სიხარულსა და მწუხარებაში, განცხრომასა და
ლხინში. სიყვარული როდი იწეის მათ დაუშრე-
ტელ აღგზნებაში. შინაგან, უმანკოდ ხურს ქარ-
თველი ქალი. შეყვარებულნი ყველა მათი გამა-
ბედნიერებელი გრძობებით, მგზნებარედ გახტ-
რებულნი ახლო არიან ერთმანეთთან; მაგრამ
ისინი არაორდეს არ გადალახავენ უკანასკნელ სა-
ზღვარს.

ყველაზე ძლიერი ამგვარი თავშეკავებული სი-
ყვარული, შინაგან მძლავრი წვით დარჩა ხეცუ-
რეთში. მათი სიყვარული ღვთაებრივია და ხო-
ცოული წვა.

„სიყვარული ღვთაებრივი რამ არის. თუ მას
სხეულით შეეხები — მას ჰკლავ! შეიძლება
მხოლოდ იწვოდე, ცეცხლი გეკიდებოდეს... იწ-
ვოდე და არ იფერფლებოდე“, — ამბობს ხე-

მთარგმნელის შენიშვნა: 6) აი როგორ განმარ-
ტავს „ველურს“ გრ. რობაქიძე: „ველური“ პირ-
ველყოვლისა ბავშვია და ბავშვთან ყოველთვის
არის სიმართლე“.

იხ. „ბედი ქართლისა“ ნომ. 5, 1953 წ. პარიზი.

სურს გრიგოლ რობაქიძის ნოველაში „მაგიური წყაროები“.

ხეცურული სიყვარული — სწორფერი არის მხოლოდ აღზნება... გახურება... მაგრამ შეჩერებული, განსაზღვრულ მიჯნასთან.

დამშვიდებული, დაცბებულები, ძლიერი ნება-სურვილისა იქცევა საკრალურ კურთხევად, უკიდურეს შემთხვევაში მსხვერპლადქცეული.

შეყვარებულთა ეროტიული ენერგია, როგორც სწორფერთა, შეუსრულებელი რჩება. ხოლო წამით აღზნებული სიყვარული ძალა პლატონური „უზენაესობისაკენ“ მიიღტვის.

„სიყვარული არის დაბადება სილამაზეში. მის ადვილი მხოლოდ შევნიერებაში აქვს; ვითარ სხელის ისე სულის მხრივ“. — ამას ლაპარაკობს პლატონი თავის მითოსურ დოქიმას „სიმპოზიონში“. რაც პლატონისათვის მხოლოდ ჩვენება იყო, ამან ხეცურების ზნეჩვეულებაში სახე (ტანი, ფიგურა) მიიღო ან ხორცი შეისხა. იგი ხორც-შესხმულია. ეს კი რობაქიძის თხზულებაში, დიდებულად განსახიერებულია, როგორც მზე-ქალი, მეგი, ლამარა, ლონდა, ნატა, რომელთა სიყვარული მზიურია... მზისგანცხუნებული, წმინდაა, დეთიურია, რომელიც არაოდეს არ გადააბიჯებს ცეცხლოვან, ტანჯვით აღსავსე, მაგრამ ტბილ საზღვარს.

ესენი არიან ის ქალები, რომელთაც გრიგოლ რობაქიძე სისხლსა და ფერს აძლევს, სიყვარულსა და სულს, ეროსისა და სექსუალის ერთმანეთისაგან განუყრელად.

„თუ იოგი თავის შეკავების მითითურ მთავარ ძალაში დგას, ის მიაღწევს რწმენას“. — წარმოიშვების თავისუფალი უარყოფა, გამოიწვევს „წყწარმოშვებას“.

გრიგოლ რობაქიძის ადამიანები ცვიან, როგორც სათამაშო საგნები. ისინი მოჩქრილებენ როგორც ჩანჩქერი, კლდიდან კლდეზე გადავდებული გაუგებრობაში. აქ მოგვყავს სიტყვა ჰორდერლინისა, რომელიც ზედგამოჭრილია ამ ადამიანებზე. „ისინი არიან არსებანი შერწყმულნი ზღნების ელემენტებთან, და როგორც ასეთი, გაზრდილი და დამთავრებულნი ყოველ ფაზაში თავიანთი არსებობისა, რომლებსაც თავიანთი ფეხები მტენარებებთან მიწაში აქეთ ჩაშვებული“ (პეშკე).

ბუნება თავის მხრივ ეშვება მოქმედებაში, რო-

გორც ცოცხალი არსება. ადამიანები განიცდიან სიმშვიდეს... და დახუჭული თვალებითა შესწავლიან უზენაესს.

ასე ცხოვრობენ ისე, როგორც მინდია „ლამარაში“ თავის თავის დაეწყებაში და საწყის-თა საწყისის სიღრმეში ჩაფლულნი. მათი შეხედულებანი ღრმა სიზმარულია. ადამიანები, როგორცაა: მინდია, არჩიბალდ მაკაში, მეგი, ცინო და ლევანი — გამოეთიშებიან თავიანთ თავს და ოცნებობენ მოთმინებით საწყისთა დაწყებამდე. ისინი თითქოს უახლოვდებიან საწყის-თა საწყისს, მაგრამ გამწარებულნი სამოთხის კარის ზღურბლებზე მთელი გრძნობებით ნაღვლობენ უგზოუკვლოდ დაკარგულს.

გრიგოლ რობაქიძის ქვეყანა: კაცასია თავისი გახელებული და მძაფრი ხევებითა და უზარმაზარი თვალუწვდენი კლდეებით, მზისგან გახურებული შიშველი ვაკეები ირანისა და ძველი მხურვალე კოლხეთისა — ის სივრცეებია, სადაც გაისმის განმარტოებული ნაღვლიანი ხმა ბინდში მყოფ მეცხვარის სალამურისა... ჰორიზონტები ამომავალი მზის ჩასვლით, მძივებითა და ჯიგრის ფერი მზის ჩასვლით, ქვეყანა უსაზღვროებაში შესული, სამშობლოს მოგონებით გაყლენთილი... დაუსრულებლობაში შესული.

გრიგოლ რობაქიძის შრომა სინამდვილეში იტოვებს სუნთქვას დაუსრულებლობისას, რომელიც არის აგრეთვე მოცემული იშტარისა და გილგამეშის ბაბილონურ მითოსში.

გრიგოლ რობაქიძე, უდაოა, დასავლეთურ ზოგიერთ პრობლემას უფრო სწვდა და გამართულად განმარტა ის, ვიდრე ჩვენ თვითონ. ის თავის თავს გზძნობს, როგორც „უძველეს დასავლეთელი“ და ეს თავისი „აბტლანტურ ოცნებაში“ („აბტლანტურ ტრაუმი“) გამოავლინა. ხოლო, როგორც „უძველეს დასავლეთელს“ მას ერგო აგრეთვე ევროპაში განსაკუთრებული მისიის შესრულება.

თავის „ორფეოსისადმი ჰიმნი“ მისი ლირიკის დიდებულ ზმულში, იგი გრძნულივით გამოუძახებს ორფეოსს და სთხოვს მას შეძახილით, დაუბრუნდეს ჩვენს მოდერნულ მომაკვდავ ქვეყანას და ჩვენ სიბნელიდან სინათლეზე გამოგვიყვანოს. ის ევედრება ძველის-ძველი საკრალური ხმით თავისი ქართული დედაენიდან და რომელიც ცოცხალი ნაშთია წინა-აზიისა და შუამდინარეთის ძველი გადაშენებულ სუმერულისა და

საზოგადოების წინაშე და შესაფერ პიედესტალზე აიყვანა ეს ფლორისა და ფაუნის მგოსანი. ამავ მომენტს ეკუთვნის მისი პუბლიცისტური წერილები ვაზით „ვოზროუდენიე“-ში.

მაგრამ მის ოცნებას წარმოადგენდა „დიონისოს“-ს კულტის გადმონერგვა საქართველოს ნიჟადაზე. ბერჯევა მსმენია გრიგოლის ცხარე კამათი ამ საგანზე. ძნელი წარმოსადგენია როგორი ენტუზიაზმით იცავდა გრიგოლი ამ კულტის სიწმინდეს და სილამაზეს, რომელიც მისი აზრით, გაუგებრობის გამო წარმოდგენილი იყო ვულგარული ორგის სახით. მისთვის ეს კულტი იყო გამომხატველი ახალგაზრდობის, სილამაზის, ბედნიერი სიცოცხლის ბუნებრივი მხიარულების. მან უჩვენა ახალი გზა ახალგაზრდა პოეტებს, რომელთაც ჩაუღდა სათავეში; როგორც ვიცი, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მოწინავე პოეტთა წრე „ციხფერ ყანწელებისა“. მაგრამ იმ დროს განსვენებულ გრიგოლს არ დაუფიქვია ხელოვნების დარგიც. აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ქართველ მხატვართა წრეში, რომელიც დაარსებული იყო ექვთ. თაყაიშვილის ინიციატივით, რადგან საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება შეუღდა ძველ ნაგრევებიდან შესანიშნავი ფრესკების გადმოღობას და სამუდამოდ დაღუპვისაგან გადაარჩინას. ამისთვის საჭირო იყო მხატვრების გაერთიანება და ეს დაევათ გამგეობას, რომლის თავმჯდომარე იყო გ. ყურული, თანამემწენი გრ. რობაქიძე და გ. ქიქოძე, მოლარე ჭანი ბეგთაბეგიშვილი, წევრები კი ჭანი მახაბლისა, მხატვრები გ. ვაბაშვილი, გ. თოიძე, დ. შავარდნაძე. ჩვენმა მხატვრებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს, ნაბახტვისა და საგარეჯოს უძვირფასესი ფრესკები გადმოხატეს და საქართველოს მუზეუმს ამით შესძინეს უდიდესი განძი.

ამვე ხანას ეკუთვნის ნ. ფიროსმანაშვილის აღმოჩენა და მისი მოვლა-პატრონობა. ამ ხალხურ გენიოსის მრავალი ნახატი იქნა შეძენილი და გადაარჩენილი... შემდეგ, ომის დაწყებისას ეს კულტურული მუშაობა შეჩერდა და გრიგოლს ვხვდები ქალაქთა კავშირის მთავარი გამგეობის კრებაზე, რომელსაც ა. ხატისოვი თავმჯდომარეობს. გრიგოლი იყო არჩეული ამ. კაცასიის რწმუნებულად და სპარსეთის ფრონტზე გაემგზავრა სამუშაოდ. აქ მისი საბედო შეხვდა და გრიგოლი დაქორწილდა.

1918 წელს იწყება გრიგოლის მოკლე „ლიბლომატიური“ მუშაობა. მასოვს კარლო ჩხეიძის

„კაბინეტში“ ჩვენი პარლამენტის სასახლეში. ჩხეიძე ემზადებოდა საზღვარ-გარედ წასასვლელად საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის რწმუნებულებით აღტურვილი. 18 კაცი შედიოდა ამ დელეგაციაში. კარლოსთან შემოვიდა კაცი წერილები და სთხოვა დელეგაციაში ჩაირიცხა ი. ნაკაშიძე და გრ. რობაქიძე, როგორც ენების მცოდნენი. კარლო ჩხეიძემ თავისებურად სათვალევს ზემოდ შეხედა კაკის და უთხრა: „კარგი, ჩემო ბატონო, მაგრამ ამბობენ ორთავეს. „ვიპუკლოსტები“ აქვით და სად მაქვს მე თავი ამდენ „ვიპუკლოსტიან ხალხს“ მოუარო“. კაკის მხურვალე გამოქომაგებაში მეც ცოტათი დავეხმარე და მოვახსენე: „ვიპუკლოსტების“ რა მოგახსენოთ, ის კი ვიცი, რომ გრიგოლისთან მცოდნეს გერმანული ენისა და ავრთვე საოცრად ოქმების შემდგენელს მეორეს ვერ იპოვნით-თქო. კარლომ თავისებური ირონიით სთქვა: „აბა, თუ შენც გინდა, ერთს კაკის ხათრისათვის და მეორეს შენი ხათრისათვის ჩაერიცხავ“-ო. გრიგოლი დიდებული მდივანი გამოდგა დელეგაციისათვის. მისი შედგენილი ოქმები პირდაპირ მხატვრული ნაწარმოები იყო. შემდეგში კ. ჩხეიძე და კ. წერეთელი დ. ბაბეს თანხლებით პარიზისკენ გაემგზავრნენ. ტკამბოლში დღეობით ლეგაციის დასაარსებლად გ. რცხილაძე, გრ. რობაქიძე და მე. ჩვენთან ერთად დარჩა განსვენებული ა. დეკანოზიშვილი, რომელიც უნდა გამგზავრებულიყო ენევაში, როგორც ჩვენი წარმომადგენელი წითელი ჯვრის ორგანიზაციაში. ერთ თვეს დარჩა ჩვენთან გრიგოლი და არავითარი „ვიპუკლოსტი“ მას ჩვენ ვერ აღმოვუჩინეთ. პირიქით, საოცარი პატიოსანი მუშაკი, წყნარი და დინჯი ხასიათი და იმეიანი მეგობრობის გამწევი, — აი ასეთი იყო მისი დახასიათება თანამშრომელთაგან.

მეტად ძნელია აღნიშვნა და შეფასება ამ ძვირფასი ადამიანის დიდი ბუნებისა, რომელსაც არასდროს არ დავიწყებია, რომ მას ბედმა არგუნა „ზეკაცის“ სახელის ტარება, რომელმაც შექმნა მრავალი შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც ქართულს, ისევე გერმანულ ენაზე, და რომლებმაც მას ევროპაში დიდი მწერლის სახელი მოუხვეჭა.

ღრმად დაწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მრავალი საქართველოს ისტორია შესაფერ საპატიო ფურცელს მიანიჭებს მას თავის წილში.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, რაც ევროპიდან ახლად დაბრუნებულს, გრიგოლ რობაქიძის პირველ საჯარო მოხსენებას, წარმოთქმულს თბილისში, გულითადად მიესალმა არჩილ ჯორჯაძე, ცნობილი პუბლიცისტი, ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობის ისტორიის იშვიათი მკვლევარი, სოც.-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი და მისი იდეოლოგი. მან პირველმავე აღნიშნა მისი ღრმა ფილოსოფიური ცოდნა, მისი მიმზიდველი მეტერმეტყველება, ორატორული გაქანება, მისი ოქროპირობა, მდიდარი ქართული მეტყველობის მოქნილობა და უნარი. მართლაც, იმ ხანისათვის, ქართულ საზოგადოებისათვის, გრ. რობაქიძე, მისი მცირე ინტელექტუალური ძალებისათვის, ფრიად თვალსაჩინო შენაძენი იყო.

მაშინ, იმ ეპოქაში, და შემდეგაც, გრ. რობაქიძე ხშირად გამოდიოდა მოხსენებით საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში; მისი ლექციები აკაკის ლირიკაზე, ნ. ბარათაშვილზე, ვეაჟ-ფშაველაზე, ნიკო ფროსმანზე, ციკლი მოხსენებათა ნიცშეზე, ისევე ღმერთებზე და სხვა მრავალ ლიტერატურულ საკითხებზე, მწყობრი და გამართული იყო, იშვიათ მკვეთრ ფორმულებში ჩამოსხმული; ყოველთვის ახალს სიტყვას, ორიგინალურ აზრებს შეიცავდა, ფართო აუდიტორიას იზიდავდა, განსაკუთრებით ახალთაობას.

1911 წ. თბილისში, ნიცშეზე მოხსენებას, ჩვენი დიდი მეოსანი აკაკი დასწრებია და ვაზ. „თემ“-ში თავის შთაბეჭდილებაც დაუბეჭდაც. მის გულს მოხვედრო, განსაკუთრებით, ქართული სიტყვის სინარჩრად და მშვენიერება, მისი ანკარა მდინარება. აკაკი წერეთელი ქართული შაირის უბადლო ოსტატი და თვითონაც კარგი ორატორი, ამ სიტყვებით იწყებდა თავის შთაბეჭდილებას: აწ განმითქვე, მეუფეო, მონა შენი. ეს იყო, ამბობს, თვით გრ. რობაქიძე, წამახალისებელი გადამეტება; ხოლო ისიც ცხადია, რომ ალბათ, რაღაც იყო, რაზედაც გადამეტება შეიძლებოდა. ამ წახალისებად შემდგომად მასზე იმოქმედა და სამწერლო სარბიელზე მისი შემოქმედება გაიზარდა და ლონეც მიეცა.

აკაკი წერეთელზე წარმოთქმულ მოხსენებასაც

(თბილისში, ქუთაისში და სხ.) დაუეციწყო მთაბეჭდილება მოუხდენია ქართულ საზოგადოებაზე. მოგუსმინოთ თვითონ გრ. რობაქიძეს: „მოხსენებას დიდი გამარჯვება ერგუნა. საკანარისია მაშინდელი პრესა გადათვალაიეროთ, რომ ამაში დაერწმუნდით. აწ განსვენებულ ნიჭიერ ნოველისტის — ილია ელენთერძის (ზურაბიშვილის) წერილი, ლექციისადმი მიძღვნილი, ამ სათაურით გამოვიდა: „ამომავალი მზე“.

გრ. რობაქიძეს საქართველოში ბლომად ჰყავდა თაყვანისმცემელი და მღალადებელი, განსაკუთრებით „ცისფერ ყანწლებ“-ში, რომელთა ლიტერატურული ორდენის მეგობარი და მონაწილე, სიმბოლიზმის საუკეთესო თეორეტიკოსი თვითონ იყო, სადაც მისი ავტორიტეტი, პრესტიჟი უღაო და უტელობელი იყო. მართალია, ის ამ ორდენის წევრი არ ყოფილა, არც მათ ბოჟმეურ განცდებში მიუღია მონაწილეობა, არც მათ ლიტერატურულ ხელჩართულ ბრძოლებს იზიარებდა; გრიგოლ რობაქიძე თავისი ხასიათით უფრო ინტელექტუარულ მუშაობისაკენ იყო მიდრეკილი და ამ მიმართულებით მას უხდებოდა ბევრის წაკითხვა, წიგნსაკავში თავაუღლებელი მუშაობა, წიგნების „გამოშვიგნა“; დრო ცოტა რჩებოდა ვალალებული ცხოვრებისათვის. ხოლო არც ასეეტურ ცხოვრებას ეწეოდა იგი; უყვარდა მეგობრებთან შეხვედრები და საუბარი, არც ზოგიერთ ლიტერატურულ ოჯახების მიმატებებაზე ამბობდა უარს საუბრისა და დროს გატარებისათვის.

თვითონ თითქმის ყველა პოეტებზე და მწერლებზე სწერდა, მის შესახებ კი დაწერას, არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველა ერიდებოდა. ზოგიერთები შიშით, რომ მათ მიერ, სწორად ვერ იქნებოდა ვაგებული მისი შემოქმედების თაურები ეთხელ ტიცთან ტაბიძემ გამოაცხადა თავის საკუთარ ლიტერატურულ ვაზეთში (მგონი „ბარკადები“), რომ ის გამოაქვეყნებდა „აპოლოგიას“ გრ. რობაქიძეზე, რომელიც არც აას დროს წარმოუთქვამს და არც დაუბეჭდაც, ალბათ მოკრძალებს გამო, რადგან გრ. რობაქიძე მისთვის მიუწვედომელი იყო; გრ. რობაქიძე ჩემთვის ძნელი თემა არისო, ამბობდა თვითონ. უბრალო ქება და პარადოქსული აზრები, ან მოხდენილი თქმა, რაიც ასე ემარჯვებოდა უდროოდ დალუბულ ტიცთან, შეუყადრებლად და კანინერებად მიიჩნდა. მართლაც, მის სიცოცხლეში რაიმე ჯეროვანის დაწერა, ყველასათვის ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა. მსოფლიო ლიტე-



რატურის ისტორიაში უამრავი შემთხვევაა, რომ ესა თუ ის ხელოვანი, თუ მწერალი, თანამედროვეების მიერ შესაფერისად ვერ ყოფილა გაგებული და დაფასებული, მისი სიდიადით წარმოდგენილი. გრ. რობაქიძემ, ეამთა სიავის გამო (საბჭოთა ისტორიის ერთ სახელმძღვანელოში ის რეაქციონერად არის დასახული) დროებით ეს ხედრი გაიზიარა. მას, რასაკვირველია, საქართველოში მოწინააღმდეგებელც ჰყავდა, აუვად მახსენებელი, ხოლო მდებარელებლთა რიგები განკლებით მეტი იყო, მათი წრე თანდათან მატულობდა, რამდენადაც მისი შემოქმედება — ლიტერატურული პროდუქცია იზრდებოდა. მე ვიცი. (პირად მომისმენია, ან საჯაროდ თქმულა), რომ მას ფრიად აფასებდენ ქართული ლიტერატურული და მეცნიერული წრეები, საქართველოს ყველა გამოჩენილი პირები: ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელიანი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე ჯანაღიძე, ანდრია რაზმაძე, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, კოტე მყაშვილი და სხვა მრავალი. ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელმა ივ. ჯავახიშვილმა მას მსოფლიო ლიტერატურის კათედრაც კი შესთავაზა, ახლად დაარსებულ მეცნიერების ტაძარში, მხოლოდ გრ. რობაქიძემ, როგორც მწერალმა არ ისურვა პროფესორი გამხდარიყო.

უფრო გვიან, უცხოეთში, რუსეთში, გერმანიაში გრ. რობაქიძის სახელი უფრო ვადიდდა, სიერკით გაიშალა. სახლვარგარეთ, როგორც ქართველ მწერალს, დიდი ინტერესით კითხულობდენ, ჟურნალ-გაზეთები ვრცელ ბიბლიოგრაფიულ წერილებს უძღვნიდენ, მისი რომანები და ნოველები ქართულ ცხოვრებიდან, გერმანულ ენაზე დაბეჭდილი, ფართოდ ვრცელდებოდა. სხვა დროს, სხვა პირობებში, მისი მსოფლიო ლიტერატურის სარბიელზე გამოსვლა, მისი ნიჭის საყოველთაო ცნობა და აღიარება, მას ნობელის პრემიის მოპოებას უქადაღა.

მაინც, ყველაზე უკეთ, ქართველებისთვის გრ. რობაქიძეზე, მცხოვანმა მეცნიერმა, დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ქართველი ერის ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლმა ბან მიხეილ წერეთელმა გამოსთქვა, ყველასათვის მისაღები შეუძმდარი აზრი, და თუ მომავალში ვინმე რამეს დასწერს გრ. რობაქიძეზე, მან მისი აზრით უნდა იხელმძღვანელოს. როცა ქართულმა ემიგრაციამ მ. წერეთლის 70 წლისთავი ილღესა-

ულა, მას ეძღვნა ტკბილი, მეგობრული წერილები და მისალმებები. (იხ. „ბედი ქართლისა“ ნომ. 3) გრ. რობაქიძემ გულთამხილავი პორტრეტი მოხაზა, ხატოვანი, ფიგურალური გამოთქმებით გამოძერწილი. სამადლოებელ სიტყვაში მ. წერეთელმა ასე დაახასიათა გრ. რობაქიძის შემოქმედება და სამწერლო მოღვაწეობა: „და შენ ძვირფასო გრიგოლ! შენც უდიდესი ღვაწლი გიკეთა ესი შენი სამშობლოს წინაშე, შენი წიგნები, გერმანულად დაწერილი: „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“, „ქალღმერთის ძახილი“, „გაჯლის მცველები“ და სხ., ძველი სტილით დაწერილი „რომანები“ არ არის „ჩვენი ცხოვრებიდან“, არამედ შენი ორიგინალური შემოქმედება. გულწრფელად ვიტყვი, ვაღაქარებებადაც რომ ვინმემ ჩამითვალოს, რომ მე არ მეგულებოდა არც ერთი სხვა მწერალი, რომელსაც პროზით მოთხრობა სიტყვათა მუსიკად, სიმფონიად გადაექციოს ისეთი საკვირველი ხელოვნებით, როგორც შენ შესძელი. ეს სიმფონია საქართველოს მიწაზე აღესრულების, და შენი გმირები ჩვეულებრივი, ე. წ. „ცხოვრებიდან ამოღებული“ გმირები კი არ არიან, არამედ ქართული არსების ხორც-შესხმულობანი. სადაც გიგანტი აზროვნობდენ, ოლიმპიელნი მგოსნობდენ და ღვთის ძენი უმსიქობოდენ, იქ რჩეულთ დაფასვის, გაივცე შენი ხელოვნება, პატივი დასდეს მას დიდი, და საქართველო და ქართველიც მათთვის მარად დაუვიწყარ და პატივით მოხსენებულნი იქნებიან, რადგან შენი ხელოვნება მათ ყოველთვის ალაფროვანებს, ვინც რჩეულნი არიან იმ მაღალი ხელოვნების გაგებისათვის და სიყვარულისათვის, რომლითაც შენი ქვეყანა და ერი ადიდე. შენი წიგნები მკითხველთა „მისებისათვის“ არ არის დაწერილი, არც საშუალო „განათლებული“ მკითხველისათვის, — არამედ „არისტოს“-ებისათვის სულითა და გულითა. ასე სჯობია, ძვირფასო გრიგოლ: ამათ დავიწყება არ იციან იმისა, რაც კეთილია და კეთილშობილი, რადგან თვით არიან კეთილნი და კეთილშობილნი და მათ არც შენ მიერ აღსახული საქართველო და ქართველები დაავიწყდებათ... ამისათვის გმადლობ შენ მე, ერთი ქართველთაგანი, და საქართველო, ქართული ერიც ამ ღვაწლს მისი სახელოვანი ძისას ავრთვე ღრმა გრძნობით მაღლობისა მიითვისს. კურთხეულ იყოს ღვაწლი და შემოქმედება შენი! („ბედი ქართლისა“ ნომ. 4.).



ჩვენ აქ აღარ შევიჩრდებით უცხოელ მწერალთა და კრიტიკოსთა შესახებ (თომას მანი, სტეფან ცვაიგი, რომენ როლანი, მარსელ ბრიონი, ნიკო კახანცაკის და სხვ.), რომელნიც გრ. რობაქიძის შემოქმედებას კიდევ მეტი ღირსებით აფასებენ, ვიდრე თანამემამულენი. ყველა ამის აღნიშნა შესაფერისი მონოგრაფიის მოითხოვს და ახლანდ ვინმე შეასრულებს, როცა მის არქივს და მიწერ-მოწერას გაეცნობა. ხოლო რაც მან გააკეთა უცხოეთში ქართული კულტურის, ისტორიის, მწერლობის და ხელოვნების პროპაგანდა-დაცვისათვის, ეს მეტად ღირებულია და თავის დროზე უხვ ნაყოფსაც გამოიღებს. თუ ახლა, თვით საქართველოში სწარმოებს გულმოდგინე ძიება და გამოკვლევები შორეულ წარსულის, უცხოეთში დიდ ქართველთა კულტურულ და სამწერლო მოღვაწეობის შესახებ, როგორც იყვნენ: პეტრე იბერი, იოვანე მოსხი (მესხი), ექვთიმე ათონელი, ფილოსოფოსი იოვანე პეტრიწი (პეტრიწონელი) და სხვ., რომელნიც სწერდნენ მშობლიურ და უცხო ენებზე და მსოფლიოს საერთო კულტურის საგანძურში საკუთარი ქართული წვლილი შეჰქონდათ, გრ. რობაქიძემ, შეიძლება ითქვას, თავის წვლილს უფრო გადაჭარბებით შეიტანა დასავლეთის კულტურის საღაროში, ვიდრე ეს ოდესმე მომხდარა, და ქართველი ერისა და თავის თავის მარად ხსენება უკვლევ ჰყო. ამ ამავს, მომავალში, ჩვენზე უფრო ბედნიერი შთამომავლობა, არასდროს დაივიწყებს და მას ამ ღვაწლისათვის თუ მონუმენტალურ ძეგლს ვერ აუგებს, მის მადლიერ გულში მაინც სასიკეთო საუქუნოდ ატარებს.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა გრ. რობაქიძის ამაგი მშობელი ქვეყნის წინაშე თვით საქართველოში, სადაც მან თავის სიცოცხლის ნახევარზე მეტი გაატარა. მწერლობის გარდა იგი ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. იყო ფხიზელი მამულისფილი; ყოველ ქართველ მოელენას და საქმის ეროვნულ სარკმელთან სჭკერდა და შეუდრეკლად იცავდა მის ღირსებას. თუ კი ვინმე უმართებულოდ შებღალავდა საქართველოს სპეტაკ სახელს, მის წმინდა-წმინდას, დამცირების მიზნით, გრ. რობაქიძე სალი კლდესავით, ფიცხლავ და მრისხანედ აღიმართებოდა და თავის ლოგიკის ულმობელობით განადგურებდა კანდიერ თავდამსხმელს, საქვეყნოდ გამოაშკარავებდა მათ უფიცობას. მაგონდება ერთი შემთხვევა საქართველოს ახლად დაპყრობის ზანიდან: მოსკოვიდან

გამოგზავნათ მოხსენების გასაკეთებლად ველაც გარუსებული სომეხი (გვარად მერანდასაროვი), ბოლშევიკი, ვითომც ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდი მცოდნე (ყოველ შემთხვევაში მას თავი ასე მოჰქონდა). ბაღდასაროვს დავალებული ჰქონდა: ადგილობრივ-ეროვნული კულტურის დამცირება. ვაბიაბურება. მისი აზრით ქართველებს და სომეხებს, საერთოდ პატარა ერებს კულტურა არა აქვთ. არსებობს მხოლოდ დიდი ერების კულტურა, პატარა ერების კულტურა კი „კუსტარული“ არისო.

ქართველმა კომუნისტებმა, როცა გაიგეს ბოღდასაროვის მოვლინება და განზრახვა, მოუწყვეს მას მოხსენება კამათის წესით. ხოლო რომ მომხსენებელი და მისი გამოგზავნი მოსკოვი გაეშავებიათ, ფარულად გრ. რობაქიძეს და პროფ. შ. ნუცუბიძეს დაავალეს საწინააღმდეგე გამოცემა. მათდა სასახელად უნდა ითქვას, რომ ორთვემ ღირსეულად შეასრულეს დავლება და ბაღდასაროვი დარცხვენილი გაისტუმრეს მოსკოვისაკენ.

ასეთი შემთხვევები იმ ეამად ხშირი იყო, ხოლო ბაღდასაროვის პრეცედენტის შემდეგ გამოგზავნილი ორატორები უფრო ფრთხილნი და მორიდებულნი იყვნენ.

რუსული საოკუპაციო ჯარის სარდლობამ მოისურვა ჯარი დაეზინავებია კერძო ოჯახებში, თეატრის და უნივერსიტეტის შენობებში და არა მათთვის მიჩნეულ ყაზარმებში. ეს ქართველი ერის ეროვნული გრძნობის და თავმოყვარეობის შელახვა იყო. საჭირო გახდა შემართება, წინააღმდეგობის გაწევა, სასირცხო განზრახვის ჩაშლა. ამ სამწუხარო ამბავმა ქართული საზოგადოება და მთლიანად თბილისი ძალზე აღაშფოთა. რომ ინციდენტი არ მომხდარიყო და სიხლი არ დაღვირილიყო, გრ. რობაქიძემ პაოლი იაშვილის მეშვეობით, ზოგიერთ ქართველ კომუნისტების დახმარებით (რომელნიც შემდეგ დაილუპნენ სტალინის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში), ეს გეგმა ჩაშალა და უმგევანო შეუარცხყოფა საქართველოს ააშორა.

მორიგი შეტევა რუსებმა ეკლესიების წინააღმდეგ დაიწყეს. ქუთაისში დაანგრეს ერთადერთი ტაძარი, რომელიც ქალაქს ამშვენებდა თავის ხუროთმოძღვრული აღნაგობით და მასზე ლინინის ძეგლი აღმართეს. ჯერი მიდგა თბილისის ქაშვეთის ეკლესიაზე, რომელიც ერთ უმშენიერეს არქიტექტურულ ძეგლს წარმოად

გენს. აქ იყო, ძველი წყობილების ნაშთის, მონარქისტების და რუს რეაქციონურ სამღვდლოების შტრის ძიება რუსული სამხედრო სოციალისტების დანგრევის გამო; კომკავშირელებმა და ახალგაზრდა რუს მონარქისტებმა, (რომელნიც იმ დროს ბევრი ჩაეწერა კომკავშირში), შეერთებული ძალებით ქაშვიტის ეკლესიის დანგრევაც მოინდომეს. კომკავშირის ეს ბოროტი განზრახვა დეკანოზმა კოსიტრატე ცინცაძემ (შემდგომად, როგორც ეპისკოპოსი, ის იყო დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი) გრ. რობაქიძეს აცნობა, მაშინ განათლების კომისარიატში ხელოვნების განყოფილების გამგეს და სთხოვა, როგორმე ტაძარი დანგრევას გადაერჩინა. ჩვენ, მისი თანამშრომელნი, მოწამენი ვიყავით, როცა ამ ცნობით ძლიერ აღელვებულნი და ცრემლმორთულნი გრ. რობაქიძემ, პირდაპირ განათლების კომისარს, დავით კანდელაკის კაბინეტს მიაშურა და სთხოვა, რათა მას საჩქარო ზომები მიეღო ტაძრის გადასარჩენად. მასზე და ხელისუფლებაში მყოფ სხვა კომუნისტებზე გრ. რობაქიძე, როგორც მწერალი (საერთოდ იმ ხანებში მწერლებს დიდ ანგარიშს უწევდენ), დიდი გავლენით სარგებლობდა. მისმა აგზნებულმა ინტერვენციამ ქაშვიტის დანგრევას გადაარჩინა და ჩვენდა საამაოდ დღესაც იქვე აღმართული უფერულად. ახა მგონია, ეს უანგაგრო სამსახური საქართველომ დაივიწყოს თავის სახელოვან შვილის მიმართ!

საქართველოს დამოუკიდებლობის დროსაც, გრ. რობაქიძე მთავრობიდან დიდად პატივდებული იყო. როცა საჭირო იყო მისი სამსახური, ის დავალებას, ხალისით და ეროვნულ სიამაყით ასრულებდა. უნდა გენახათ, როცა ის ჩაჩიკეს საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში (კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ რციხიძე, გრიგოლ რობაქიძე, პავლე ინგოროვი და სხ.), მისი სიამაყე, ზეიადობა, შუბლის ამაღლება, მხრების გამართვა, გრძნობით აღმაფრენა, ოლიმპიური მიუწევდომლობა, როგორ შეენოდა მის სახეს და აბრწყინებდა მის გარეგნულ და შინაგან არსებას. უხაროდა, რომ საფრანგეთში წარგზავნილ დელეგაციის წევრი იყო და სხვებთან ერთად, მიემგზავრებოდა პარიზის კონფერენციაზე ქართველი ერის უფლებათა დასაცავად, დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობის მოსაპო-

ებლად. დაბრუნებისას, ერთ კერძო საუბარში, გულახდილად აღიარა, რომ ის ამ წარგზავნილ უდიდეს ბედნიერებას განიცდიდა და როცა გემი საქართველოს უახლოვდებოდა, მორიდან დანახული მშობლიური მხარე უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი ეჩვენა, ვიდრე ოდესმე.

თავისი ტემპერამენტით, გრ. რობაქიძე პოლიტიკოსი არ ყოფილა; ამას თვითონაც აღიარებდა. მაგრამ მაინც ეარჯუნდებოდა პოლიტიკის აქტუალურ საკითხებში, სწორად კიდევ გახვთ „საქართველო“-ში პოლიტიკურ თემაზე, ნეტარ ხსენებული სპირიტონ კელიას თხოვნით, გივი გოლენდის ფსევდონიმით. სტატიები ყოველთვის დიდი ცოდნით იყო დაწერილი და უფრო თეორიულ ხასიათს ატარებდა, იშვიათად მიმართავდა ვინმესთან პოლემიკას. ისე საზოგადოებრივი ცხოვრებით მეტად დაინტერესებული იყო. ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა, მომხდარი მოვლენების დეტალბსაც კი არ უშვებდა, რომ არ გაცნობოდა. ყველა ბეჭდვითი გამოცემით, რაც მდარე ხარისხის არ უნდა ყოფილიყო, ყველაფერს კითხულობდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რობაქიძე, როგორც დიდი მწერალი, იშვიათის ხალისით და ენერჯითი სწავლობდა. ახა მარტო ლიტერატურულ მოვლენებს, არამედ ბევრს დროს ანდომებდა ძველი ქართული მწერლობის შესწავლასაც, ისტორიის და სხვა კულტურული პრობლემების კვლევა - ძიებას, რათა ყოველივე ეს გამოეყენებია თავის მხატვრულ შემოქმედებისათვის.

მისი წერის მანერა, სტილი და ენა, ჯერ ხნობით, შეუსწავლელია. ქართული სიტყვის აღქმის, მაგიურ თვისების მიხედვით, მისი საკრალური საიდუმლოების შეცნობის სწორ-უპოვარი ოსტატი იყო. მთელი 19 საუკუნე, უკვე კლასიკურ ლიტერატურად წოდებული, რომელზედაც იღვრებოდა მრავალი თაობა და ჩვენი დიდი მგონების — ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთლის ჩათვლით — არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ლექსთა წყობის ზუსტ კანონებს, ლექსის გარეგნულ ფორმას (რიტმას, რითმას) და სიტყვიერ სიხალეს, ხოლო შინაარსის მხრივ უდაოდ იშვიათ მიღწევას წარმოადგენდა, ასახავდა ეპოქის სულიერ განწყობილებას და სავსებით უპასუხებდა ჩვენი ერის ეროვნულ, პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციას. შემდეგ თაობამ სრულებით ვერ გამოინახა ახალი ფორმა, მოტივი და შაბლონი გზას დაადა; მათი მწერ-



ლობა ძველი მოტივების განმეორებას, მიბაძვას, პატრიოტული ან სოციალური კილოს დართვით, გადამღერებას უფრო შეიცავდა, ვიდრე ახალი თემის გამონახვას და საკუთარი, დამოუკიდებელ გზით სიარულს, ისიც ჩლუნგად. ნამდვილ შემოქმედებით ნიქს მოკლებული. კრიზისი აშკარა იყო: საჭირო გახდა ახალი სიტყვის თქმა, რეფორმა ქართული პოეზიის, მისი ფორმის და შინაარსის განახლება. ეს წამოიწყეს „ცისფერ - ყანწელებმა“ და მეტად და უბირველესად გრ. რობაქიძემ. შემდეგ ამ ლიტერატურულ მიმართულებას უმართებულოდ დეკადენტური და რეაქციონური უწოდეს და უარყოფილი იქმნა თვით ყანწელების მიერ (რა თქმა უნდა იძულებით), ხოლო არა გრ. რობაქიძის მიერ. ახლა საქართველოში ყველაზე მათი სტილით და მანერით სწერს. აქ, უცხოეთში, გრ. რობაქიძემ ერთხელ კიდევ განზრტა და თეორიულ საფუძველზე დაამყარა პოეტურ შემოქმედებაზე თავისი შეხედულებანი, მოახდინა შინაარსის და ფორმის აუცილებელი შერწყმა: არც მხოლოდ ფორმა უშინაარსოდ, არც მარტო შინაარსი უფორმოდ — მათი პარმონიული შეხვევა, ქართულ მწერლობას მან უჩვენა მარად სავალი გზა უნაკლო შემოქმედებისაკენ.

საერთოდ, რომ უფრო ღრმად ჩავევდეთ და შევიცნოთ გრ. რობაქიძის ფილოსოფიური გააზრებანი, უნდა გულდასმოთ, ჩაიძირეთ წაიკითხოთ მისი კარდუსთან საუბარი, სხვა მრავალი ნარკვევები; გამოქვეყნებული „ბედი ქართლისაში“, აგრეთვე ინტერვიუ ამ ჟურნალის რედაქტორთან — კალე სალიასთან; იქ უკუფენილია საქართველოს პრობლემა, მისი ისტორიის, კულტურის მრავალ მხრივი საკითხები, მისი აღქმის და ათვისებისათვის, მისი შეცნობა, გაგებისათვის.

გრ. რობაქიძეს პატივისმცემელი და დამფასებელი არ აკლდა საქართველოში და არც აქ, უცხოეთში; არც მომავალში ეყოლება მას ვინმე უმაღლური. მან თავის ხვედრი დაუტკავშირა საქართველოს ბედს, მის თავისუფლების ბრძოლას. ეს ხდიდა მას მიმზიდველად და არავინ იზურებდა ყურადღებას და მისდამი სიყვარულს. ჩვენდა სანუგეშოდ და მომავალთა საიმედოდ, მან სახელოვნად განვლო თავის მწერლობის და საზოგადოებრივ მოღვაწეობის, მამულშივილობის მოვალეობის გრძელი მანძილი. „იგი იყო მშვენიება და დიდება საქართველოსი და

მცველი მთელ ქვეყნისა“. (როგორც იტყობა საქარია ქართველი პეტრე იბერზე, მისი მხარეა ფილის დამწერი). ჩვენც შეგვიძლია ეს სიტყვები განვიმეოროთ გრ. რობაქიძეზე. მისი ლიტერატურული პროდუქცია რამდენიმე ათეულ ტომს აღემატება, მისი ამაგი სამშობლოს წინაშე დიდა. ჩვენ ვგონებთ ის ცდებოდა, როცა გულდატეხილი, პესიმიზმით გაზნარული ამბობდა რომ ის წარმავალია, მიწურულშია, მას მომავალში დამცველი და მამართლებელი არ ეყოლება. ქართველმა ერმა იცის თავის სასიქადულო, ერთგული შეილის ღირსეული დაფასება. არა ერთი მავალითი ყოფილა ჩვენს ისტორიაში და ის არც შემდეგ უღალატებს თავის ძველ ჩვევებს; თავისუფალი საქართველო მის ძღვეს დაუბრუნებს მშობლიურ მიწას, მთაწმინდა გულში ჩაიკრავს საუკუნოდ განსასვენებლად; ნიშნად ღრმად პატივისცემისა თეთრ მარმარილოს ძეგლსაც დაუდგამს და „ლამარას“ ავტორის სახელს სამარადისოდ უყვავდავყოფს.

ს. კირაქიძე

ქართული ოცნების

„ლამაზად შეილის აღმზრდელი, დედა მიცენია ღმერთადა!“

ვაჟა

აღარ არის ამ სოფლად გრიგოლ რობაქიძე. 1962 წლის ნოემბრის 19-ს აღესრულა ის.

დიდი ქართველი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატი, გრიგოლ რობაქიძე დაიბადა 1884 წლის ოქტომბრის 28-ს ზემო-იმერეთში, სოფელ სვირზი.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლება მიიღო ლაიფციგის უნივერსიტეტში. სწავლობდა აგრეთვე საფრანგეთსა და რუსეთში.

მას შემდეგ მოღვაწეობდა თბილისსა და ქუთაისში. ამ ორ ქალაქში გაშალა მან თავისი პოეტური შემოქმედება.

გრიგოლ რობაქიძე დაბრუნდა საზღვარგარეთიდან საქართველოში 1908 წელს. მან, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუნიას

რედაქტორობით არსებულ ჟურნალ „ნიშადურის“ რედაქციაში, პირველად გაიცნო ჩვენი დიდი პოეტი¹ ქართული მაღალი მთის მომღერალი, „მარგალიტის მთისველი“ ვაჟა-ფშაველა.

ამავე წელს მოახლოვდა 50 წლის თავი აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობისა. აკაკის ზეიმი-სათვის მთელი საქართველო ემზადებოდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქართული ეროვნული სკლის მედროზე თბილისი. სამწუხაროდ, ზეიმს ვაივავლახი მოჰყვა. საქმე შემდგენიარად დატრიალდა. ზეიმის წინ აკაკის პოეტურ შემოქმედებაზე მოხსენება გრიგოლ რობაქიძეს უნდა წაეკითხა.

ჰოი საოცრებავ! გუბერნატორმა არ დართონება გრიგოლ რობაქიძეს წაეკითხა ლექცია ქართულ ენაზე. იმ ქართულ ენაზე, „რომელიც, ვაჟ დე მორგანის აზრით, ერთი ოთხპირველთაგანია: ბასკურთან, ეტრუსკულთან და ჰეტიტურთან ერთად“¹).

საქირო ვახდა საქმეში გენერალი გიორგი ყაზბეგი ჩარეულიყო. შეკრბა ერი მრავალი... გრიგოლ რობაქიძის ლექციას, წაიკითხულს აკაკიზე დიდი გამარჯვება ერგო. ამ ლექციას ცნობილმა მწერალმა ილია ელევფთერიძემ (ილია ზურაბიშვილმა) დიდი სტატია უძღვნა სათათურით: „ამომავალი მზე“.

ლექცია განმეორებულ იქნა გრიგოლ რობაქიძის მიერ ქუთაისში, იმავე წელს. 1909 წლის თებერვლის მიწურულს გრიგოლ რობაქიძემ თბილისში, ქართული თეატრის დაბაზში, წაიკითხა ლექცია ვაჟა ფშაველაზე. მწერალმა ლექციის შენობა აავო უმთავრესად „გველის-მკამელზე“, რა თქმა უნდა, გზად იგი ვაჟას დანარჩენ შემოქმედებასაც შეეხო. ეს ლექცია განმეორებულ იქნა ქუთაისში, იმავე წელს. თავის ლექციებში გრიგოლ რობაქიძემ პირველმა, ქართულ საზოგადოებას გადაუშალა ვაჟას დიადი პოეტური შემოქმედება.

1911 წელს გრიგოლ რობაქიძემ თბილისში მოხსენება ვაკეათა ფრიდრიხ ნიცშეზე. გრიგოლ რობაქიძე მაშინ ქართული აუდიტორიის წინაშე წარსდგა აგრეთვე, როგორც მხატვრული კრიტიკის იშვიათი ოსტატიც. გრიგოლ რობაქიძემ გადაუშალა ორთავიან არწივის კლანჭებში მო-

კეული და დენილი ქართული ენის საოცრება და მუსიკალობა მაშინდელ ქართველობას.

1911 წელს ქუთაისში გაიმართა დიდი ილიას ხსოვნის აღსანიშნავად ლიტერატურული საღამო, რომლის მონაწილედ ვაჟა იყო მოწვეული. ქუთათური საზოგადოება დიდად აღფრთოვანებული შეხვდა მაღალი მთის მომღერალს.

1913 წლის თებერვლის 20-ს, ქუთაისში ვაჟას მოუწვევს შესანიშნავი იუბილე. წინასწარ ჩაუტარებიათ ლექცია-მოსხენებები. სულის ჩამდგმელი, როგორც პირველი, ისე მეორე ზეიმისა იყო: მაშინ ახალგაზრდა პოეტი, გრიგოლ რობაქიძე.

ასხა ფრთები სიხარულისა, როცა ნარნარ ქართულს ეზიარა საზოგადოება.

II

თვალწარმტაცია ენა გრიგოლ რობაქიძისა. ქართულ ლექსში ღრმა აზრს დევს პოეტი და მოაზროვნე, და მის საოცარ, აზრტევად ქართულს ხომ აღტაცებაში მოჰყავს მკითხველი. გრიგოლ რობაქიძე ქართულში ენის შინაგან საზრისს — ლოგოსს ეძებს.

რა არის ქართული? — ქართლში ხშირად გაიკონებს კაცი ასეთ გამოთქმას: „არ მომწონს შენი ქართული“, ან „თუ ძმა ხარ, ერთი კარგი ქართული გამაგონეო“.

ამ გამოთქმაზედში „ქართული“ ყველგან სიტყვის მნიშვნელობისაა. „არ მომწონს შენი ქართული“ ნიშნავს: „არ მომწონს შენი სიტყვა“.

გრიგოლ რობაქიძე თავს ეველება თვითულ სიტყვას ქართულისას. შინაგან იხილავს მის საიდუმლოებას, და შემდეგ ამწურებს მას.

გრიგოლ რობაქიძის ენა მშვენიერებაა, პოეტი საოცრად აქანდაკებს მას და მისგან ჰქმნის იშვიათ მუსიკალობას.

„აჲ ენა მინდა გამოთქმად“ — ამბობს რუსთაველი... და იქვე განავტობს სულმნათი: „ხმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, ს ი კ ე თ ი ს ა ხ ე ლ ი ს მ მ დ ე ლ ი“.

ენის ესთეტიკა — პოეზიის ძირითადი პირობაა. გრიგოლ რობაქიძის პოეზია, ამ პოეზიის შევენება, ქართული ენა, რუსთაველისა და ვა-

1). გრ. რობაქიძე: ვაჟას ენგადი. იხ. „ბედი ქართლისა“, ნომ. 38, პარიზი.

2). გიორგი შატერაშვილი: თვალადური ქართულის ქაშნიკი. იხ. „მნათობი“, ნომ. 8, თბილისი, 1963, გვ. 168.



„ცისფერყანწილებს“ ლექსის ტექნიკური სიმ-
დიდრე და ლექსის მუსიკალობა. ისინი თავს ევ-
ლებოდნენ ქართული ლექსის სტრუქტურებს და
ჯადოსნური მუსიკით ამუსიკებდნენ მას. ისინი
ლექსს აქანდაკებდნენ და ჰქმნიდნენ ქართული
ლექსის იშვიათ შენობას“. 6).

აქი ვთქვი: ლექსის მუსიკალობა. მისი ტექ-
ნიკური სიმდიდრე. ამიტომ ეტანებოდნენ ამ მო-
ძრაობას ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები. აი რას
მოგვითხრობს დღეს ცნობილი, სახალხო პოეტი,
რომელიც თვითონ ნოვატორია ქართული პოე-
ტური სიტყვისა გიორგი ლეონიძე:

„რამ მიმიყვანა მათთან? „სიმბოლისტებში მე
უპირველესად მზიბლავდა ტექნიკური სიმამლე,
ფორმალური სიმართლე, ძიება, ბრძოლა რითმი-
სათვის და ლექსის მუსიკალობისათვის“. 7).

გიორგი ლეონიძე სიმბოლისტ მეგობართა
შორის მხოლოდ ალი არსენიშვილს ახსენებს, და
გრიგოლ რობაქიძეს არა.

თვით განსვენებული გრიგოლ რობაქიძე შემ-
დგნაირად განმარტავს მის მონაწილეობას ამ მო-
ძრაობაში. როცა ჩემს „ქართულ სულს“ ვწერ-
დი, ზოგიერთ თაურებს ვუგზავნიდი ჩვენს პო-
ეტ-მოაზროვნეს. გაეფხმინე მას და საკითხშიც.
აი რა მიპასუხა განსვენებულმა:

„ვიჩქარი მოგახსენოთ შემდეგი: ჩემს წერილ-
ში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ „ბედი ქა-
რთლისა“ ნომ. 5 ნათქვამია: „მე ვიყავე „ყანწე-
ლებთან“ მხოლოდ როგორც მეგობარი, უფრო-
სი, დამხმარე და წამახალისებელი. თქვენ კი
მთელით მათ „მეთაურად“. ვთხოვთ შეასწო-
როთ“. 1. 12. 1960 წ. ჟენევა.

ჩვენ არ გვინდა გრიგოლ რობაქიძე მოვაქცი-
ოთ ამა თუ იმ „იზმებში“, რადგან ის თავისი შე-
მოქმედებით ყოველგვარ „იზმებზე“ მალა
დასა.

გრიგოლ რობაქიძე მწერლობაში ყოველთვის
საკუთარი სავალი გზით მიდიოდა. გრიგოლ რო-
ბაქიძე დაუშრეტელი გოლიათური ენერჯის შე-
მოქმედი იყო. დიდი შრომის მოყვარე. ნაზმს
რამდენჯერმე გადასწერდა, გაასწორებდა, გაა-
შალაწინებდა; მანამ არ მოეშვებოდა, სანამ სუ-

6). იქვე, გვ. 79.

7). გ. მარგველაშვილი. გიორგი ლეონიძე. იხ.
„მნათობი“ ნომ. 12. თბილისი, 1959. დეკემბერი.

ფთა არ იქნებოდა. ამას ისეთი გულმოდგინებით
აკეთებდა ვით ქართველი ბერი აბოონისა და
ოლიმპოზე.

ის თავს ევლებოდა თვითნებ ქართულ სიტყ-
ვას, და ჯადოსნური ხელით აქანდაკებდა მას,
ილწვოდა დაუღალავად, დიდი ოსტატი ქართუ-
ლი ენისა.

IV

„საცა არა ჯობს, გაცლა ჯობს!“ — უთქვამთ
ძველებს.

1931 წელს, გრიგოლ რობაქიძემ დასტოვა
დედულ-მამული და სამშობლოდან გადაიხვეწა.
მას კარგად ესმოდა გადახვეწილობის ხვედრი.
გადაიხვეწა იგი სამუდამოდ დანტესავით. მან
გერმანიაში დაისადგურა. ევროპაში ააქედრა
მან გაწყვეტილი სიმი თავისი პოეტური ქნარისა.

ნერგს მშობლიური მიწიდან რომ გადარგავენ
უცხო წიაღში, ხომ არ ელის მას ჰქნობა?

გრიგოლ რობაქიძე რადი დამჰქნარა, პირ-
იქით: სახელს სახელი უმატა ჩვენმა პოეტმა და
მოაზროვნემ; ტყუილა ხომ არ ამბობდა დიდი ვა-
ეა: „სახელს უმატე სახელი,
ძვირფასი საშოვარია“.

სამშობლოდან გადახვეწილი პოეტი დიდ ნა-
ყოფიერ შემოქმედებითი მუშაობას ეწევა საზ-
ღვარგარედ. თავისი ბრწყინვალე პოეტური
ნაწიმი გრიგოლ რობაქიძემ მსოფლიო სახელი
გაითქვა.

გერმანიასა და შვეიცარიაში გრიგოლ რობა-
ქიძეს გასაოცარი გამოხმალურება ერგუნა.

ამ წერილში მე არ ვებები გრიგოლ რობაქიძის
შემოქმედებითს პერიოდს საზღვარგარედ. საზღ-
ვარგარეთული მოღვაწეობა რობაქიძისა ცალკე
თაურებს მოითხოვს. ალბად, მომავალში აღმოჩ-
ნდება ვინმე ღირსეული, რომელიც შესაფერ-
სად გაშლის მის პოეტურ ნაწმს.

V

მრავალმხრივია გრიგოლ რობაქიძის შემოქმე-
დება: ღრამები, პოეზია, თუ პროზა, ესეი თუ
მისთანანი. მაგრამ ყველა მის ზმულთა გვირგ-
ვინია „ღამარა“. იგი იყო მთელი ქართველობის
გული და ხალისი. ვისაც სცენაზე უნახავს „ღა-
მარა“, იგი დამეთანხმება, რომ იგი იყო ნამდვი-
ლი დღესასწაული ქართველთა.

„ღამარას“ ზმას წლები მოანდომა პოეტმა.

იგი ასე იოლად არ ზმულა. მის დაბადებას ხელი შეუწყო დიდმა ქართველმა ხელოვანმა კოტე მარჯანიშვილმა, და უცნაურად არ ეჩვენოს მკითხველს: დიდი ქართველი მომღერალის, როგორც მას ხალხი ეძახდა „საქართველოს ბულბულის“ — ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალება (ამ.8).

ამბობენ: ზაქარია ფალიაშვილმა, ერთხელ ბოლშე მოწოლილმა, ბოლშის გასაქარებლად სასაფლაოსკენ გასწია. თავის ერთადერთი ვაჟის საფლავზე დაჰყო კომპოზიტორმა რაოდენიმე ხანი, და როცა შინ მობრუნდა „დაისის“ უვერტურა დაანთავა. გარდაცვალებულის სულმა შთაჰბერა ხელოვანს ეს მადლი.

გრიგოლ რომაქიძის „ლამარას“ კიდევ ვანო სარაჯიშვილმა.

მოგხაზოთ ერთი ხტილი: ქართულ ეროვნულ თეატრალურ კულტურას, 1922 წელს დაუბრუნდა დიდი ხნით მისგან „განდგომილი“, რუსეთსა და უკრაინაში სახელმოხვეცილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. მან ვადაშალა ახალი ქართული თეატრის ფესვები.

გრიგოლ რომაქიძეს დიდი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კოტე მარჯანიშვილთან. კოტე მარჯანიშვილი ხომ აღმერთებდა გრიგოლ რომაქიძეს. ტყუილად ხომ არ ჰქვია დიდმა ხელოვანმა გრიგოლ რომაქიძეზე:

„იგი ნამდვილი ქურუმია მზისა“

როგორც თვითონ გრიგოლ რომაქიძე აღნიშნავს. შეხვედრა კოტე მარჯანიშვილთან მუდამ გახარება იყო. ის ადამიანის სიცოცხლეს ახლისებდა. ერთხელ გრიგოლ რომაქიძემ, კოტე მარჯანიშვილს, ეს იყო 1924 წლის ზაფხულს, მინჯლისში, სადაც ისვენებდა რუსთაველის სახელობის თეატრის დასი, ჩამოუვლო ლამარაკი ვაჟაზე. უამბო მას თუ რა დიდი მგოსნად მოჩვენებოდა იგი ილიას, როგორ ვადაშალა თავის დროზე, სიდიადე ვაჟის თვით გრიგოლ რომაქიძემ. მან წაუთქოხა კოტე მარჯანიშვილს ვაჟას პოემა — „გველისშემელი“ — და ჰრქვა:

8). ავტორის შენიშვნა: ამის შესახებ იგი უფრო ვრცლად ამავე ჟურნალში მოცემული აქვს ცნობილ გერმანელ მწერალს რუდოლფ კარნანს თავის შესანიშნავ სტატიაში „გრიგოლ რომაქიძე და მითოსის ალორძინება“. იქვე აქვს დართული მთარგმნელის შენიშვნაც. მე მას ჩემს სტატიაში არ შევებები.

— რა იქნებოდა, ვაჟას ეს პოემა განსცენიურდეს? —

პოემამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა კ. მარჯანიშვილზე და მიუგო:

— გასცენიურება არა! რა იქნება, შენ თვითონ ვაშლო ეს მითითურ გადმოცემა ღრმად, ჰა? —

გრიგოლ რომაქიძემ დაამთავრა „ლამარა“ 1926 წელს, და წაუთქოხა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობთა და რეჟისორთა კორპორაციას.

„ლამარას“ პირველი დადგმა მოხდა იმავე წელს იანვრის 29-ს რუსთაველის თეატრში...

იმ დამეს ის დიდება, ის ტრიუმფი, რაც „ლამარას“ ავტორს ერგო, მგონი არ რკებია რომანელ მთავარსარდლებს, ნადავლით, რომ მიაბიჯებდნენ რომის ქუჩებზე...

VI

მეტად ორიგინალური ხერხი მოგვცა გრიგოლ რომაქიძემ ღრამის ახლებურად გამართვაში, „ახლებურად“ იმიტომ, რომ გრიგოლ რომაქიძის ხელით აკინძული თვალმარგალიტები, ყოველთვის ახალია, ახლებურია. გრიგოლ რომაქიძემ „ლამარაში“ მისნის, მინდის თანამედროვედ შემოიყვანა ჩვენი დიდი მგოსანი ვაჟაშვილი.

„ლამარაში“ გრიგოლ რომაქიძემ ძლევაშალი ქართული სული გაშალა...

1924 წლის აგვისტოში გათამაშდა ქართველი ერის დიდი ტრაგედია: აი რას ამბობს თვითონ განსვენებული: „... საქართველო ეშხადებოდა ამბოხებისათვის... ეს ამბავი ვაგიგე: გამანდვეს. სასტიკად უარყოფდი ამ ნაბიჯს... მე ვინ რას დამიჯერებდა... ავიშალე, დავიშალე... მოხდა ამბოხება. გათავდა მარცხით. ახლა კი წლებად ვიქეცი: კაცს აღარ ვგავდი. მთელი აჩის ჩემი ანთებით იყო აყვანილი... ასეთს ყოფაში დღე კვირეა და კვირე თვე და თვე წელი... ფეიქობ: სიმალე იგი მხოლოდ „კალენდარული“ უნდა ყოფილიყო.

ამას ერთი-რამ უნდა დავუმატო კიდევ. შესაძლოა, წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძლავრით გაიღვივა ჩემში, რომ ქვეშემცნულ მოვიწოდომე: „ლამარა“ უმალვე მიმეხალა მტარავლათა მიმართ ვითარ ტრაგიკული მარჯი დამარცხებულთა. „შესაძლოა“. 9).

9). გრ. რომაქიძე: „ლამარა“. იხ. „ბედი ქართლისა“, ნომ. 17, პარიზი, 1954 წ.

ქართული სული კენესოდა... დაჭრილს მკურნალი ეჭირვებოდა... მკურნალად „ლამარა“ მოვევლინა მას. ანა გაეხსენოთ ვაჟას ზახილი: სცენაზე:

„ეს ჩენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯგერად ვსცანიოთა“.

ძნელია ეს ლექსი წაიკითხოთ ან მოისმინოს კაცმა და ცრემლი არ მოგვაროს მას... ტირილი და ცრემლად დინება ყველას არ შეუძლია... გულქვა არ ტირის, ცრემლად არ დინდება... ცრემლი და ტირილი რჩეულთა ჰხვედრია... ტირილი პეტრე, ქრისტეს მოწაფე, შემდეგში მოციქული:

ტიროდა გრიგოლ რობაქიძეც როცა ვაჟას ამ ლექსს სკითხულობდა, სკითხულობდა და ტირილი... მთელი დარბაზიც ტირილიდა...

„რამდენიმეჯერ მაქვს წაიკითხული „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“, უცრემლოდ ვერ წამიკითხავს! მთელ საქართველოს ვგრძნობ აქ ვითარ ცოცხალ არსს“ (10).

VII

1930 წელს, მოსკოვში, პირველ სრულიად საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე, სადაც მიწვეული იყო ნაციონალური თეატრები, ივნისის 7-ს რუსთაველის თეატრმა სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით უჩვენა მოსკოვს გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“.

„ლამარამ“ დიდი გამარჯვება მოიპოვა. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. აქ იყვნენ აგრეთვე საზღვარგარეთელი სტუმრებიც, ტურიისტები და ჟურნალისტები. „ლამარას“ გაუფანარი წარმატება ჰქონდა. დარბაზი გრვინავდა. „ლამარას“ წარმოდგენას მაშინ დაესწრო ი. სტალინიც. ბოლო აქტს მოუსწრო. როცა ბოლო აქტი მიდიოდა. სურვილი გამოეთქვა მოსკოველ დიქტატორს: თავიდან ბოლომდე განმეორებისა. ანა ვინ გაუბედავდა უარის თქმას. წარმოდგენა გაიმეორეს დაცალიბრებულ დარბაზში. წარმოდგენილი გაქვს მკითხველო, თუ როგორ გაითამაშებდნენ მსახიობები ყოველად - შემძლე პიროვნების წინაშე. ერთადერთი თეატრი, რომელიც საზღვარგარედ იყო მიწვეული სავასტროლოდ, რუსთაველის თეატრი იყო.

საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრალური ხელოვნების ოლიმპიადის ეიურის ვადაწვევით ზაზი ნათქვამი იყო: „რუსთაველის სახელობის თეატრი მასსაკუთრებით თვალსაჩინო და ბრწყინვალე მოვლენაა მსოფლიოს თეატრალური კულტურის დარგში“-ო.

„ლამარამ“ მიანიჭა მას ესოდენი გამარჯვება, რადგან „ლამარა“ პარანსელთა სულის შთაგონებაა. „ლამარა“ იყო მთელი ქართველი ხალხის ნამდვილი სახალხო ზემი.

კალმით აუწერელია „ლამარას“ ტრიუმფი. რა არ იქნება მასზე. რა არ დაიწერა.

რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელის სანდრო ახმეტელისადმი მისალმებაში ნიუ იორკის ექსპერიმენტალური თეატრის „ეასარის“ დირექტორი, დრამატული ლიგის ლიდერი ჰელი ფლანაგანის წერდა: „ლამარა“ მე მომეჩვენა სრულიად არაჩვეულებრივ წარმოდგენად. მუსიკა, ცეკვა, მსახიობის მოქმედება, გადახლართულია ცოცხალ ჰარმონიაში სცენის ფონზე, რომელიც წარმოადგენს ერთსა და იმავე დროს მხატვრობასაც და გაბედულ არქიტექტურასაც. ერთის მხრივ წარმოდგენა მომეჩვენა ბალეტად. მეორეს მხრივ — მხატვრობად, რომელშიც მოქმედი პირები წარმოადგენენ საღებავებს. მესამე მხრივ ეს იყო ამაღლებული სიმფონია, რომელიც ბგერა და ფონი ერთნაირად დიდმნიშვნელოვანია“ (11).

თვით საბჭოთა პრესამ „ლამარა“ სავსებით ახალ მოვლენად აღიარა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში:

„გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ახალ მოვლენად უნდა ჩათვალოს „ლამარა“ (12).

„ლამარას“ ახასიათებს შინაგანი მუსიკალური აღნაგობა. ეს არ არის მხოლოდ დრამა, იგი სიმფონიაა; ამავე დროს მასში მოცემულია რაინდული რომანტიზმი.

ალექსანდრე ახმეტელმა „ლამარაში“ რაინდული რომანტიზმი იხილა. რომენ როლანისათვის ის მუსიკალური სიმფონიაა. ვუკოლ ბერიძემ მას სიმფონია უწოდა, აქ საზღვარგარეთ მიხილ წერეთელმა.

11). ოთარ ევადე. „მზეთამზე და მზეკაბუჯი“. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, ნომ. 2. თბილისი, 1961, გვ. 86.

12) „ლიტერატურაშია ენციკლოპედია“ მე-9 ტომი, 1935, მოსკოვი, გვ. 717-718.

10). გრიგოლ რობაქიძე: ვაჟას ენგაღი. იხ. „ბედი ქართლისა“ ნომ. 38, პარიზი, გვ. 10.

რუსთაველის ენა გრიგოლ რობაქიძეს დიდი ვაჟასავით მთაში ეგულვებოდა. ვაჟა ამბობდა: „რუსთაველის ენა მთაშია შემონახული, ფშავ - ხევსურეთში, რაჭაში, ხევში, ალბათ სვანეთშიც. ამ ენას უნდა ვუფრთხილდებოდეთ თვალის ჩინებით“. 13).

დიად! ეს ენა, ხევსურული ენა, პირველმა გრიგოლ რობაქიძემ გაშალა ქართულ სცენაზე, დღემდე უცნობი.

გრიგოლ რობაქიძის დრამა-სიმფონია „ლამარა“ ქართული მხატვრული ლიტერატურის ხელუქმნელი გვირგვინია, ქართული პარნასის საგანძურია.

„ლამარა“ და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება აღმოცენებულია მაგარ ეროვნულ ფესვებზე. გრიგოლ რობაქიძის მთელი შემოქმედება ეროვნული ტკივილითაა გატენილი; ქართველი ხალხის ტკივილი გაუხდია მას საკუთარ ტკივილად, იგი მასშია. ამიტომ გრიგოლ რობაქიძე სახალხო პოეტია. ქართველი ერის ორფეოსია, მისი სულის მესაიდუმლეა.

მარტოდ მარტო „ლამარა“ რომ დაეწერა გრიგოლ რობაქიძეს, იგი მიიწვია გრიგოლ რობაქიძე იქნებოდა, ვიტყვი თამამად.

გრიგოლ რობაქიძე დიდი ორიგინალური სახის პოეტია. თავის პოეტური ზმისათვის მითოსი დაუდგია საფუძვლად.

გრიგოლ რობაქიძემ თავის „ლამარაში“ ასახა ქართული მთა. ქართულ მითოსში ზეცით მომადლებულმა ნიჭიერმა პოეტმა უხილავი ხილული გახადა.

გრიგოლ რობაქიძეზე საესეებით შეიძლება გავიმეოროთ მწერალი აკაკი გაწერელიას სიტყვები, რომელიც თქვა მან ვაჟაზე:

„... ასე წარმოგვიდგება ჩვენ ვაჟა-ფშაველა შემოქმედი, რომლის მხატვრულმა ნიჭმა მსოფლიო პოეზია გაამდიდრა ქართული მითოსის სიღრმეებიდან მომდინარე ხილვებით“. 14).

13). ბაბილინა ხოსიტაშვილი. იხ. „მნათობი“ ნომ. 7. 1961. გვ. 100.

14). აკაკი გაწერელია. ქართული პოეზიის დიდება. იხ. „მნათობი“, ნომ. 7, 1961. თბილისი, გვ. 142.



ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ...!“

მოწყვეტილი დედულს, მოცილებული მამულს, დათუთქული, რომელს ხანდახან სახეზე თუ ვადაუვლიდა მონაქროლი ღიმილი, იყო ბოლო დროს განდევნილი, განმარტავებული, მხოლოდ საქართველოთი სუნთქავდა. აი როგორ მოთქვამს გრიგოლ რობაქიძე სამშობლოს სევდით დასევდიანებული:

„ვზივარ აივანზე (აქ ლაპარაკია მისი ცხოვრების ენევის პერიოდისა, მ. ლ.) და ვერთვი ნელ-ნელ მდინარის ხმაურს, ჩაფიქრებული... „არვის“ უხმობენ. ხანდახან მგონია: რიონი თუა იგი ანდა მტკვარი, ხოლო ვამჩნევ, რომ მას აკლია ძალაყრილი რიხი პირველის და ძლევა მჯერი სიმღვრე მეორისი. მზე უხვად ეფიენება ჩემს ზინაში, მაგრამ იგი არაა „ცხრათვალა“, როგორც ჩვენში: მყუდრო თალარში აცილებული. ვიხილავ კვლავ შენს სამფლობელოს, დიდო კარდუ: საქართველოს ან „საკარდულოს!.. გული კბენარა გზნებს და ტკივილი ურვად გადადის ფიქრებში... და ასე დღე — ყოველ: დედულსა და მამულს მოწყვეტილი, შეჭივი ბედს, „ბედზე მივდებული“... „რამ შეგაურვა?“ — მესმის შენი ხმა: სულმალხენარი, დანელებული, ხოლო თანვე მტკიცე და მაგარი. „განრიგებას ღვთისა არა შეემართების რა“...“

ვიხილავ კვლავ შენს სამფლობელოს, დიდო „კარდუ“ 15). ვერ იხილა: ასეთი ყოფილა განრიგება ღვთისა!

ვაჰ, უბედობავ! გრიგოლ რობაქიძის საფლავი სადღაც გადაკარგული უნდა იყოს; და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს დიდი ვაჟას გვერდით?

მინდია ლაშაური

მიუნხენი, 1963 წლის ნოემბერი.

15). „ბედი ქართლისა“, ნომ. 1.

ძვირფასო ბნო კალე,

დიდი სამწუხარო და თავზარდამცემი ამბავი გავიგე: გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა.

ყველა ქაშმარიტ ქართველს ეს სამი სიტყვა გულში ისარივით მოხვდება და განუსაზღვრელ მწუხარებას მიანიჭებს. პირადათ ჩემთვის გრიგოლი არა მარტო დიდი ქარველი, დიდი მწერალი, დიდი ოსტატი ქართული ენისა და დიდი მოაზროვნე იყო, არამედ კარგი მეგობარიც.

ვინაიდან განსვენებულს აქ პირდაპირი ჭირისუფალი არავინ ჰყავს, იმედი მაქვს, რომ „ბედი ქართლისა“, რომლის ერთერთი საუკეთესო თანამშრომელი იყო ვაუწყებს მას ჭირისუფლობას.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც ხელმძღვანელს ამ ძვირფასი კრებულისა, რათა გამოვთქვა და გავიზიაროთ ჩემი ღრმა და უსაზღვრო მწუხარება ამ საშინელი დანაკლისის გამო. საუკუნო ხსენება ამ ძვირფასს აღამიანს.

მარად თქვენი პატივისმცემელი

დავით ბერეკაშვილი

დიდად პატივცემულო ბნო კალე,

გუშინ გავიგე გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალება, მეტად მეწყინა. დავკარგეთ უნიჭიერესი მწერალი და პოეტი. არ ვიცი, ვინ არის მისი ჭირისუფალი. ვიცი თქვენ მუდამ ზრუნავდით მასზე, როგორც ჩვენ ძვირფას მიხ. წერეთელზე....

ამიტომ თქვენ გიგზავნით ამ წერილს ჩემი უღრმესი მწუხარების გამოსატყვემლად ჩვენი გრიგოლის გარდაცვალების გამო.

თქვენი ელენე დეკანოზი

ბატონო კალე,

გიგზავნით დავგვიანებით ჩემ დეპეშას, რომელიც მინდოდა ჯენევაში გამომეგზავნა: —

„აღმდგარ საქართველოს მინც ეხილოს „მეგი“, „ჩაკალული სული“, „ქალღმერთის ძახილი“ და „გრალის მცველი“.

პატივისცემით **მ. დოლობერიძე**

„ბედი ქართლისა“



რედაქციას გამოუგზავნეს თანაგრძობისათვის გრამები და წერილები აგრეთვე შემდეგმა პირებმა:

გერმანიიდან — პროფ. მ. წერეთელმა, პროფ. ალ. ნიკუზაძემ, პროფ. მიხ. ახმეტელმა, პროფ. ვ. ნიკუზაძემ, სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ნ. ნაკაშიძემ, ბ. ვლ. ცხომელიძემ, ბ. მ. კერესელიძემ და ბ. ნ. ჯანელიძემ.

ინგლისიდან: სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ალ. ყიფიანმა და ბ. ბ. ქუთათელაძემ.

ბელგიიდან: სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ირ. ოთხმეზურმა, ქნ ელენე წერეთლისამ და ბ. მ. ტულუშმა.

ისპანიიდან: ირაკლი ბატონიშვილმა. ოსმალეთიდან: ბ. პ. ზაზაძემ, ბ. ს. ზაზაძემ და ბ. მ. დევიძემ.

სირიიდან: ბ. მ. ვაწურელიამ. ამერიკიდან: ბ. ალ. ჯინჭარაძემ, პროფ. ალ. გრიგოლიამ, ბ. ალ. მანველიშვილმა, ბ. გ. გამყრელიძემ და ბ. გ. კობახიძემ.

საფრანგეთიდან: ქნ ნინო გვაზავამ, ქნ ნელი მდივანმა, ქნ ელენე დეკანოზიშვილმა, ბ. რ. არსენიძემ, ბ. ი. გოგოლაშვილმა, ბ. გ. გოგოლაშვილმა, ბ. ნ. ურუშაძემ, ბ. პ. სარჯველაძემ, ბ. ფ. შარაძემ, ბ. დ. კლდიაშვილმა, ბ. ა. გამსახურდიამ, ბ. დ. გიორგობიანმა, სოშოს სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ალ. შათირიშვილმა, ბ. ს. ჭირაქაძემ და ბ. მ. ყლენტამ.

ბრიგოლ რობაქიძის

წერილები გამომკვეთნებული

„ბედი ქართლისა“-ში

(ქართულ ნომრებში)

1. საუბარი კარდუსთან. № 1.
2. თანამემამულეთა მიმართ — მოწოდება „ბ. ქ“-ს დახმარებისათვის. № 2.
3. საუბარი კარდუსთან. ქართული შაირი. № 2.
4. ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი. № 2.
5. მიხეილ წერეთელი. მოგონებათა ზარდული. № 3.
6. საუბარი კარდუსთან. მზის ხანა ქართველთა. № 4.



7. სათავენი ჩემი შემოქმედებისა. № 5.
8. სხვადასხვა. № 6.
9. იმამ შამილ. № 7.
10. ეჭარესიონიზმი. № 8.
11. ჟამსა ხუმრობისა (მოგონილი და გაგონილი). № 9.
12. ენგადი. კავკასიური ნოველები. № 10.
13. ერთი მონაწერი ლეოპოლდ ციგლერისა № 10.
14. ენგადი (დასასრული). № 11.
15. რა უნდა ავონდებოდეს ქართველს? № 12.
16. საჭირო განმარტება. № 12.
17. ორი ფოთოლი (რომანიტივან „დალი“). № 13.
18. ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან. № 14.
19. დლიურიტივან. № 14.
20. მიხეილ ჯავახიშვილი. ნიკო ფიროსმანი. № 15.

21. საქართველო მის მსოფლ-ხატში. № 16
22. ლამარა (მოკლე ბიოგრაფია). № 17
23. ევგენი გეგუქორი (სილუეტი). № 18.
24. ისტორია ასე არ იწერება. № 19.
25. მოწოდება „ბ. ქ.“ დახმარებისათვის. № 20
26. ოდი და ღაღა (რომანიტივან „დალი“). № 20.
27. საქართველო მის მსოფლ-ხატში. № 21-22.
28. ფოთლები (კ. გამსახურდია; ალ. აბაშელი ილო მოსაშვილი). № 24-25.
29. სხვადასხვა (ქართული ლიტერატურიდან). № 28-29.
30. ვაჟას ენგადი (საგანგებო რვეული). № 38.
31. ვალაქტიონ ტაბიძე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ № 39-40.
32. „გვიანი რთველი“ გ. გამყრელიძისა. № 39-40.

გრიგოლ რობაქიძის

ნაწარმების ბედი

1962 წ. 20 ნოემბერს, ეენევის პოლიციამ ალ. მოაინა გრიგოლ რობაქიძე გარდაცვლილი მის ბინაზე. რათგან განსვენებული მარტო ცხოვრობდა, სასამართლომ, ასეთ შემთხვევებში მიღებული წესისამებრ, ბინა დაბეჭდა.

დასაფლავების შემდეგ, ბუნებრივად დაისვა საკითხი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდა გრიგოლის გაზრდილი, მისი მეუღლის დის შვილი რუსი, რომელსაც, სამწუხაროთ, ქართველები არ უყვარდა და ცხადია, გრიგოლის ნაწერებს ის ვერ მოუვლიდა. ჩვენ მხარი დავუჭირეთ ბ. ალ. ფანჩულაძეს, რომელსაც განსვენებული შორეულ ნათესავად თვლიდა და თვითონ წარვადგინეთ ეენევის სასამართლოში და პოლიციაში, როგორც მემკვიდრე. ბ. ფანჩულაძემ კი თავის მხრივ პირობა დასდო ბ. ბ. ხ. შვიცილითან, კ. ჩხენკელთან, ნ. ჩხოტუასთან და ნ. მაყაშვილთან (რომელნიც დასაფლავებას დაესწრენ), რომ თუ იგი გრიგოლის ნივთებს და ნაწერებს მიიღებდა, ქართულ ნაწერებს „ბედი ქართლისას“ გადასცემდა, რადგან ასეთი იყო სურვილი განსვენებულისა.

სამწუხაროთ შვეიცარიის სასამართლომ არ იცნო მემკვიდრეებათ არც გრიგოლის გაზრდილი ქალი, რომელიც ოფიციალურად ნაშვილევი არ

აღმოჩნდა, არც ბ. ალ. ფანჩულაძე, როგორც ამას ადასტურებს აქვე მოყვანილი საბუთი ნომერი 1.

ამნაირად შვეიცარიის სასამართლომ, გრიგოლის ნივთებისა და ნაწერების საჯარო ლიკვიდაცია გადასწყვიტა. ახლა კი, რასაკვირველია, ჩვენი მოვალეობა იყო სასწრაფოდ ჩაყვრილით საქმეში და საჭირო ზომები მიგვეღო გრიგოლის არქივის გადასარჩენად. შვეიცარიის ზელისუფლებისათვის ჩვენ უცნობი არ ვიყავით. გრიგოლს დახმარება ეძლეოდა როგორც კულტურულ მოღვაწეს, და ამ მოღვაწეობის დასამტკიცებლად უწყებებში მიჰქონდა „ბედი ქართლისა“ს ყოველი ნომერი. ჩვენც წარვვადგინა მათ წინაშე რამოდენიმეჯერ. სათანადოთ დასაბუთებული თხოვნა გავუგზავნეთ ბერნში მთავარ დეპარტამენტს, რომელმაც ჩვენი მიმართვა შეიწყნარა, მოხსნა „საჯარო ლიკვიდაცია“, სპეციალური მოხელე გამოგზავნა ეენევაში, რომელმაც გრიგოლის მთელი არქივი შეაგროვა და ჩააბარა ბერნის სასამართლოსა და პოლიციის დეპარტამენტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მარტო ვერაფერს გავხდებოდით, თანამემამულეებს რომ არ გავწიათ საჭირო დახმარება. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მეტად კეთილშობილი როლი ამ საქმეში ბნ ხარიტონ შავიშვილისა. შესანიშნავად დასაბუთებული წერილებით მიმართის აგრეთვე შვეიცარიის მთავრობას: ირაკლი ბატონიშვილმა, გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მეცნიერების (მიხეილ წერეთელი, ვანო ნიკურაძე, მის.



JUSTICE DE PAIX
PALAIS DE JUSTICE 48
2^e ÉTAGE

Revue de Karthwéologie
"Bedi Karthila"
rue Berlioz 8
PARIS XVIIe

Messieurs,

Nous vous informons que le Tribunal de première instance de Genève a, en date de ce jour, prononcé la faillite de la succession de Monsieur Grigol ROBAKIDZE, décédé le 21 novembre 1962.

En conséquence, ladite succession sera liquidée par l'Office des Faillites, place de la Taconnerie 7, à Genève.

Veuillez agréer, Messieurs, l'assurance de notre considération distinguée.

ახმეტელი) სახელით პროფ. ალექსანდრე ნიკო-
რაძემ, გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა სათეო-
სტომოს თავმჯდომარემ ბ. ნიკო ნაკაშიძემ, ინგ-
ლისში მცხოვრებ ქართველთა სათეისტომოს თავ-
მჯდომარემ ბ. ალექსანდრე ყიფიანმა, ბელგიაში
მცხოვრებ ქართველთა სათეისტომოს თავმჯდო-
მარემ ბ. ირაკლი ოთხმეზურმა, სოფოს (საფრან-
გეთი) ქართველთა სათეისტომოს თავმჯდომარემ
ბ. ალექსანდრე შათირიშვილმა, ქართულ ეროვ-
ნულ საბჭოს კომიტეტის მდივანმა ბ. ნიკო ურუ-
შაძემ, მალტის ორდენის რაინდმა ბ. ნიკოლოზ
ჩხოტუამ, ბ. ნიკოლოზ მაყაშვილმა, ბ. დავით ბე-
რეკაშვილმა და ბ. იოსებ გოგოლაშვილმა. ყველა
ეს ორგანიზაციები და პირები სთხოვდნენ შვეი-
ცარიის მთავრობას გრიგოლის არქივი მთლიანად
გადაეცა „ზედი ქართლისათვის“; ჩვენგან კი მო-
ითხოვდნენ: მოგვევლო ამ საქმისათვის, რომ არ
დაკარგულიყო ჩვენი დიდი თანამემამულის ნაწე-
რები.

ამ დროს საქართველოდან მივიღეთ გამოხმაუ-
რება ამ საქმის შესახებ: „დღეს მობრძანდა ჩემ-
თან გრიგოლ რობაქიძის და, ლიდა ტიტეს ასლი
რობაქიძისა“, — გვწერდა ერთი თბილისელი ვე-
ჭილი. — „მისი სურვილი როდია შვეიცარიის

მთავრობა დაეპატრონოს მისი ძმის ნივთებს და
ნაწერებს. როგორც უახლოეს მეგობარს მისი
ძმისა, ლიდა რობაქიძე ვთხოვთ მიიღოთ ენერ-
გიული ზომები, რათა მას, როგორც კანონიერ და
ერთად ერთ მემკვიდრეს, არ დაეკარგოს ძმის ნივ-
თები და ნაწერები“...

ჩვენ ვაცნობთ ქნ ლიდა რობაქიძის ვეჭილს
საქმის ვითარება. რამდენიმე ხნის შემდეგ ნოტა-
რიუსისაგან დამოწმებული ოფიციალური მონ-
დობილობაც მოგვივიდა გრიგოლის დისაგან, მაგ-
რამ შვეიცარიის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი
ჰქონდა ზედი გრიგოლის არქივისა იმ დღიდან,
რაც ბერნმა ჩაიბარა იგი. აქვე ვაქვეყნებთ საბო-
ლოო დადგენილებას შვეიცარიის მთავრობისა,
რომელმაც გრიგოლის არქივობიბლიოთეკით ცი-
ურჩისის „გენეტიური ფილოსოფიის საარქივო და-
წესებულებას“ გადასცა შესანახად. ჩვენ კი და-
გვიბრუნეს ჩვენი წერილები, 16 წლის განმავლო-
ბაში გრიგოლისადმი მიწერილი, აგრეთვე რამო-
დენიმე გვერდი რომანისა „დალი“, რომელსაც
გრიგოლის ხელით აწერია „გადავწყვიტე ნაწყვე-
ტებად გავწავა ჩვენ უურნალში“ო. სამწუხარო
მართო 6 გვერდი აღმოჩნდა ამ რომანისა.

თვითონ ჩვენ ვვაქვს გრიგოლის მიერ გადმო-

Traduit du Russe

P O U V O I R

Je, soussignée, Lidia Titovna R O B A K I D Z E , demeurant à Tbilissi, R.S.S. de Géorgie, 41a rue Ninotchvili, en ma qualité d'héritière directe et de sœur de Grigol Titovitch R O B A K I D Z E , écrivain, décédé le 19 Novembre 1962 à Genève, Suisse, donne pouvoir, par ces présentes, à Kalistrat SALIA, ami le plus proche de mon frère défunt, domicilié à Paris, (16), 8 rue Berlioz, aux fins de recueillir l'héritage littéraire laissé par mon frère germain Grigol ROBAKIDZE, en réalisant les droits d'auteur en ce qui concerne tant l'édition des manuscrits existant en différentes langues que la réédition des ouvrages déjà publiés par lui.

Je signe le présent pouvoir de ma propre main.

le 23 Avril 1963

Ville de Tbilissi

Signé: Robakidze Lidia Titovna

Suit la légalisation ci-après:

Je, le soussigné Modebidze, Notaire au Bureau Notarial d'Etat de Tbilissi, certifie avoir légalisé le présent pouvoir et authentifié la signature de ROBAKIDZE Lidia Titovna faite de sa propre main par-devant moi.

La capacité en droit et l'aptitude légale du mandant ont été établies.

Taxe perçue: 50(?) roubles. Enregistré sous le No 73-22955

Le Notaire,

Signé: Un Tel

Sceau apposé : Cour Suprême
Bureau Notarial d'Etat
de Tbilissi

Je soussigné, Expert-Traducteur-Assermenté près le
Cœur d'Appel de Paris, certifie la traduction qui
précède, sincère et conforme à l'original écrit
en langue RUSSO et inscrit dans mon
répertoire sous le N° 893 "ne varié"
Paris, le 24 Septembre 1963





Berne, le 14 novembre 1963



EIDGENÖSSISCHES JUSTIZ- UND POLIZEIDEPARTEMENT
Polizeiabteilung

DÉPARTEMENT FÉDÉRAL DE JUSTICE ET POLICE
Division de police

DIPARTIMENTO FEDERALE DI GIUSTIZIA E POLIZIA
Divisione di polizia

Monsieur K. S a l i a
8, rue Berlioz
P a r i s XVIIe

No. N 39 880 PC

Bitte in der Antwort angeben
A. Trilhour dans la réponse
Preghiere riportate nella risposta

Monsieur,

Par lettre du 10 octobre 1963, vous nous demandez de mettre à votre disposition les archives de l'écrivain géorgien Grigol R o b a k i d s e, décédé à Genève le 21 novembre 1962.

Ainsi qu'elles en avaient dès l'abord manifesté l'intention, les autorités fédérales suisses ont acquis les biens et écrits laissés par M. Robakidse, en compensation partielle de leur créance à l'égard de la succession résultant des secours versés au prénommé durant plusieurs années. Elles ont confié l'oeuvre littéraire de Robakidse à une institution suisse qualifiée pour la conserver, l' "Archiv für genetische Philosophie", Kapfsteig 44, à Zurich, où elle pourra être consultée par les personnes qui s'y intéressent pour des travaux scientifiques.

Nous ne pouvons dès lors, à notre regret, faire droit à votre demande et considérons l'affaire comme liquidée.

Veuillez agréer, Monsieur, l'assurance de notre considération distinguée.

DIVISION FÉDÉRALE DE POLICE

Annexes: 2 pièces en retour

ცემული მისი ბევრი გერმანული გამოუქვეყნებელი ხელთნაწერი. ქართულად კი მხოლოდ მისი პირადი წერილები (450) — მათ შორის ბევრი მეტად საინტერესო, რომელთა გამოქვეყნება შეიძლება და საჭიროც არის.

პიროვნებათა საარქივო აკადემიას, რომელიც არსდება ციურბში. როგორც გადმოგვცეს, იქვე დაიდგება გრიგოლის ბიუსტიც.

საბოლოოდ გრიგოლის არქივი გადაეცემა დიდ

ნინო სალია

მ. წიკეთლის განცხადება

ამას ვხედავთ ჩვენ ყველგან ქართულ ძველ მწერლობაში.

ჩემი შესწორება „ე. ტყ.“-ის სტროფის — „ჰე. მზო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ლამისად“, — ამის ნაცვლად — „მზიარისა სამისად“, — ზოგიერთს უცნაურად და მიუღებლად მიუღმნევიან. მაგრამ ამ ჩემს შესწორებას თავისი მიზეზი და საუბრეველი აქვს. სტროფის მეორე ტაეპში წერია:

მართლაც, „ერთ-არსებას“ აზრი არ ექნებოდათ თუ მას „სამება“ არ მოუძღვის წინ: „სამება ერთ-არსება“, ამიტომ „მზიარისა სამისად“, არა თუ მისაღებია, არამედ აუცილებელია.

— „ერთ-არსებისა ერთისა მის...“ —, ხოლო ეს გამოთქმა — „ერთ-არსებისა“, ყოველთვის შეერთებულია სამებასთან, ან „სამთან“.

რაც შეეხება იმას, თუ საიდან წარმოიშვა „მზიანისა ლამისად“ — ეს ადვილი ასახსნელია მით, რომ გადამწერს დაზიანებული ასოები შემცდარად აღუდგენია, თორემ „მზიან ლამეს“ არავითარი კავშირი არ აქვს „ერთ-არსებასთან“.

როკვით ბანჴენილი

ქართული ზალეტი — ნიშო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილისა — რომელმაც მსოფლიოში ეგზომ დიდი სახელი მოიხვეჭა, ჟენევისაც ესტუმრა. ოთხ წარმოდგენას დავესწარი. დიდა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დიდი. განა მარტო ჩემზე? მინდა ეს შთაბეჭდილება თანამემამულეთ გავუზიარო.

მროკავთა დასში არც ერთი ვაჟი არაა ნიჴინსკი, არც ერთი ქალი პავლოვა. ხოლო: ვერა-რომელი ნიჴინსკი იცეკვებს მაგალითად „ქართულს“ ისე, როგორც ცეკავს ამას რომელიმე ვაჟი ამ დასისა — ვერცა-რომელი პავლოვა გაჴყვება მოცეკვავე ვაჟს მაგალითად იმავე „ქართულში“ ისე, როგორც ამას ასრულებს რომელიმე ქალი უწყებთული დასითგან. ეს იმიტომ რომ: ქართული ზალეტი არის: ზალეტი ჯიშის; რასის.

რომ ეს გავიგოთ, საჴიროა ამ ცნებას — „ჯიში“: „რასისა“ — პირვანდელი აზრი დაუბრუნოთ. ესე იგი: ნამდვილი, არ-წარყვნილი. იღვა „რასისისა“ არ გამოუგონია არც ფრანგ დე გობინოს, არც გაავსტრიელეულ ჰ. ს. ჩემბერლენს, არც გერმანელთ ლუდვიგ ეოლტმანს და ალფრედ როზენბერგს, არც არაბს იბნ-ჴალდუნს. (ნოტა ბენე. ეს იბნ-ჴალდუნ ის ჴრონისტია, რომელიც ვეითზრობს **დიდგორის** გამარჯვებას — 14. 8. 1121. — მეფეთა მეფისა დავითის: აღმა-შენებელის. საკვირველია: ეს ავტორიც — როგორც სხვები ჩამოთელილი — უპირატესობას ჩრდილოურ რასისს ანიჴებდა.) იღვა რასისისა ძველთაძველ დროშიც არსებობდა: და: რაც თავიდათავად: ბევრად უფრო ღრმად და ნამდვილად გავებთული ვიდრე აღდეს. მოკლედ მისი კონცეპტი. ზორვისას — მსხვერპლის ჴეწირვის დროს — ენიჴება ადამიანს ჴმედითი უნარი ჴაოტიურში ჩარევისა და მისი მოგვარებისა. ამ გზით იგი ხდება რჩეული: „პრიპ“: კეთილშობილი: „თავადი“, ჩვენი შესანიშნავი სიტყვით, თუ მას მოვაცილებთ სოციალური ფუნქციის ელფერს. ეს მოპოვებული უნარი თესლხედაც ახდენს გავლენას და სისხლზედაც: იჴეცევა მემკვიდრეობითა. ოღონდ: ვერც თესლი, ვერც სისხლი ვერ ხდის მემკვიდრეს თავისთავად „არია“-დ. „თავადად“ რომ გახდეს, მან „მეორე დაბადება“ ჴნდა განვლოს გონის მხრით. (გონი: „ესპრი“, „გაისტ“) მემკვიდრეობა უადვილებს მხოლოდ ამ „დაბადებას“ მას. ინდოეთში „პრიპ“-ს მემკვიდრე, სანამ „მეორე დაბადებას“ არ გაიარდა, ჯერ კიდევ არ იყო უმდაბლეს კასტაზე: „ჩადრას“: მალლა მდგომი. ასე ჴგონებდენ ძველთაძველ ხანაში ურთიერთ კავშირს **უნარისა და სისხლისა**. იკლებდა „უნარი“ — „სისხლს“ ძალა ეცლებოდა. იმავე ინდოეთში ამბობდენ: თუ ვინმეს ზორვაში სიცრუევე შეეპარა, მსხვერპლი ფუჴად იჴეცევაო. ბოლოსდაბოლოს ეს იმას ნიშნავს, რომ სიცრუეით თვითონ მწირველი მსხვერპლისა „შავდება“: ჴიანდება. კიდევ უფრო ნათლად ჩანს ეს ირანის ტრადიციაში. როცა მითიურმა მზემეფემ — YIMA-მ — ტყუილები დაიწყო, მას თანდათან მოცილდა

„ჰმარინო“: შარავანდი. ესე იგი: მიეცა გადაგვარებას. ვხედავთ ამ კონცეპტში: როგორც წარმოშობას თავადობისა, ისე მაზეზს მისი ევერტუალური დეკადანსისა. საქართველოში ეს შეგნება „ჯიშისა“ — ღმა და ნამდვილი — ძვალსა და ლბილში ჰქონდათ გამჯდარი, რის მოწმობასაც გვაძლევს ქართული: ჩვენი უგენიალესი: ენა. ნაგინებთ ვინმეს — ვეტყვი: „შე უჯიშო.“ ეკრულავთ ვინმეს — მივახლით: „შენი ჯიში ამოვარდა!“ ამაზე უფრო მეტყველი მოწმობა შეიძლება კიდევ? კმაზა!

ჯაში ამრიგად რჩეულობაა. რჩეულობა კი ყველგან და ყოველთვის თავისებურია: ნაირნაირი. ხოლო: თანაბარ ღირსეული, ფასეული. ვინც საკითხს ასე აყენებს: რომელია რასსებში უმჯობესი — მის რასსის არა გაეგება რა. სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვთქვი: ქართული ბალეტი არის ბალეტი ჯიშისა. ახლა უნდა დავაზუსტო: ჯიშის ქართულის. ერთი მცირე მაგალითი. დაქანდად ნუ ჩამომართმევთ. ვთქვით: ჩემ წინ გაუშვეს საროკავად „ქართულისა“ ორი ჩემთვის უცნობი მროკავი: მითხრეს მხოლოდ: ერთი ქართველია. მათს პირველ გავლებაშივე გამოვიცნობ, რომელია ქართველი.

ქალთა კადრი დასში. თვითეული: კენარი. ჯავარი. სინაზით ტვირფული. მწყაზარი. მორცხვი. კდმული. ნელი. წყნარი. ნარნარი. ქალწულური სრულიად — მიმოხვარაშიაც; როკვა — გოგმანი. გოგმანი — სრიალი. სრიალი — ცორვა. ცორვა — ცურვილი: გედის ცურვილი. ყველანი ერთად: გედები, გედები, თეთრი გედები. ხან დრონტალურ გამწკრიველნი ჰაეროვნებით. ხან მარაოდ გაშლილნი, რომელიც არეს ცისარტყელად ეფინება. (რა გოგონებია! დაილოცოს ჩვენი დედული!)

ახლა ვაქები. თვითეული: ყოფის შუაგულითგან გამოსხმული. კვრივი. ნაკეთიერი. ყოველ ნაკეთში — მზის ჰავლი ხალასი. ასხეპილი ვით ასკილი. დახვეწილი, დაწმენდილი. ხალისით ალესილი. შმაგი, ხანდახან შლეგი. ძალაყრილი. აცეცხლებული, რადგან თვითონ სიცოცხლე: „ცეცხლი“-„ცოცხალი“. ხლტომა — „ელან ვიტალ“. ავარდნა. გავარდნა. მოვარდნა. შევარდნა. ხედვაში თვალკიალი შევარდნის. როკვა: რიტმიული დენის ელვარი. ცქავი წამხულ ფერხთა: წარმოუსახავი: ითქმის: ზებუნებური. ამავე დროს მთელი ტანი: თითქო უძრავი, უზხევი. „თითქო“: რადგან ლხენით ავსილი: ისე, რომ ამის ერთი ცვარიც არ დაექცეს. (მთავარი ხტილი როკეებში.) მოშვილდული. ყოველი სხლეტი — ხვედრა თვითონ. (რა ბიჭებია! დაილოცოს ჩვენი მამული!)

გასაღებს ამ ბალეტის ჯადოქრობის ამოსახსნელად იძლევა ერთი სცენა — საკვირველი: არა როკვა, შეჯიბრი ორი მდლოლესი. ერთი ეჯიბრება მეორეს. ტეხნიკა გასაშტერებელი, ორივესი. ხოლო მთავარი აქ სხვა რამაა. (არ ვიცი, მიაქციეს თუ არას ამას ყურადღება.) ერთი ეჯიბრება მეორეს — გარნა ამ შეჯიბრში თვითეული მათგანი თავის თავს უფრო ეჯიბრება. უნდა „მეტი და მეტი.“ ზღვარს ვერ ჰპოულობს, რომ შეჩერდეს. ერთის და ერთის უზღვაროს. ამავე დროს ამ „შერთვაში“ „მოზომილი და მოქნეული“

ერთი-და-იგივეა. უზღვაროს ოსტატი ზღვარში ავლენს, უზომოს ზომით სალტავს. ამაზე შორს ოსტატობა — საერთოდ ხელოვნება — ვერ წავა. მთელი ბალები, პირველი როკვითგან უქანასკნელამდე, ამ საოცარი ოსტატობითაა გამართული.

ახლა თვითონ როკვები. რაოდენიმე.

„მხმდრეული.“ დიონისიური ზღვარგადალახვა. ისეთი, რომლის მსგავსი იქაც არ მოლანდებიათ, საცა დიონისო წარმოიშვა: თრაკიაში, ყივილი, ზივილი, ყიყინი. ჩახაჩუხი ხრმლთა ღა ტკრკი-ალი ნაბერწყალთა. ნამდვილი გრიგალი, თავმოშვებული. ხოლო გრიგალი, გახელებული რიტმებით დაურეგული. ირგველი ზათქი, ზნაზარი. ეს შესლა, შეხეთქება არაა ბრძოლა. იგი შეჯიბრია (შეჯიბრი: ვარჯიში) მორკინალთა. მოჯიბრენი თითქი დამხვედურებია, რომლებიც, თუ მტრები თავს დაესხნენ, შეტევაზე გადავლენ: მომხვედურებს მიწასთან გაასწორებენ. (ეს როკვა უნდა ენახათ: ალექსანდრე მაკედონელს, მეფე ერეკლეს, გიორგი სააკაძეს. რა იქნებოდა!)

„ხანჯლური“ (მთიულური). ამ როკვისათვის მე ავირჩევიდი სახელად: „მზაური.“ მზის ახალსება კაცის ტანში — ნამდვილი. მროკავი ვაყებიც ხომ მზისფერ: მეწამულ ჩოხებშია. რა თვალწარმტაცია სურათი, ნაბდებს რომ მოიხსნიან და წყრივად — „გრძლად წყობით თითო-თითო“ (საბა) — ამხეთურებულნი იმართებიან! ნელიად ეშვებიან კავკასიის თხემებითგან ჯადო-რიტმები, ქართველურ გართულებულნი და ბრუდამხვეენი. ბუნებას არ მოუცია ჩეხთების ნიჭი როკვისა — სამაგიეროდ მონიჭებული მაქვს გზნება რიტმიული დენისა ნადირული პირდაპირ. ვიტყვი: ვერა რა შეედრება მზის ტანში-ახალსებით „ხანჯლურში“ მორღვეულ რიტმეს. (ახლაც მივლიან ტანში.) იშლებიან ნელიად. იზრდებიან თანისთან: სულ უფრო და უფრო. თრობა მატულობს და მატულობს. ზოლოს — თითქო ახელებულ ტანებმა სრულიად დააკეს მათში ატეხილი მზე — მროკავები ერთი მოსხლეტით (რარაჰ!) წყვეტენ როკვას ღეცარი თავშეყენებით: კიდევ უფრო ამხეთურებულნი, ერთიმეორეს ძმურად შერთულნი. შეწყვეტა ისეთია, რომ ფანტაზიაში როკვით ატეხილობა გრძელდება. ჰგონებ: მზით-მთვარეებს განზე ბედაურები უტდიან. ხედავ: ახლტებიან. მიაგვლევენ. მინავარდობენ. ყიყინი. ზივილი. ხედავ: „უფსკრულიბისკენ გაფრენილი უზანგებიდან!“ აგერ უფსკრულიც. ერთი მოძაბვა და: უფსკრულს თავს ევლებიან ვითარ ნადირ-ღმერთები. (ეს როკვა რომ ენახათ: შამილს, სანდრო ყაზბეგს, ვაყას! რომ ენახა ილია მოსაშვილსაც, რომელსაც ის სწორტუბოვარი გაზახილი-შვრდული ეკუთვნის! ველ-რ მოითმენდენ: სცენაზე ავარდებოდენ და მროკავებს შეუერთდებოდენ!)

„ბაღდადური.“ ამის სამშობლო ტფილისია, ძველი ტფილისი. კინტოთა კასტა — მხოლოდ-და-მხოლოდ გაზარებისათვის დგენილი: გაიხსენებთ მათს უმაგალითო ლზინს მტკვარზე მოშვებულ ტივზე — არა თუ სხვა მზარეში, საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეშიც წარმოუდგენელია. რა სიძარდე! რა სისწრაფე! რა

მოქნილობა! რა სიტუაცია გულისა! რა ჰუმორი! ეს განიერი შარვლები! ეს ფრიალი თავდაფრების! ეს ბრუდამხვევი ტრიალი! ეს ჩახალისებური ბუქნა! ეს ყირამალა! ეს გადაყირაება! რაღა ვთქვა მეტი? „ბაღდადური“ ლხინია ტფილისის. (ეს როკვა უნდა ენახა სადათნოვას. უნდა ენახა გრიგოლ ორბელიანს. უნდა ენახა ნიკო ფიროსმანს. უნდა ნახოს, თუ არ უნახავს, სოსო გრიშაშვილი, ძველი ტფილისის მეტრევე. უნდა ნახოს, თუ არ უნახავს, ლადო გულიაშვილი. ნოსტა ბენი. შეიძლება არ იცით: ლადო არა მხოლოდ მხატვარი-მეგობარია კინტოთა — იგი შესანიშნავი მროკანია „ბაღდადურისა“.)

„შეჯიბრი.“ მთელი დასი ეფინება სცენას და ჰვენს საქართველოს მხეს. ესაა გვირგვინი მთელი ბალეტის — აპოთეოსი ნამდვილი საქართველოსი. ქალები ახლა მეტი ხიბლით როკავენ. როკვა — გოგმანი. გოგმანი — სრიალი. სრიალი — ცორვა. ცორვა ცურვილი. და ახლა ყოველი ეს — თვალმომპრეტილი ლიციელი. გედები, თეთრი გედები: ხან ფრონტალურ გამწვარიველნი ჰაეროვნებით, ხან მარაოდ გაშლილნი, რომელიც ვაჟებს ცისარტყელად ეფინებთ. და იწყება დატყვევებული ვაჟების როკვა ცალცალკე. ერთი ცელის მეორეს. მეორე მესამეს. მესამე მეოთხეს. და ასე ბოლომდე. ყოველი თავისებურ როკავს. თავისებურება თვითთვის — ხალასი შედეგრი. არიან მოშურნენი? არა. არიან სიქოპენი? არა? არიან მეტოქენი? არა. არიან მოცილენი? არა. მაშ? რაინდები, გულისმომგებნი არიან „ცისარტყელისა.“ ბოლოს: ქარწილური ამხუტება ყველასი: ქალებისა და ვაჟების. (როცა ან როკვას ვხედავდი, მაყურებელთა შორის, ვანზე, ნათელმფენი თამარ მელანდებოდა, გულისფთქვა ყოველი ქართველისა: და: მის გვერდით: მეფე დავით: აღმაშენებელი, მძლეთამძლე, კლდე (რა სიტყვაა!) მიხედვებით, როგორ მელანდებოდენ.)

რომ შემეკითხონ, რომელ ნაწარმოებში უფრო ვგრძნობ ქართველობას, ვიტყვი: გიორგი მერჩულეს აღწერა-გადმოშლაში გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა. „უფრო“ — ვინათვან აქ ჰაეროვნულ იფინება ზემოწიერი ქართულ მიწაზე. ხოლო, თუ შემეკითხნენ, თვითვე მიწას, ქართულ მიწას, რომელ ნაქმში უფრო განვიციდი, ვიტყვი: ვაჟას შაირში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ და, არ გაგიკვირდეთ, უიარალოს (თათარიშვილის) „მამელუკის“ ბოლო სცენაში. ადამიანის ქმედით თვითცხადებაში სიტუაცია ყველაფერზე უდიდესა. („პირველთაგან იყო სიტყვა“: იოანე.) ხოლო ერთი ვანზომივით სიტყვას როკვა უსწრებს წინ — ვინათვან როკვით მთელი ადამიანია აყვანილი, ითქმის: თმის ძირებიდან ფრჩხილების ნუნებამდე. ვასაგებია: თუ ძველთამძელ დარაში უზენაესის მიმართ აღტყინებულთ სიტყვა აღარ ყოფნიდათ და როკვაში გადადიოდნენ. ვუყურებდი როკვას ჩვენი ქალებისა, ჩვენი ვაჟების, ვერთვოდი მათ როკვით შინაგან. ვერთვოდი ისე, რომ ხანდახან გ. რ.—ც აღარ ვიყავ. ვიყავ მხოლოდ-და-მხოლოდ ქართველი, ზოგად ქართველი — ოღონდ არა განყენებით, არამედ ნამდვილი: ცოცხალი. (ეს პლატონის გზით გაიგებთ.) რას განვიციდი? ფესველ თაურს ქართველობისა: ხალისს ყოფის მიმართ. მერმე რა? ვის არ ეხალისება

ყოფა?! არა, მე განსაკუთრებულ ხალისს ვსაზრობ. ხომ შეიძლე-
 ზოდა, რომ მე — „მე“ მაგალითისათვის — სრულიად არ მოველე-
 ნიყავ ამ სოფლად არამოგისბანს! და თუ „ვარ“, ვარ საჩუქარო
 გამჭენისაგან ჩემი თავის მომართ! (მაგონდება უღრმესი თქმა პან-
 დარის, კლემენს ალექსანდრიელის მიერ გადმოცემული.) გატველს
 სწორედ ეს ახარებს: რომ არის, არის საერთოდ. ეს სხარული
 ჩვენში ისეა გამჯდარი, რომ ჩვენ ხშირად ყვავილზე თუ საერთოდ
 მცენარეზე მაგიერ ამისა: „იზრდება“, ვამბობთ: „ხარობს“. თანაც:
 სხარული ჩვენი არაა „შინ“-ზღუდული. პირიქით: მცხადებელი
 „შინ“ისა „შინ“-ში — ორფეოსი — საქართველოში ყოველდღე
 იბადება. არსად ისე არ ცხადდება ესე როგორც ქართულ ნაღიმში,
 რომელიც „ქეიფი“ კი არა, „კულტია“ ნამდვილი. ყოველ ადამიანს
 — იყოს იგი თუგინდ კუზიანი, და ესე არა მარტო ფიზიურ — აქვს
 ისეთი რამ, რაიცა მარტო მას აქვს: „ერთხელური“, ფასეული, ღირ-
 სეული. ქართულ სუფრაზე ამ „რამეს“ ვინმე ოსტატურად ამხეც-
 რებს: და: „კუზიანი“ გახარებით მხრებში იზრდება. მოვეჭრათ ერთი
 სიტყვით: ბაბხარამ-ბანიხარამ, აი ფესვეული თაური ქართველო-
 ბისა. ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, იგი ქართველთათვის არის, მოკ-
 კვეთით ერთი სიტყვით: უბაღო. კიდევ უფრო ხარობს ქართველი,
 როცა „შინ“ უცხოელია. (იმჩნით — „საჯტხოვო“ ქართულში
 „უცხო“-საგან გამომდინარე!) აქეთვან: ჩვენი ფანტასტიური სტუ-
 მართმოყვარეობა. დიად, ხალისი ყოფისადმი ქართველთა არის ქე-
 წმარიტად: „გენიუს ლოცი“ მათი მიწისა.

რად დამჭირდა ამხელა ექსკურსი? მხოლოდ ამად: რომ ეს
 მეთქვა: რომ განხილული ქართული ბალეტი, მთლიანად აღებული,
 სწორუპოვარი დითირამბია ყოფის მიმართ, დიად: როკეებით გან-
 ფენილი ბაბხარამ-ბანიხარამ!

ასეთი ხალისი, ასეთი სხარული, ასეთი ღებნა — საუკუნო-
 ებში ტანჯული საქართველოს წილითვან! არაა ეს საკვირველი?
 მართლაც რომ საკვირველია! სადღაც უნდა მეთქვას: ყოველი
 წვეთი სისხლისა, საქართველოს დედულ-მამულისათვის დანთხეუ-
 ლი, მზის სხივად ესხმოდა ქართულ მიწას. ახლა ვამბობ: საქართ-
 ველო დაჭრილი მზეა. (ბახოფენის მოწმობით, მითოლოგიაში ცნო-
 ბილია „ვენებული მზე.“) „დაჭრილი მზე“ — მაგრამ მაინც მზე!
 აქეთვან: მისი ხალისი, ხალისი მაინც: და ასე: უფრო ძალაყრილი.
 ნიცშეს სიტყვა — „რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერ“ —
 საქართველოზე თუა გამოჭრილი!

ვაშა, როკვის ჯალოქარნო: ქალებო და ვაებო! ვაშა! ვაშა!

ბრიგოლ როზაშიძე

(მწიფობისთვის, 1962. ქ ე ნ ე ვ ა)



აკაკი პავაძის უცნაური წერილი:

„სიკვამლე უწყაბა გრიგოლ რობაქიძისათვის“.

მეტად სამწუხაროა, რომ გამოქვეყნდა ა. პავაძის მცდარი და არა საკადრისი წერილი ჩვენ დიდ მწერალზე ჟურნალ „კავკასიონში“. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს წერილი მიუღლოდელი და წესიერი კრიტიკა არ არის. ეტყობა, ა. პავაძემ ვერ დაივიწყა ის, რომ გრიგოლი არ თვლიდა მას არც მნიშვნელოვან მწერლად და არც პოეტად. ვერც მეგობრობის ფიცით. ვერც ალაგ-ალაგ ქუჩისა და ბოდიშის სიტყვებით განსვენებული ვერ მალავს თავის ნამდვილ განძრახვას გრიგოლ რობაქიძის პიროვნებას ზიანი მიაყენოს და მისი დიდი შემოქმედება დაამცროს.

გრიგოლის ხსოვნის შეურაცყოფა იქნებოდა მისთვის მიძღვნილ საგანგებო ნომერში ჩვენი ჟურნალისა პოლემიკა გაგვემართა ა. პავაძეს პიროვნებისა და მისი წერილის ირგვლივ. ხოლო მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ორი სიტყვით არ აღნიშვნაც შეუძლებელია.

გრიგოლ რობაქიძის უმთავრესი და უდიდესი დამსახურებაა მისი გერმანულ ენაზე გამოცემული შრომები, რომ მან, პირველმა, შესძლო დიდ პოეტთა და ბრძენთა ქვეყანაში დიდი მწერლის სახელი მოეხვეჭა და ქართველი ერი და მისი კულტურა ბრწყინვალედ წარმოედგინა. ა. პავაძე გვერდს უვლის ამ დიად დამსახურებას, ცდილობს ღირებულება დაუკარგოს გრიგოლის გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ უცვლად ქმნილებებს, რომელთა შესახებ მარტივად აცხადებს: „ისინი დიდი ხანია დავიწყებამს მიეცენო“. შემდეგ სთხოვს რა „დიდი ბოდიშით და მწუხარებით პატივებას“ გრიგოლს, რომ არ შეუძლია განიხილოს მისი გერმანული ნაწერები, მაინც არ ჩეხს რომანს „მეგის“, რომლის შინაარსი, ეტყობა, მას კარგად ვერ გაუგია, და გამოყავს ყალბი დასკვნა, რომელსაც ანზოზადობებს და ავრცელებს გრიგოლის დანარჩენ შრომებზე. „ასეთები არიან გრიგოლის დანარჩენ რომანებში გა-

მოყვანილი ქალებიო“. როგორი? ამას ა. პავაძე იქვე გვისხნის, რომლის განმეორება აქ შეუძლებელია. ლოდ მიგვაჩნია. ხოლო მან კარგად იცის, რომ „მეგის“ მსგავს ქალის ტიპს ვერც ერთ სხვა რომანში გრიგოლისა ვერ შეხვდებით. აქ სამწუხარო ის არის, რომ გერმანული ენის უცოდინარობის გამო ქართველების მხოლოდ მცირე ნაწილი იცნობს გრიგოლის გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ შრომებს, ა. პავაძის შეუძლია ისინი შეცდომაში შეიყვანოს და გრიგოლი ქართველი ქალის შეურაცმყოფელად წარმოადგინოს.

„დავიწყებამს მიცემულ“ გრიგოლის ქმნილებათა უცხოეთში დიდი გამარჯვების ასახსნელად ა. პავაძე იშველიებს სტალინს, რუსულ მისტიკას, ეგზოტიურ სამყაროს. ცხადია, მისი არგუმენტაცია აქაც სწორი არ არის. როგორ და რით გაითქვა გრიგოლმა სახელი საზღვარგარეთ, ეს კარგადაა ცნობილი და მსურველი ამის პასუხს ამ ნომერშიც ამოიკითხავს. ეს არ მომხდარა არც სტალინის ქართველობის დახმარებით, არც რუსული მისტიკისა და ეგზოტიკის მოშველებით, რომელთა გამოყენება თვითონ ა. პავაძესაც კარგად შეეძლო, რომ გამხდარიყო სახელგანთქმული მწერალი.

გრიგოლი დიდი მოაზროვნე იყო, ღრმა ფილოსოფოსი. ა. პავაძე იჭრება ისეთ სფეროში, სადაც გრიგოლს ძნელად გაეტოვებოდნენ ცნობილი ფილოსოფოსნიც. ვერ ერკვევა რა გრიგოლის მისტიციზმში, იგი აქაც, თავისებურად, უბრალოდ სწყყეტს საკითხს: ყველაფერი ეს „ზღაპრულად აზვეგებული ფანტაზიებია, სრულიად დაუჯერებლად და იაფფასიან ეფექტებით შეზავებული, — ოხუნჯური მისტერია... რისთვის? ამას ვერაფერს ვაივებო“, აცხადებს პავაძე, რათგან თვითონ ვერაფერი გაუგია.

ა. პავაძის დიდ შეცდომად მიგვაჩნია ავრთვე პეტრე გელიევილის მოწმედ მოყვანა გრიგოლის წინააღმდეგ. შეუძლებელია მას არ სცოდნოდა, თუ როგორი შხამით წამლავდა გელიევილი ყველას ყველაფერს ეროვნულ, საქართველოში. მის აზრს ვერც ერთი შეგნებული ქართველი ვერავითარ ანგარიშს ვერ გაუწევს.

მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი ა. პავაძის წერილში ის არის, რომ იგი შეეხო ისეთ საკითხს, სადაც მას სრულებით არაფერი ეთქმოდა. არა

ეთარი უფლება არ ჰქონდა მას სხვების მიერ საბჭოთა საქართველოში „ნიდაბების“ ტარებაზე და „წითელ ტალღებში“ ცურვაზე“ ელაპარაკა.

გრიგოლმა ღირსეულად და პირნათლად შეასრულა ქართველი მამულიშვილისა და მწერლის მოვალეობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ, და დასტოვა უცვლადი სახელი დიდი და საამაყო ქართველისა.

გრიგოლ რობაქიძეზე საუკუნეები ილაპარაკებენ.

ა. პაპავამ თავისი უცნაური წერილით მხოლოდ თავის თავს ავნო.

„ბედი ქართლისა“.

ქ. კიტა ჩხენკელი

ქართველოლოგიამ დაჰკარგა დაუღალავი მსახური ქართული კულტურისა კიტა ჩხენკელი.

„ბედი ქართლისა“ უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს მისი გარდაცვალების გამო.

ნეკროლოგი იბეჭდება „ქართველოლოგიის მოამბე“-ს მორიგ ნომერში.

† მიხეილ ახმეტელი

1963 წლის ოქტომბერში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გერმანიაში გარდაიცვალა პროფ. მიხეილ ახმეტელი.

საქართველოდან გამოგზავნილი როგორც სტიპენდიანტი, იგი სწავლობდა იენის უნივერსიტეტში, ეკონომიურ დარგზე, სადაც მიიღო დოქტორის ხარისხი. შემდეგ შეუდგა სოფლის მეურნეობის მეცნიერების შესწავლას ბრესლაუში, რომელიც მან მთარე სადოქტორო დისერტაციით დაამთავრა.

1934 წელს, იქვე ბრესლაუში უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში გააკეთა ჰაბილიტაცია ეკონომიურ დარგში და მიიღო დოცენტობა. უფრო გვიან მიწვეულ იქმნა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორად.

ომის შემდეგ მუშაობდა პროფ. ალექსანდრე ნიკურაძის კონტინენტალურ ევროპის ცვლვის ინსტიტუტში.

ორი თვის წინ მისი გარდაცვალებისა, ჩვენ მას

თან ვიცავით ოჯახში. ცდილობდა მზიარული ყოფილიყო, მაგრამ ეტყობოდა, მწარე სევდას მტყუარა. „არასოდეს არ მქონია ასეთი სურვილი ჩემი კახეთის ნახვისა, ახლა სული ჩემი სულ იქ ითყენ მიიწვეს“-ო, გვეუბნებოდა გულდაწყვეტილი.

გულწრფელ თანაგრძობას ვუცხადებთ განსვენებულის მეუღლეს, ქალიშვილს და მეგობრებს.

† არჩილ ზურაბიშვილი

საქართველოს ემიგრაციაში კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრი დაჰკარგა. 19 იანვარს 1964 წ. პარიზში მოულოდნელად გარდაიცვალა არჩილ ზურაბიშვილი.

„ბედი ქართლისა“ განსაკუთრებით გლოვობს არჩილის დაკარგვას, რომელიც მისი ჩუმი და უანგარო დამხმარე იყო. როგორც დიდი შეგნებისა და კულტურის ადამიანს, მას კარგად ესმოდა მნიშვნელობა ქართული კულტურის გამოტანისა უცხოეთში და მას დაუზარებლად, უხმაუროდ ხელს უწყობდა.

არჩილ ზურაბიშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 25. 4. 1896 წ.. დაამთავრა 1914 წ. (ოქროს მედალით) თბილისის მე-5 გიმნაზია; შემდეგ სწავლობდა ერთი წელიწადი მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მოსკოვში მოუსწრო რევოლუციამ და დაბრუნდა საქართველოში, სადაც იმასახურა ჯერ არტილერიაში (უფროს ლეიტენანტად ღენ. ამირეჯიბის ბრიგადაში), მერე ღენ. ივანე ჯაფარიძის უწყებაში ოფიცრად უცხოელ მისიებთან კავშირისათვის.

1919 წ. დეკემბერში საქართველოს მთავრობის სხვა სტიპენდიანტებთან ერთად გაემგზავრა საფრანგეთს და შევიდა ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში, რაც მას მისმა ბაბუამ, ნიკო ნიკოლაძემ ურჩია, რომელსაც საქართველოს ჰიდრაული ძალების გამოყენება პირობულად მიანიჭა. 1922 წ. დაამთავრა გრენობლის ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერის დიპლომი. შემდეგაც განაგრძობდა არჩილი მის მეცნიერულ ცოდნის გაფართოებას დიდი წარმატებით პარიზის სხვა და სხვა დაწესებულებებში ცნობილ პროფესორებთან და დაიმსახურა ყველაზე პატივი და სახელი. ამ მუშაობაში მას ხელს უწყობდა უცხო ენების ცოდნა. შესანიშნავად ფლობდა ფრანგულს, ინგლისურს და გერმანულს. (1922 წ. ირაკლი წი-

რეთელს ახლდა ინგლისურის თარჯიმნად ლორდ კერზონთან შეხვედრის დროს.)

აპოლონ კობახიძესთან ერთად არჩილმა პარიზში დააარსა ქართველ ინჟინერთა საზოგადოება. შოთა ნიკოლაძესთან ერთად მან შექმნა და წლეუბის განმავლობაში უვლიდა საფრანგეთში ქართულ სასპორტო წრეს „შევიარდენს“. გარდა ამისა დაუღალავად იღვწოდა ქართული ეკლესიის მოვლა-შენახვისათვის და თუ ჩვენ დღეს ეს სალოცავი კუთხე გაგვანჩნია, ამას უმთავრესად არჩილს უნდა ვუმადლოდეთ.

იგი არ ივიწყებდა აგრეთვე ქართველი პოლიტიკური ემიგრანტის სხვა მოვალეობასაც და მონაწილეობას ლებულობდა სხვა და სხვა ეროვნულ

ორგანიზაციებში. უკანასკნელად გამოსცა მამის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე ზურაბიშვილის წიგნი: „ქარგ ქართველთა ხსოვნისათვის“, რომელმაც მთელი ქართველობის მოწონება მიიღო.

არჩილს კიდევ ბევრი სიკეთის გაკეთება შეეძლო, მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა მას ამის საშუალება მოუსპო.

„ბედი ქართლისა“ არ დაივიწყებს არასდროს მის ღვაწლს; იგი მადლობის გრძნობით შეინახავს მის ხსოვნას.

ნინო ხალია

შინაარსი:

ლიდა რობაქიძე — ჩემი ძმის ხსოვნას
ნინო სალია — გრიგოლის საფლავთან
კ. სალია — † გრიგოლ რობაქიძე
ნ. ნაკაშიძე — გერმანიაში ქართვე. სათვ. სახე-
 ლით თანაგრძნობის განცხადება
საფრანგეთში მყოფ ქართვე. მწერ. და უფრნ. კავ-
შირის გამგეობა — დიდი ქართველის გარ-
 დაცვალებას ვგლოვობთ
ალ. ყიფიანი — დიდ ბრიტანეთში ქართვე. სათვ.
 სახელით — მწუხარების განცხადება
ირ. ოთხმეწური, ბელგიაში ქართვე. სათვ. სახე-
 ლით — თანაგრძნობის განცხადება
ალ. შათირიშვილი, სოშოს (საფრ.) ქართვე. სათვ.
 სახელით — თანაგრძნობის განცხადება.
ოთარ ზალდასტანი, ამერ. შვედრ. შტ. სათვ. სა-
 ხელით — მწუხარების განცხადება
მ. წერეთელი — ჩემო ძვირფასო მეგობარო!
ირაკლი ბატონიშვილი — გრიგოლ რობაქიძის
 ხსოვნას

რუდოლფ კარმანი — მაგიური ძალა დიდი ქართ-
 ველის პოეტურ შემოქმედებაში
ი. გოგოლაშვილი — გრიგოლ რობაქიძის ხსო-
 ვნას
ს. კირაქაძე — გრიგოლ რობაქიძის ხსოვნის სა-
 ცოდებელი და სამარადისო
მინდია ლაშაური — ქართველი ორფეოსი
დ. ბერეკაშვილი — მწუხარების გამოცხადება
გრიგოლ რობაქიძის წერილები, გამოქვეყნებული
 „ბედი ქართლისა“-ში
ნინო სალია — გრიგოლ რობაქიძის არქივის
 ბედი
გრიგოლ რობაქიძე — ქართული გენია როკვიტ
 განფენილი
ბედი ქართლისა — ა. პაპავას წერილი: მცირე
 უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის .